საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 64, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ მთავრობაში.

— საბჭოთა ინჟინრების დაპატიმრება ნიუ-იორკში.

— დაარსდა ნორვეგია-ფინეთ-რუსეთის [illegible] მუშების მთლიანობის და მეგობრობის კომიტეტი.

— პონსონბი საბჭოთა წინადადებების შესახებ განიარაღების კონფერენციაზე.

— მღელვარება სამხრეთ კორეაში.

— პირველი ვექილი-ქალი ოსმალეთში.

პარასკევი, 16 დეკემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 285 (2030)

საკავშირო კომპარტიის (ბ) მეხუთმეტე ყრილობა

ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა

ორგანიზაციული საკითხები კომინტერნის სექციებში

მოსკოვი, 15 დეკემბერი. ამხანაგებო, მე უპირველეს ყოვლისა, უნდა ვსთქვა; რომ დისკუსია; რომელიც გაიმართა ჩემი მოხსენების გარშემო, მეტად საინტერესოა, იმიტომ, რომ ამხანაგები გამოეხმაურენ მოხსენებაში დასმულ მთელ რიგ საკითხებს და იმიტომ, რომ დისკუსიის დროს შემოტანილ იქნა მთელი რიგი დამატებანი, შენიშვნები, წინადადებანი, კრიტიკული შენიშვნები და სხ. მთელი რიგი საყვედურები იმის გამო, რომ მე არ გავაშუქე ზოგიერთი საკითხები, არ წარმოადგენს [illegible] საყვედურებს, იმიტომ, რომ ჩემს მოხსენებაში მე არ შემეძლო ყველა საკითხების გაშუქება. ჯერ კიდევ, კუზმა პრუტკოვმა სთქვა. რომ „არავის შეუძლია მისწვდეს მიუწვდომელს“-ო. კიდევ მეტიც: კუზმა პრუტკოვი ამბობს: „ჩააფურთხე თვალებში იმას, ვინც გეტყვის, რომ ყველაფერის მიწვდომა შეიძლება“-ო. (სიცილი). ხოლო თემები, რომელნიც დაკავშირებული არიან კომინტერნის მუშაობასთან, თუ მათ მთლიანად ავიღებთ, მართლაც „მიუწვდომელია“. ზედმეტი რამ, მე მგონია, რომ არ მითქვამს. არსებითად კი უნდა ვაღიარო, რომ მთელი რიგი საკითხები დარჩა გაუშუქებელი. საკითხების იმ სიას, რომელთა შესახებაც აქ უკვე იყო ლაპარაკი, მე ჩემის მხრით კიდევ მიუმატებ მთელ რიგ საკითხებს; ამასთანავე, ყოველი ამ პრობლემათაგანი, აღებული თავის თავად, მეტად საინტერესოა. მაგალითად, აღნიშნეს, რომ მე თითქმის არ შევეხებივარ გლეხთა საკითხს. ეს რასაკვირველია. მართალია, რასაკვირველია, შეიძლება ითქვას, რომ მე „დამავიწყდა საშუალო გლეხი“. (სიცილი), მაგრამ მე ამ საკითხს არ შევეხე იმიტომ, რომ საჭიროა აქ ითქვას რაიმე ახალი იმასთან შედარებით, რაც უკვე ითქვა საჭიროა, დასახულ იქნას რაიმე განსაკუთრებული ამოცანები, რომელნიც დასახული არ ყოფილიყვნენ კომინტერნის მიერ. მე არ შევეხებივარ ისეთ საკითხებს, როგორიც არის საკითხი ახალგაზრდათა მოძრაობის, ახალგაზრდათა კომინტერნის და სხ., თუმცა ეს საკითხი, როგორც თქვენ მშვენივრად იცით, განსაკუთრებით ჩვენ ანტიმილიტარისტულ მუშაობასთან დაკავშირებით, დიდ ინტერესს წარმოადგენს.

მე არ შევეხებივარ ქალთა ორგანიზაციების მუშაობის საკითხს, თუმცა არ შეიძლება უარვყოთ ის, რომ ქალთა ორგანიზაციების მუშაობა არის ისეთი საკითხი, რომელსაც თავისთავად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დაბოლოს, მე არ შევხებივარ ისეთ საკითხებს, როგორიც არის უპარტიოთა ფართო ორგანიზაციების მუშაობა, იმ უპარტიოთა ორგანიზაციების, რომელნიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ჩვენთან, ასე თუ ისე იმყოფებიან კომინტერნისა და მისი ცალკე სექციების გავლენის ქვეშ მე არ შევხებივარ [illegible], მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის, კომუნისტური ინტერნაციონალის კოოპერატიული სექციის, სპორტინტერნის და სხ. მუშაობას. ამხანაგებს, რომელნიც მუშაობენ რომელიმე ამ დარგში, აქვთ ერთგვარი საფუძველი მისაყვედურონ, რომ მე არ შევეხე ამ საკითხებს. მაგრამ ვიმეორებ ამხანაგებო, „არავის არ შეუძლია მიუწვდომელის მიწვდომა“ გამოვდიოდი რა ამ მეტად ბრძნული თქმულებიდან, მე არ შევჩერდი ამ საკითხებზე. პარტიული ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფიდან მე მივიღე ბარათი, რომელშიაც ამხანაგები მთხოვენ შევეხო კომინტერნის ცალკე სექციების შინაგან საორგანიზაციო მექანიკას, შინაურ საორგანიზაციო ცხოვრებას. საბოლოო სიტყვაში მე ვერ შევსძლებ ეს ფართო თემა განვავითარო ისე, როგორც ეს საჭიროა, და ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა ამხანაგებს მიუთითებ ამხ. პიატნიცკის წერილების სერიაზე, რომელნიც სპეციალურად დაწერილია ამ საკითხზე. იქ დაწვრილებით არის დახასიათებული კომუნისტური პარტიების შინაორგანიზაციული ცხოვრება, კომუნისტური ფრაქციების მუშაობა პროფკავშირებში და სხვა ორგანიზაციებში, ჩვენი ძალების განაწილება სხვადასხვა ქვეყნებისა და წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის; ამ წერილებში წამოყენებულია აგრეთვე მთელი რიგი პრაქტიკული საორგანიზაციო ამოცანები და დასახულია ამ ამოცანების გადაწყვეტის მეთოდები.

ნება მომეცით დავკმაყოფილდე მხოლოდ ზოგიერთი მოკლე შენიშვნებით ამ საკითხზე. ამხანაგები მეკითხებიან, თუ რამდენად სწრაფად სწარმოებს ჩვენი პარტიების რეორგანიზაცია უჯრედების სისტემის საფუძველზე, საფაბრიკო-საქარხნო სისტემაზე. მე ამაზე უნდა უპასუხო, რომ ეს გადასვლა საერთოდ და მთლიანად სწარმოებს ყველგან კომ. ინტერნაციონალის თითქმის ყველა უმთავრეს სექციებში, ჩვენი საორგანიზაციო მუშაობის ერთ-ერთი დიდი ნაკლი, არის ის გარემოება, რომ მთელ რიგ ადგილებში, სწორედ უდიდეს წარმოებებში ჩვენ უფრო სუსტი ვართ, ვიდრე პატარა წარმოებებში. ეს გარემოება აიხსნება არა მარტო იმით, რომ დიდი წარმოების მუშები ხშირად გაცილებით უკეთეს ნივთიერ მდგომარეობაში არიან და ამიტომ უფრო მეტად ემორჩილებიან სოციალ-დემოკრატიულ გავლენას; ეს გარემოება პირველ რიგში დაკავშირებულია იმასთან, რომ საფაბრიკო-საქარხნო უჯრედების სისტემის დროს, რომელზედაც ჩვენ გადავდივართ, კომუნისტები, როგორც ასეთები, უფრო მალე „აშკარავებენ თავის სახეს“ ფაბრიკებსა და ქარხნებში. კაპიტალისტები აქტიურად მომუშავე კომუნისტურ უჯრედებს წარმოებებში ებრძვიან პოლიციური და ეკონომიური ტერორის მეთოდებით, კომუნისტებს იჭერენ და დევნიან ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან. ამგვარად, საფაბრიკო-საქარხნო უჯრედთა სისტემა, რომელიც არის აბსოლიუტურად აუცილებელი საორგანიზაციო პრინციპი, ვინაიდან უფრო მეტ შესაძლებლობას გვაძლევს მუშების ორგანიზაციულად შეკავშირების მხრივ, ეს სისტემა ამავე დროს იწვევს იმ იერიშების გაძლიერებას, რომელნიც მიმართულია პარტიის წევრების წინააღმდეგ. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მთელ რიგ პარტიებში მეტად მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს უმუშევარი კომუნისტების პროცენტი. მომუშავე კომუნისტებთან შედარებით ეს პროცენტი ზოგიერთ ქვეყნებში მეტად დიდია. ეს დაკავშირებულია აგრეთვე სავსებით გასაგებ მოვლენასთან: მუშების ყველაზე უფრო რევოლიუციონურ ნაწილს კაპიტალისტები პირველ რიგში სდევნიან ადგილებიდან, ამ ამხანაგებს ყრიან ქუჩაში და ხშირად მიმართავენ, ეგრედწოდებული „შავი სიების“ სისტემას. რამდენადაც ჩვენ გვყავს უმუშევართა შედარებით დიდი პროცენტი, რამდენადაც ისინი უშუალოდ არ არიან დაკავშირებული ამა თუ იმ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებასთან, იმდენად კიდევ უფრო იზრდება საფაბრიკო-საქარხნო სისტემაზე გადასვლის სიძნელე. ამ გადასვლას თან სდევს მთელი რიგი სპეციფიური სიძნელეები. მაგალითად, სიძნელენი, რომელნიც გამომდინარეობენ მუშათა განსაზღვრული ნაწილის მუშაობის სეზონური ხასიათიდან, ან სიძნელენი, რომელნიც დაკავშირებული არიან მუშაობის სპეციალურ ხასიათთან. მაგალითად ნავთსადგურის მუშები, ყველა ეს დამატებითი სიძნელენი აძნელებენ გადასვლის ტემპს. მაგრამ ეს გადასვლა საერთოდ და მთლიანად ყველგან ტარდება წარმატებით. რაც შეეხება გლეხების მიზიდვას ჩვენი პარტიების რიგებში, უნდა აღინიშნოს, რომ გლეხები ჩვენს პარტიებში მეტად მცირე რაოდენობას შეადგენენ. ასეთია ჩემი შენიშვნები საორგანიზაციო საკითხზე

ლარინი, სკრიპნიკი და პოლონელი ამხ-ბი

მე კიდევ უნდა გავაკეთო ორი კერძო ხასიათის შენიშვნა, რომ შემდეგ გადავიდე ზოგიერთ ძირითად პრობლემებზე, რომელნიც წამოყენებულ იქნა აქ გამოსული ამხანაგების მიერ. მე უნდა გავაკეთო ერთი შენიშვნა იმ დისკუსიასთან დაკავშირებით, რომელიც სწარმოებდა ლარინსა და სკრიპნიკს შორის ერთის მხრით, და სკრიპნიკსა და პოლონელ ამხანაგებს შორის მეორე მხრით, როგორც ხედავთ, „გაერთიანებული რგოლი“ ორივე შემთხვევაში ამ დისკუსიაში არის სკრიპნიკის ფიგურა.

რაც შეეხება ლარინ-სკრიპნიკის დისკუსიას, მე უნდა შევნიშნო შემდეგი: მე მგონია, რომ ლარინი მართალია, როცა ამბობს, რომ ჩვენ შეგვიძლია აშკარად გამოვიდეთ და აღვნიშნოთ ნაკლულოვანებანი ჩვენი მუშაობის ყოველ დარგში, მათ შორის ეროვნულ პოლიტიკაშიაც. ეროვნული პოლიტიკა არ წარმოადგენს არავითარ გამონაკლისს ჩვენი მუშაობის და ჩვენი პოლიტიკის ყველა იმ დარგებიდან, სადაც ადგილი აქვს ნაკლულოვანებებს, რომელნიც უნდა გავაკრიტიკოთ, ხანდახან მეტად სასტიკადაც. ლარინი სცდება და მის კრიტიკას ენიჭება განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა, რამდენადაც მას წერილში, რომელიც „ბოლშევიკ“-ში დაიბეჭდა. იყო ასეთი განცხადება, რომ ჩვენი უკრაინელი ამხანაგები უკრაინიზაციას ატარებენ „პეტლიურას ყაიდაზე“-ო. ასეთი განცხადების პოლიტიკური წონა შეიძლება მეტად დიდი იყოს. განსაკუთრებით, ეროვნული საკითხის მწვავედ დასმის ატმოსფერაში, ამ საკითხს ეძლევა განსაკუთრებული არაპროპორციონალურად დიდი მნიშვნელობა.

რაც შეეხება დისკუსიას ამხ. სკრიპნიკსა და პოლონეთის კომპარტიის ცეკას წარმომადგენელს შორის, უნდა ვსთქვა, რომ ამხ. სკრიპნიკმა ტყუილად გამოიტანა ეს საკითხი პარტიული ყრილობის არენაზე. ორივე ფრაქციის, ორივე ჯგუფის პოლონელმა ამხანაგებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ის ამხანაგი, ცენტრალური კომიტეტის წევრი არის არა პოლონელი, არამედ ბელორუსი, მას არ უთქვამს ის, რასაც მიაწერს ამხ. სკრიპნიკი, რომელიც ემყარება სტენოგრამის გაუსწორებელ ეკზემპლიარს. ყველასათვის ცხადია, რომ ჩაწერის დროს შეიძლება იქნას დაშვებული შეცდომები. იმ ტექსტის გამოყენება, რომელსაც ყველანი უარყოფენ, უტაქტიკობაა, მით უფრო, რომ მაქსიმალური ერთსულოვნების უზრუნველყოფა ეხლა უკრაინელ ამხანაგებსა და პოლონელ კომუნისტებს შორის, ძირითადი პირობაა ჩვენი გამარჯვებისათვის. ნება მომეცით განვაცხადო, რომ ეს ერთსულოვნება ყოველ ეჭვს გარეშეა. აი, ის შენიშვნები, რომელნიც, ჩემის აზრით, აუცილებელი იყო გამეკეთებინა ამ საკითხის გამო.

ამხ. უგლანოვის შენიშვნები

ეხლა კი ნება მომეცით უპასუხო მთელ რიგ შენიშვნებს, რომელნიც წამოყენებულ იქნა არსებითად ჩემი მოხსენების ირგვლივ. უპირველეს ყოვლისა, რამოდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა ამხ. უგლანოვის ზოგიერთ შენიშვნებზე, რომელმაც, საერთოდ რომ ვსთქვათ, წამოაყენა მთელი რიგი სავსებით მართალი წინადადებანი. ამხ. უგლანოვმა თავის სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა, რომ მე აუცილებლად უნდა შევჩერებულიყავი „სტაბილიზაციის მეორე მხარეზე“, სახელდობრ იმ წინააღმდეგობებზე, რომელნიც მას სდევს თან, კერძოდ გერმანიაში. როცა ადგილიდან დაუძახე, რომ მე ამას დაწვრილებით შევეხე, ამხ. უგლანოვმა სთქვა, რომ ეს მართალი არ არისო. მაგრამ სტენოგრამის უბრალო შემოწმება სავსებით ამტკიცებს ჩემს სიმართლეს. სტენოგრამაში ნათქვამია: „ჩვენ მთელი რიგი წინააღმდეგობანი გვაქვს ცენტრალურ ევროპაში. თუ ჩვენ ავიღებთ ევროპის ყველა, წინააღმდეგობათა უმთავრეს წერტილს, მე მგონია, რომ ევროპის წინააღმდეგობათა ეს წერტილი არის გერმანია. გერმანიის მაგალითზე ცხადია ამ წინააღმდეგობათა მრავალი არსებითი მხარე“.

შემდეგ მოყვანილი მაქვს მუხლი რეპარაციების შესახებ,—ციტატები „რეინ-ვესტფალიის გაზეთიდან“ 14 დეკემბრის თარიღით, შემდეგ დაწვრილებითი ანალიზს უკეთებ ვალებისა და იმ ექსპორტის საკითხს, რომელიც აუცილებელია ვალების გადასახდელად, გერმანიის პასიურ სავაჭრო ბალანსს წინააღმდეგობას გერმანიის კაპიტალიზმის ეკონომიკისა და გერმანიის „განიარაღების“ შორის, ყველგან წითელი ზოლივით გადის ის აზრი, რომ გერმანია არის სტაბილიზაციის პროცესის წინააღმდეგობათა კლასიკური ქვეყანა. მე მადლობელი ვარ კრიტიკის ყოველი მითითებისათვის, მე ბოდიშს ვიხდი იმის გამო, რომ აუარებელი მასალებით დავქანცე პარტიული ყრილობის წევრები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, „თავდაბლად აღვნიშნავ“, რომ ყოველივე ეს მე ვსთქვი ჩემი მოხსენების დასაწყისშივე.

„სახელმწიფო კაპიტალიზმი“

გადავდივარ საკითხზე სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, მე ისევ უნდა მოვიყვანო ციტატები ჩემი სიტყვიდან. ეს მეტად არასასიამოვნოა, მაგრამ აუცილებელია. რაზე ვილაპარაკე მე ამ საკითხის გარკვევის დროს? ვილაპარაკე თუ არა მე სახელმწიფო კაპიტალიზმზე, როგორც ფაქტზე? არა, მე ვილაპარაკე ტენდენციაზე სახელმწიფო კაპიტალიზმის მიმართულებით. ვილაპარაკე თუ არა იმაზე, რომ პირველ რიგში ხაზს ვუსვამ არა ფორმალურ სახელმწიფო კაპიტალისტურ ორგანიზაციას, ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლების პირდაპირ ჩარევას სამეურნეო ცხოვრებაში ან სამეურნეო ორგანიზაციების გასახელმწიფოებრიობას? ვილაპარაკე, კიდევ მეტი—მე ვილაპარაკე, რომ აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ძლიერდება ტენდენცია, რომელსაც მე უწოდებ თვით სახელმწიფო ხელისუფლების ტრესტიფიკაციის ტენდენციას. დავსვი თუ არა მე საკითხი ისე, რომ თითქოს აქ ხდება რომელიღაც პრინციპიალურად ახალი პროცესი, რომელსაც წინად არ ქონია ადგილი? არავითარი ამის მსგავსი. მე გავაკეთე სათანადო შენიშვნები და პირდაპირ ვსთქვი, რომ აქ ადგილი არა აქვს პრინციპიალურად ახალ მოვლენას, მაგრამ ეს პროცესი, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, ისეთი ტემპით წავიდა წინ, რომ ეს მოვლენა უნდა აღინიშნოს, როგორც თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა. აი, რას ვამბობდი მე. ეხლა ამ დებულების წინააღმდეგ იერიშები მიიტანეს ამხ. ლოზოვსკიმ და შაცკინმა, ვინაიდან ამ ამხანაგებმა განაცხადეს, რომ ამ საკითხს უდიდესი თეორეტიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვსო, რომ ამ საკითხის არასწორად გადაწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს არევ-დარევა, ამიტომ აუცილებლად ვსცნობ ამ საკითხზე შევჩერდე ცოტა უფრო დაკვირვებით.

დავიწყებ ამხ. ლოზოვსკის სიტყვიდან. ამხ. ლოზოვსკიმ ჩემს შესახებ სთქვა შემდეგ (მომყავს სტენოგრამიდან):

„როცა ამხ. ბუხარინი აქ ახასიათებდა ეხლანდელ მდგომარეობას, უმთავრესად ევროპისა და ამერიკის კაპიტალიზმის მდგომარეობას, მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ეხლა იწყება ან თავს იჩენს სახელმწიფო კაპიტალიზმის პერიოდი, სინდიკატებისა და კონცერნების ზრდის პერიოდი. კერძო-მონოპოლისტური ორგანიზაციების ზრდა მან გააერთიანა ერთი საერთო სახელწოდებით—სახელმწიფო კაპიტალიზმი“.

რომ მართლა მეთქვა ის, რაც მომაწერა ამხ. ლოზოვსკიმ, მე მართლაც შემცდარი ვიქნებოდი მთელი ხაზით. მაგრამ ამხ. ლოზოვსკის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი პოლემიკას ეწევა ისეთი რამის წინააღმდეგ, რომელიც მან თვითონ შეთხზა და მომაწერა მე. განა მე ვსთქვი, რომ „ეხლა „იწყება“ ან „თავს იჩენს“ „სახელმწიფო კაპიტალიზმის პერიოდი?“ არავითარი ამის მსგავსი მე არ მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა. მე ვამბობდი, პირიქით, რომ არავითარი პრინციპიალურად ახალი რამ არ მომხდარა. შემდეგ მე ვსთქვი, რომ აქ ლაპარაკია „ტენდენციებზე სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ,“ რამდენადაც პირველ რიგში ქვევიდან კაპიტალის სამეურნეო ორგანიზაციის წრიდან ვითარდება ტენდენცია იმისა, რომ ეს ორგანიზაციები დაუკავშირდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას. ერთია ამ ტენდენციებზე ლაპარაკი და სულ სხვაა „სამეურნეო ორგანიზაციების ზრდის გაერთიანება. საერთო სახელწოდებით—სახელმწიფო კაპიტალიზმი“.

რა ხდება? რომ ტრესტები, ყველაზე უფრო მონოპოლისტური ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, —ეს მართალია, ეს ხელმძღვანელობა გაძლიერდა. მაგრამ ხდება თუ არა ასე ვთქვათ, კონცერნებისა და ტრესტების არა გასახელმწიფოებრიობა, არამედ სახელმწიფო აპარატის ერთგვარი ტრესტიფიკაცია, რომელსაც თეორეტიულად შეიძლება უწოდოთ სახელმწიფო კაპიტალიზმი? მე მგონია, რომ ეს არ შეიძლება უწოდოთ.

შემდეგ უნდა აღინიშნოს ამხ. ლოზოვსკის იგივე შეცდომა, უფრო სწორად რომ ვსთქვა, მის მიერვე აღნიშნული შეცდომის შემდგომი განვითარება. ჯერ ერთი, არ შეიძლება ასე აწარმოო პოლემიკა საკითხზე, რომელსაც თვითონვე სთვლი მნიშვნელოვნად. არ შეიძლება ასე ლაპარაკი: ამხ. ბუხარინმა მგონი ამაზე ილაპარაკა. მე მართლა ვილაპარაკე ამაზე, „მგონია“ აქ რა შუაშია. მეორე, მე არ მითქვამს,—და ეს ამ შემთხვევაში გადამწყვეტია, —რომ თითქოს „სახელმწიფო ხელისუფლების ტრესტიფიკაციას“ „შეიძლება უწოდოს სახელმწიფო კაპიტალიზმი.“ მე რომ ასეთი რამ მეთქვა, მე „გადავახტებოდი“ განვითარების დიდ სტადიას და ტენდენციას ჩავთვლიდი დამთავრებულ პროცესად, ე. ი. ცხოვრებას მივუყენებდი ისეთ სქემას, რომელიც მას არ შეეფერება. მაგრამ საბედნიეროთ ამხ. ლოზოვსკი სცდება, ვინაიდან მე ვილაპარაკე ტენდენციებზე კაპიტალიზმისაკენ, ტენდენციებზე, რომელნიც სახელმწიფო კაპიტალიზმს ამზადებენ. ეს კი ერთი და იგივე არ არის. აქ საჭიროა უდიდესი სისწორე. აი, ამიტომ ამხ. ლოზოვსკის არგუმენტაცია არ შეეფერება სიმართლეს.

პასუხი ამხ. შაცკინს

ახლა გადავდივარ შაცკინზე. შაცკინი შეეცადა დაესაბუთებია ჩემი დებულებების ერეტიულობა და ციტატებიც კი მოიყვანა „კომუნიზმის ანბანი“-დან. ეს რასაკვირველია, არ ვიზიარებ იმას, რომ თითქოს ჩვენ ყველამ დავივიწყეთ კომუნიზმის ანბანი, ისევე როგორც არ შემიძლია დავეთანხმო იმას, რომ მე დამავიწყდა „კომუნიზმის ანბან“-ში დაწერილი აზრები, და საერთოდ დავივიწყე კომუნიზმის ანბანი. შაცკინი შეეცადა „დაწვრილებითი ანალიზის“ მოხდენას და პირველ რიგში განაცხადა, რომ მას სურს „გააბათილოს“ ბუხარინის რამოდენიმე არგუმენტი, და გააკეთა რა მთელი რიგი ქვეყნების „მიმოხილვა“, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვცდები მთელ ხაზზე. მე ნებას მივსცემ თავს კვალდაკვალ მივყვე შაცკინს—მის „მიმოხილვასა“ და ანალიზში. უპირველეს ყოვლისა, მე უნდა გავაკეთო ასეთი საერთო ხასიათის შენიშვნა. იმპერიალისტური სახელმწიფოების შინაგანი სტრუქტურისა და მათი ეკონომიკის განხილვის დროს ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: სახელმწიფო კაპიტალიზმის ელემენტები დასავლეთ ევროპაში, რომელთაც აქვთ სპეციფიურად სამხედრო ხასიათი და რომელნიც რამდენადმე შეიძლება იქნან აღებული, როგორც ჩვენი სამხედრო კომუნიზმის ეპოქის პარალელი, ეს ელემენტები უნდა იქნან განსხვავებული დასავლეთ-ევროპის ქვეყნების სახელმწიფო კაპიტალიზმის თანამედროვე ელემენტებისაგან ანუ ტენდენციებისაგან სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ. ეს უნდა ვსთქვათ იმიტომ, რომ თუ ჩვენ, მაგალითად, გვაქვს სახელმწიფო კაპიტალისტური ხასიათის მთელი რიგი ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც გამოწვეული იყო დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო მოთხოვნილებებით უშუალოდ ომის დროს, მაშინ სავსებით ბუნებრივია, რომ ომის შემდეგ ჩვენ გვაქვს სამხედრო სახელმწიფო კაპიტალიზმის ამ ფორმების მოსპობის პროცესი. მაგრამ ეს არ ნიშნავს მოსპობის პროცესს და ტენდენციას სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ საერთოდ. აუცილებელია ამ განსხვავების შეგნება, რომ ზოგიერთი ყალბი არგუმენტები არ იქნას მიღებული ჭეშმარიტ არგუმენტებათ, რომ დროებითი ტენდენციები არ იქნას მიღებული ძირითად ტენდენციებათ, რომ არ იქნას არეული სხვადასხვა გვარი საკითხები, რომელნიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, მაგრამ რომელნიც არსებითად განსხვავდებიან თავისი შინაარსით.

გადავიდეთ ამხ. შაცკინის არგუმენტების დეტალურ განხილვაზე. ამხ. შაცკინი იწყებს იტალიიდან და ამტკიცებს, რომ „კორპორატიული სახელმწიფოს“ აღმოცენების ფაქტი იტალიაში არავითარ შემთხვევაში არ ამტკიცებს სახელმწიფო კაპიტალისტური ტენდენციების არსებობას, რომ იტალიის მაგალითი არ არის სწორიო. რატომ არ არის სწორი? თურმე იმიტომ, რომ „ომის დროს არსებობდა საპარლამენტო მთავრობები, ყოველ შემთხვევაში მათი ფორმალური წარმოშობით გერმანიაშიც და ავსტრიაშიაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი გაცილებით უფრო მეტად იყვნენ სახელმწიფო კაპიტალისტური ხასიათის, ვიდრე მუსოლინის ეხლანდელი „კორპორატიული სახელმწიფო“.

მაშასადამე ამხ. შაცკინის უმთავრესი არგუმენტი იტალიის შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ ომის დროს გერმანიაში და ავსტრიაში იყვნენ უფრო განვითარებული სახელმწიფო კაპიტალისტური ელემენტები, ვიდრე ეხლა, მუსოლინის ეხლანდელი „კორპორატიული სახელმწიფოში“. მაგრამ განა ეს არგუმენტია? რასაკვირველია არა. იმიტომ რომ ომის შემდგომმა ფაშისტურმა იტალიამ პირველად განავითარა სახელმწიფო-კაპიტალისტური ხასიათის მთელი რიგი ტენდენციები, რომელნიც წინედ, ომის დროს იქ არ არსებობდა. ამხ. შაცკინი, რომელიც მეკამათება, იძულებულია თვითონვე აღიაროს: „იტალიის ეს სახელმწიფო კაპიტალისტური მისწრაფებანი აქ მართლაც არის“-ო. და თუ არის, მაშინ რაღა საჭიროა წყლის ნაყვა? ამხ. შაცკინმა სხვა „არგუმენტი“ წამოაყენა: იტალიის მთავრობას სამი წლის წინედ ჰქონდა სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმების იდეა. კარგი. მაგრამ აქედან ხომ სრულიად არაფერი არ გამოვიდა. ეს კი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. თქვენ შეუდექით ჩემი დებულების უარყოფას, ბოლოს და ბოლოს კი მიხვედით იქამდე, რომ აღიარეთ ამ დებულების ჭეშმარიტება. ასე რომ მე სავსებით კმაყოფილი ვარ თქვენი „მიმოხილვით“ იტალიის შესახებ. მე ვამბობდი, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმის ნიშნები არ აქვს კორპორატიულ სახელმწიფოს. თქვენ პირდაპირ ამბობთ: „სახელმწიფო კაპიტალისტური მისწრაფებანი მართლაც არსებობს“-ო. რაც შეეხება საკითხს არსებითად, მე აქ მოვიყვანე მთელი რიგი ფაქტიური არგუმენტები და თქვენ არც ერთი სიტყვით არ უარგყვიათ ისინი, თქვენ ვერ უარჰყავით სახელმწიფოს მიერ ფასების მოწესრიგების ფაქტი, რაიც მეტად არსებითი მომენტია სახელმწიფო კაპიტალისტური უშუალო ტენდენციების განვითარებაში, თქვენ ვერ უარჰყავით პროფკავშირების გასახელმწიფოებრივობაც. ამგვარად, ამხ. შაცკინის „არგუმენტი იტალიის შესახებ“ ძალიან სუსტია.

შემდეგ ამხ. შაცკინი „აბათილებს“ ჩემს არგუმენტს „ვენის“ შესახებ. აქვე უნდა ვთქვა, რომ მე ერთი ქვეყნიდან მეორეში კი არ დავფრინავდი და შემთხვევით კი არ ვიღებდი ამ ქვეყნებს, არამედ ავიღე ქვეყნების სხვადასხვა ტიპები, რომლებშიაც სხვადასხვანაირად აშკარავდება ტენდენცია სახელმწიფო კაპიტალისტურ განვითარების მხრივ. მე ავიღე გერმანია, იტალია, ავსტრია და იაპონია, როგორც ოთხი ტიპი ქვეყნებისა, რომლებშიაც სხვადასხვანაირად აშკარავდება ეს ტენდენციები. შაცკინი კვალდაკვალ მომდევს „მამალივით“ და ამბობს: „მე უნდა გავაბათილო ამხ. ბუხარინის ნათქვამი ვენის მუნიციპალიტეტის შესახებ“, იმიტომ, რომ „ვენის მუნიციპალიტეტის სამეურნეო მოღვაწეობა სოციალისტურ დემაგოგიის გარდა არაფრით არ განსხვავდება დანარჩენ მუნიციპალიტეტების მოღვაწეობიდანო“. კაპიტალისტური ხასიათის მხრივ ის, თავისთავად იგულისხმება, არც შეიძლება პრინციპიალურად განსხვავდებოდეს სხვა მუნიციპალიტეტების მოღვაწეობიდან. „ვენის მუნიციპალიტეტი არ ეხება ვენის მრეწველობას, არ აწესრიგებს მასო“, ასე ამტკიცებს ამხ. შაცკინი სტენოგრამის ერთ გვერდზე. მე ვფურცლავ სტენოგრამას და მეორე გვერდზე ვკითხულობ: „მართალია, მის წარმოებებს ავსტრიის სახალხო მეურნეობაში აქვს რამოდენიმედ მეტი ხვედრითი წონა, ვიდრე სხვა ქვეყნებში“. მაგრამ თუ ვენის მუნიციპალიტეტი არ ეხება სამრეწველო ცხოვრებას, როგორღა შეიძლება მას წარმოებები ჰქონდეს? მე კი ამის შესახებ როდი ვლაპარაკობდი. ერთის მხრივ შაცკინი ამბობს, რომ ვენის მუნიციპალიტეტი არ ეხება სამრეწველო ცხოვრებას, მეორეს მხრივ კი გაოცებული მკითხველი და მსმენელი გებულობს, რომ მას აქვს რაღაც წარმოებები, რომლებსაც აქვს „რამოდენიმედ მეტი ხვედრითი წონა, ვიდრე სხვა ქვეყნებში“. შეიძლება აღვნიშნოთ ეს „წარმოებები“: აი გაზის წარმოება და მოწყობილება, ელექტრონის წარმოებები, არსენალი (სადაც მზადდება სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც).

გარდა ამისა არსებობს საკონცესიო წარმოებები, რომელთაც აწესრიგებს ვენის მუნიციპალიტეტი. იგივე უნდა ითქვას ელექტრონის რკინის გზებისა და ტრანსპორტის სხვა საშუალებათა შესახებ. ამხ. შაცკინი ამბობს: „მაგრამ ეს ხომ იმით აიხსნება, რომ სენ ჟერმენის ზავის შემდეგ მთელი ავსტრიიდან დარჩა მხოლოდ ერთი დედა-ქალაქი და მისი მიდამოები“. რა ეწოდება ამ დედა-ქალაქს? ამ დედა-ქალაქს ეწოდება ვენა. მაშ როგორღა ამბობთ თქვენ ამავე დროს, რომ ვენის მუნიციპალიტეტი არ ეხება სამრეწველო ცხოვრებას. აი ამას ქვია კაცი ორ ხის შორის დაიკარგაო (სიცილი). მიუხედავათ ამისა, მაინც ფაქტად რჩება ის, რომ ამხ. შაცკინი სცნობს, რომ ვენის მუნიციპალიტეტის წარმოებებს აქვთ დიდი ხვედრითი წონა, ხოლო თვით ვენა—თითქმის მთელი ავსტრიაა. თუ ის სცნობს ყოველივე ამას, თუ სცნობს, რომ ვენა—ეს თითქმის მთელი ავსტრიაა და რომ ვენის მუნიციპალიტეტი „ეხება“ სამრეწველო ცხოვრებას, მე მეტი სრულებით არაფერი არ მინდა. რაკი მან ეს სცნო, მე არაფერი მაქვს მასთან სადაო.

შემდეგ ამხ. შაცკინი „აბათილებს“ ჩემს მესამე არგუმენტს იაპონიის შესახებ. იაპონიაში მართლაც არსებობს სახელმწიფო კაპიტალიზმის ელემენტები, მაგრამ ჯერ ერთი ეს არ არის ახალი ამბავი (სიცილი). მაგრამ მე მეკითხებით, იზრდებოდა თუ არ იზრდებოდა ეს ელემენტები უკანასკნელ დროს? ამაშია ხომ მთელი საკითხი? თქვენ კი ამ საკითხს გვერდს უვლით. მე ვამტკიცებ, რომ ეს ელემენტები გაიზარდა. თქვენ კი ამაზე არაფერს ამბობთ. თქვენ ეხებით ბევრ სხვა „საინტერესო“ საგნებს, მაგრამ ამ კითხვაზე არავითარ პასუხს არ იძლევით. მაშასადამე, ეს თქვენი „არგუმენტი“ არაფრად არ ვარგა. შემდეგ ამხ. შაცკინი იაპონიის შესახებ ამბობს: „რადგან თვით ამხ. ბუხარინი სცნობს, რომ ეს აღმოცენდა იაპონიის ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე თავისებური გადასვლის საფუძველზე, მაშასადამე, ეს შეიძლება გადატანილ იქნეს საერთაშორისო მდგომარეობაში, როგორც საერთაშორისო ტენდენცია“. კარგი. ის, რომ იაპონიაში სახელმწიფო კაპიტალიზმის ტენდენციები აღმოცენდა თავისებურ გადასვლის ნიადაგზე ლაპარაკობს იმ ფორმების შესახებ. რომლებშიაც ეს ხდება. ეს მე თვითონ აღვნიშნე. მაგრამ განა ეს არგუმენტია ჩვენი არგუმენტის წინააღმდეგ? მე თვითონ ვლაპარაკობდი ამ ტენდენციების განვითარების შესახებ თავისებურ გადასვლის ნიადაგზე.

მაგრამ მე, გარდა ამისა, ხაზგასმით აღვნიშნავდი მეორე მნიშვნელოვან მომენტს, იმ მომენტს, რომ თავისი საერთაშორისო მდგომარეობის გამო იაპონია გაცილებით უფრო, ვიდრე სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები, იძულებული იყო შეემჭიდროებია საკუთარი ეკონომიკა, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო კაპიტალიზმის ელემენტების ზრდის დაჩქარებას. მაგრამ ეს მოწმობს სწორედ იმ საერთაშორისო ფაქტორების არსებობის შესახებ, რომლებიც აძლიერებენ ამ ტენდენციის განვითარებას იაპონიაში. ამხ. შაცკინმა ბევრხანს იტრიალა ერთ ადგილას და დაბოლოს ის იძულებული გახდა კიდევ ერთხელ დაედასტურებია ის, რაზედაც მე ვლაპარაკობდი. მაშასადამე, არც იაპონიის ხაზით აღარაფერი დაგვრჩა სადაო.

ამხ. შაცკინი უმთავრეს არგუმენტად აყენებს იმას, რომ მიუთითებს განვითარების ასეთ პირობებზე კიდევ ორ ქვეყანაში და ფიქრობს, რომ ეს სავსებით აქარწყლებს მთელ ჩემს არგუმენტაციას. ის ამბობს, რომ საფრანგეთში და გერმანიაში ჩვენ ვხედავთ არა სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ ზრდის ტენდენციას, არამედ სრულიად საწინააღმდეგო პროცესს. უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ ხაზგასმით, რომ მე ვლაპარაკობდი ტენდენციებზე სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ და არა სახელმწიფო კაპიტალიზმის, როგორც დამთავრებულ ფორმაციაზე. მეორე ის, რომ მე ვლაპარაკობ პირველ რიგში იმის შესახებ, რომ ადგილი აქვს უდიდესი ცენტრალიზაციაქმნილი წარმოებების, კონცერნების, ტრესტების და სხვ. „ძირიდან“ შეზრდას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, რაც ხდება ამ ტენდენციების განვითარების ხაზით. აქვს თუ არა მართლა ადგილი საფრანგეთში „საწინააღმდეგო პროცესს“. მე არ ვიცი რას ემყარება ამგვარი მტკიცება. საფრანგეთი ომის განმავლობაში და განსაკუთრებით ომის შემდეგ პერიოდში პირველად გახდა უდიდესი სამრეწველო ქვეყანა. მე კიდევ ვიმეორებ საფრანგეთის შესახებ. ყველამ კარგად იცის, რომ ომის დროს და ომის შემდგომ პერიოდში საფრანგეთი პირველად გახდა მსხვილ სამრეწველო ქვეყანად, როცა მან შეიერთა გერმანიის მნიშვნელოვანი ნაწილი და ისარგებლა სამხედრო გამარჯვებას შედეგებით.

ის მიუხედავათ ყველა უბედურებისა და დაბრკოლებებისა, რომლებიც გამომდინარეობს ომის შემდგომი კონიუნქტურიდან (ინფლიაცია, ფრანკის დაცემა და მთელი რიგი სხვა მოვლენები) მაინც დაწინაურდა უკანასკნელ დროს ევროპაში, როგორც სამრეწველო განვითარებისა და ტრესტებში გაერთიანებულ მრეწველობის ქვეყანა. ეს არის ომის შემდგომი საფრანგეთის ეკონომიკის განვითარების რეალური ფაქტი, ფაქტი, რომელიც უნდა აღინიშნოს პირველ რიგში. უდავოდ რჩება ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ არასოდეს არ ჰქონია ადგილი საფრანგეთის ცხოვრებაში მსხვილ კაპიტალისტურ ორგანიზაციების ისეთ შეხორცებას უშუალოდ სახელმწიფო ხელისუფლებასთან, როგორც ამას ადგილი აქვს ეხლა. განსაკუთრებით პუანკარეს მთავრობის დროს. ეს იწვევს პოლიტიკურ შედეგებს სწორედ იმიტომ, რომ „კომიტე დე ფორჟ“—ეს არის პუანკარე, იმიტომ, რომ ნაციონალური ბლოკი არის ამ უდიდეს ორგანიზაციების გამოხატულება, იმიტომ, რომ ეს არის მსხვილ ტრესტების, ბანკებისა და კარტელების მთავრობა. სწორედ ამას ვუსვამდი მე ხაზს.

ეხლა გერმანიის შესახებ. ამხ. შაცკინმა გვერდი აუარა ჩემი არგუმენტაციის ზოგიერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილებს. მაგალითად, ფაქტია, თუ არ არის ფაქტი, რომ ხდება გერმანიის გადაკეთება ელექტრიფიკაციის საფუძველზე? მართალია, თუ არ არის მართალი, რომ ელექტრონის ენერგიის მთელი წარმოების თითქმის მეხუთედი სახელმწიფოს ან მუნიციპალურ ორგანოების ხელშია? და ეს ხომ ქვეყნის მთელი ეკონომიკის გადაკეთების ტექნიკურ-ეკონომიური საფუძველია. განა შეიძლება ამ ძირითად ფაქტისათვის გვერდის ავლა. შაცკინმა კი ამის შესახებ ერთი სიტყვაც არა სთქვა და გადამწყვეტ არგუმენტად წამოაყენა სრულებით სხვა ფაქტი. მაგრამ ამხ. შაცკინო, ეს მეორე არგუმენტი—თქვენი მაგალითი რკინის გზების შესახებ—არაფრად არ ვარგა.

ის ამბობდა, რომ რკინის გზები გადასცეს კერძო საზოგადოებებს. რომ სახაზინო რკინის გზები გაჰყიდეს, და რომ ეს არის სახელმწიფო კაპიტალიზმის ტენდენციის საწინააღმდეგო პროცესიო. მაგრამ ვის ხელშია რკინის გზები? ფაქტიურად რკინის გზები სარეპარაციო საქმეთა აგენტის ხელშია. საზოგადოება, რომელიც ფლობს რკინის გზებს, ეს არის სპეციალური საზოგადოება, რომელიც იმისათვის არის შექმნილი, რომ რკინის გზების კონტროლი გადასცეს სხვა სახელმწიფოების განკარგულებაში. არსებითად სარეპარაციო საქმეთა აგენტის მოქმედება ასურათებს მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ შინაარსს, მხოლოდ სხვა სახელმწიფოებრივობას. სხვა სახელმწიფოები განაგებენ რკინის გზებს. მაგრამ ამ მაგალითის წამოყენება ჩემი არგუმენტაციის გამანადგურებელ არგუმენტად, არაფრად არ ვარგა. მე ვამტკიცებ, რომ ისეთი უდიდესი კომბინატები, როგორც ფოლადის ტრესტი, ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა შეხორცებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან და გერმანიის მთავრობასთან, როგორც შეხორცებულია ამჟამად. შემდეგ მე ვამტკიცებ, რომ ელექტრონის წარმოების ოთხი მეხუთედი იმყოფება სახელმწიფო ან მუნიციპალურ ორგანოების ხელში. ეხლა შეიძლება, ჯამი გავუკეთოთ დისკუსიას ამ საკითხის შესახებ, დისკუსიას, რომელიც, ჩემის შეხედულებით, არ აღმოჩნდა მთლად უსარგებლო. ჩვენ ვხედავთ, რომ ტენდენციის განვითარება სახელმწიფო კაპიტალიზმის მხრივ მიდის ორი მთავარი გზით. ერთის მხრივ (და ეს არის მთავარი ტენდენცია) კაპიტალის სამეურნეო ორგანიზაციების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან შეხორცების პროცესში „ქვევიდან“ ხდება ის, რასაც მე ვუწოდე სახელმწიფო ხელისუფლების „ტრესტიფიკაცია“. აქ კიდევ არ არის სახელმწიფო კაპიტალიზმის ფორმალური მომენტები, მაგრამ ეს ძლიერ მკაფიო და ძლიერ არსებითი ტენდენციები ნიადაგს უმზადებს სახელმწიფო კაპიტალიზმს. ამიტომ სრული უფლება გვაქვს ამ ტენდენციებს ვუწოდოთ „ტენდენციები სახელმწიფო კაპიტალიზმის მიმართულებით“, ვინაიდან ისინი გამოხატავენ „შეხორცების“ რეალურ პროცესს! მეორეს მხრივ, ჩვენ ვხედავთ უკვე ფორმალურ სახელმწიფო კაპიტალისტურ ელემენტების (სახელმწიფო წარმოებები, ტრესტების აქციების მფლობელობა, კომუნალური წარმოებები, პროფკავშირთა გასახელმწიფოებრივობა და ფასების მოწესრიგება) ერთგვარ ზრდასაც. ეს პროცესი, ასე ვთქვათ არის „ზევიდან“.

სხვადასხვა ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ განვითარების თავისებურ ვარიანტებს. არასწორი, წინდაუხედავი და საზიანო იქნებოდა, რომ ჩვენ გადავეხტომოდით განვითარების სხვადასხვა საფეხურებს და გამოგვეცხადებინა „ერა“, „ხანა“ და სხვ. სახელმწიფო კაპიტალიზმისა, როგორც განვითარების ახალი ფაზა, მაგრამ ამდენადვე არასწორი იქნებოდა არ დანახვა ზემოხსენებულ ტენდენციებისა, რომლებსაც სულ უფრო და უფრო უპირდაპირებს პროლეტარიატი გაერთიანებულ ბურჟუაზიის საერთო ძალებს, იმ ბურჟუაზიის, რომელსაც ხელს უწყობს სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმი. ასეთია ბალანსი ამ საკითხში.

წყნარ ოკეანეს ქვეყნებში

ხანამ გადავიდოდე ტაქტიკურ პრობლემებზე, კიდევ მაქვს ერთი შენიშვნა. მე უნდა ვსთქვა, რომ ამხ. ლოზოვსკიმ, ჩემი შეხედულებით, სრულებით სწორად გაუსვა ხაზი მუშათა მოძრაობის პრობლემას წყნარ ოკეანეს ქვეყნებში. ეს თავისთავად სწორია, ვინაიდან ჩემ მიერ მოხსენებულ კოზმა პრუტკოვს ორ ადგილზე ნათქვამი აქვს შემდეგი: ჯერ ერთი, „დედამიწის ყველაზე უფრო დაშორებული პუნქტები რაიმესთან ახლო არიან, ყველაზე უფრო ახლო პუნქტები კი რაიმეს დაშორებული არიან“ (სიცილი). მას აქვს მეორე ბრძნული გამოთქმა: „დედამიწის ზურგის ყველა ნაწილებში არის საკუთარი, ზოგჯერ საკმაოდ საინტერესო, სხვა ნაწილები“ (სიცილი). მე ვფიქრობ, რომ ამხ. ლოზოვსკი სრულიად მართალი იყო, როდესაც ხაზი გაუსვა ზოგიერთ სხვა განსაკუთრებით საინტერესო „ნაწილებს“ დიდ მატერიკზე, სადაც მუშათა მოძრაობა პირველად ვითარდება. მაგრამ ამხანაგებო, მე მაინც უნდა გავაკეთო ერთი შენიშვნა ამხ. ლოზოვსკის იმ შეფასების შესახებ, რომელსაც აძლევს ის მის მიერ მოხსენებულ პრობლემას. მე მგონია, რომ ამხ. ლოზოვსკი მეტის-მეტად გადაჭარბებულად აფასებს ჩვენს ძალებს, პროფინტერნის ძალებს, მთელი კომუნიზმის ძალებს ამ ეტაპზე, როდესაც ლაპარაკობს ამ პრობლემების შესახებ.

ავიღოთ, მაგალითისათვის, ავსტრალიის მუშათა მოძრაობა. ამხ. ლოზოვსკიმ დახატია მას „თავისი ხელით“ და მიაჩნია ის თავისად, თითქოს უკვე ჯიბეში ედოს იგი. მაგრამ ამავე დროს, ეს სულაც არ არის ასე. ავსტრალიის პროფმოძრაობის წარმომადგენლებს შეუძლიათ ოცჯერ ჩამოვიდენ თქვენს კონფერენციებზე, მაგრამ ჩვენ მაინც კარგად ვიცით, რომ ტრედიუნიონისტული ავსტრალიის პროფმოძრაობა ჯერ საერთოდ უაღრესად რეფორმისტულია და როგორც თქვენ იქ დაგითვლიათ, ავსტრალიის პროფმოძრაობის თითქმის 500.000 წევრის პირდაპირ და უშუალოდ „თავის დეპარტამენტში“ ჩარიცხვა, როგორც ეს თქვენ ჩაიდინეთ ეს დიდი გაუფრთხილებლობაა. ჩვენ იქ გვაქვს ხელმოსაკიდი ადგილები, ჩვენ იქ წინასწარ მუშაობას ვაწარმოებთ, ჩვენ სულ უფრო და უფრო დიდი ენერგიით უნდა ვაწარმოოთ მუშაობა, მაგრამ პირადათ მე არ მაქვს იქ დიდი იმედები უახლოეს დროში. ჩვენი წარმატებების ბაზისი იქ ჯერჯერობით არც ისე დიდია, იმიტომ, რომ ავსტრალიის მუშები ჩაყენებული არიან შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში. ჩვენ დაწვრილებით ვიხილავდით ავსტრალიელ ამხანაგებთან ერთად მდგომარეობას მათ ქვეყანაში და ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ მეტის-მეტად ბრწყინვალე პერსპექტივების იმედის ქონება უახლოეს დროში იქ არ შეიძლება. ეს უფრო სწორი იქნება.

მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხი

ეხლა მთავარი ტაქტიკური ხაზის შესახებ. მე უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ყველა გამოსული ორატორები, გამოუკლებლივ, სრული ერთსულოვნებით უცხადებდენ სოლიდარობას იმ ხაზს, რომელიც უკანასკნელ ხანებში გამოიმუშავა კომინტერნის აღმასკომმა რეფორმიზმის კამპანიის ტაქტიკის და სპეციალურად პროფკავშირებში მუშაობის ტაქტიკის შესახებ.

მაგრამ ფრჩხილებში უნდა ავღნიშნო, რომ ეს უკანასკნელი საკითხი, საკითხი პროფკავშირებში მუშაობის ჩვენი ტაქტიკის შესახებ, ჩვენ აქ, არც მე, არც ამხ. ლოზოვსკის, არც იმ ამხანაგებს, რომლებიც ლაპარაკობდენ საკავშირო პროფსაბჭოს სახელით, დაწვრილებით არ გაგვივითარებია. ჩვენ ფორმულიროვკებს ჯერ სრულებითაც არ გადაუჭრია მთელი ეს საკითხი, იმიტომ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ჩვენს წინაშე ისმება მთელი რიგი კონკრეტული პრობლემები, რომელთა გადაჭრა არ შეიძლება ამოიწუროს ზოგადი უნივერსალური ფორმულებით პროფკავშირებში მუშაობის პრინციპების შესახებ. ჩნდება მთელი რიგი უფრო კონკრეტული სპეციალური საკითხები. მაგალითად, შეიძლება თუ არა და არის თუ არა საჭირო იქ, სადაც ერთის მხრივ არის რეფორმისტული ორგანიზაციები, მეორეს მხრივ კი ჩვენი ორგანიზაციები, მუშების შემოკრება უშუალოდ ჩვენს ორგანიზაციებში. შეიძლება თუ არა მთელი რიგი ორგანიზაციების, რომლებიც ჩვენს მხარეზე გადმოვიდენ, მაგრამ ჯერ კიდევ იმყოფებიან ამსტერდამის წიაღში, ამოვგლიჯოთ რეფორმისტულ პროფკავშირიდან, თუ, პირიქით, საჭიროა დავაცალოთ საქმეს მომწიფება, რომ ჩვენი მომხრეები გავხადოთ შინაგან მუშაობის დასაყრდენ ბაზისად რეფორმისტულ პროფკავშირების წევრთა მთელი მასის დასაპყრობად. ამგვარად საკითხების ერთგვარი გადაჭრა ჩემი შეხედულებით სრულიად შეუძლებელია, იმიტომ, რომ თვითეულ ცალკე ქვეყანაში არის საკუთარი განსაკუთრებული პირობები, რომელთა სხვადასხვაობის გამო იქ არ შეიძლება ხელფეხის შებორკვა ზოგადი ფორმულით, რომელიც სავალდებულოდ ხდის ერთი შაბლონით მუშაობას მთელ რიგ სხვადასხვა შემთხვევებში. მაგრამ ჩვენ გარკვევით უნდა გაუსვათ ხაზი, რომ ჩვენ არ ვცვლით ჩვენი ტაქტიკის საფუძვლებს პროფკავშირთა მოძრაობაში და რომ ჩვენ სრულებითაც არ გვსურს ამ პირობებში გამოვიდეთ რეფორმისტულ პროფკავშირთა ორგანიზაციებიდან.

ეს აზრი იქნებოდა აბსოლიუტურად ყალბი, ამგვარი ტაქტიკა იქნებოდა საზიანო პროლეტარულ რევოლიუციის საქმისათვის. ჩვენი ტაქტიკა, რომელსაც ჩვენ ამჟამად უნდა ვატარებდეთ მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც წმინდა პოლიტიკური ხაზით, ისე მუშაობის სხვა დარგების ხაზითაც, მდგომარეობს იმაში, რომ რადიკალურად შევცვალოთ წინანდელი კურსი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამხანაგები აბსოლიუტურად თანაუგრძნობენ საკითხის საერთო დასმას და იმ ტაქტიკურ ხაზს, რომელსაც ჩვენ აქ ვიცავდით, მე მაინც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია შევჩერდე ზოგიერთ ტაქტიკურ უთანხმოებებზე, რომლებმაც თავი იჩინა ამ ყრილობაზე კამათის პროცესში. უწინარეს ყოვლისა მე უნდა გავარჩიო ამხ. ლოზოვსკის არგუმენტები ჩვენი ლოზუნგების შესახებ. ჩემს მოხსენებაში მე წამოვაყენე ის დებულება, რომ ეხლანდელ მომენტში ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია წამოვაყენოთ ლოზუნგები ცალკე წარმოებათა და სხვა ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციის შესახებ, ისე როგორც არ შეგვიძლია წამოვაყენოთ „მუშათა კონტროლის“ ლოზუნგი, რამდენადაც ჩვენ ვერ ვხედავთ უშუალო რევოლიუციონურ სიტუაციას. ამხ. ლოზოვსკი ამის წინააღმდეგ საკმაოდ ენერგიულად დავობდა. მთავარი მისი არგუმენტი ნაციონალიზაციის შესახებ მდგომარეობს შემდეგში:— ჩვენ რომ ვლაპარაკობდეთ ნაციონალიზაციის შესახებ გამოსყიდვით, ეს იქნებოდა ოპორტუნიზმი. და თუ კი ჩვენ ვლაპარაკობდით ნაციონალიზაციის შესახებ გამოუსყიდავად, რა არის აქ, ასე ვთქვათ, ოპორტუნისტულიო.

ამხ. ლოზოვსკის მეორე არგუმენტი მდგომარეობდა მხოლოდ პრაქტიკაზე მითითებაში. ის ამბობდა: — აიღეთ ინგლისი, განა უნდა უარვყოთ ჩვენ, მაგალითად, ქვა-ნახშირის მაღაროების ნაციონალიზაციის ლოზუნგი, რომელიც წამოყენებული იყო, ლოზუნგი, რომელსაც მუდამ მხარს ვუჭერდით, ლოზუნგი, რომლის გარშემო ვითარდებოდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა. ინგლისი მან არგუმენტად მოიყვანა იმიტომ, რომ დაემტკიცებია თავისი საერთო თეზისი იმის შესახებ, რომ ნაციონალიზაციის ლოზუნგს ჩვენ მხარს უნდა ვუჭერდეთ. მე ვფიქრობ, რომ ეს არგუმენტები არ არის სწორი. ჩემი მოხსენების ძირითადი დასკვნა ისეთია, რომ სოციალ-დემოკრატიაზე ჩვენ მთელი ფრონტით უნდა მივიტანოთ იერიში კიდევ უფრო გადაჭრით, ვიდრე დღემდე. რა არის ამჟამად სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაში და მის ტაქტიკურ გეზში გადამწყვეტი? გადამწყვეტია მათი სახელმწიფო კაპიტალისტური ორიენტაცია, გადამწყვეტია ის, რომ მათ სურთ ჩაითრიონ მუშათა კლასი ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის სისტემაში, დაწყებული საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში მუშაობით და დამთავრებული ერთა ლიგაში მუშაობამდე. ეს არის გადამწყვეტი და სრულიად გასაგებია, რომ თუ მართლაც ასეთია სოციალ-დემოკრატიის გეზი, უნდა გავხსნათ „სახელმწიფო-კაპიტალისტური“ ფარდა თავიდან ბოლომდე. აი, რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი ტაქტიკური ხაზი. რომ ჩვენ წამოგვეყენებია წარმოების რომელიმე დარგის ნაციონალიზაციის ლოზუნგი, ე. ი. ლოზუნგი მისი გადაცემისა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსათვის, მაშინ ჩვენ პრინციპიალურად ამ გეზში არავითარი განსხვავება არ გვექნებოდა სოციალ-დემოკრატიისაგან. ჩვენ მაშინ მხარი უნდა დაგვეჭირა მთელ რიგ ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციებისათვის, მუნიციპალიზაციებისათვის და სხ. რა უნდა გაეკეთებინათ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ამ წარმოებებში? ისინი უნდა დახმარებოდნენ მთელ ამ საქმეს. ისინი ნელ-ნელა გადაცოცდებოდნენ კაპიტალისტურ რაციონალიზაციის გზაზე. ეს იქნებოდა მთელი ხაზი, რომელიც განსაკუთრებით ამჟამად იქნებოდა უაღრესად შემცდარი, იქნებოდა ოპორტუნისტული.

ასე სდგას საკითხი არსებითად. ეხლა ნება მომეცით გითხრათ, როგორ იდგა კომინტერნში ეს საკითხი ფორმალურად. ამის შესახებ ჩვენ გვაქვს კომინტერნის მესამე კონგრესის გადაწყვეტილება. კომინტერნის მესამე კონგრესის, რატომ ვუსვამ მე ხაზს სიტყვებს „მესამე კონგრესის“, მე ამ სიტყვებს ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ სწორედ მესამე კონგრესზე ვლადიმერ ილიჩის ხელმძღვანელობით მოხდა უდიდესი ტაქტიკური შემობრუნება, რომელიც დაკავშირებული იყო, როგორც ეს ეხლა სრულიად აშკარა შეიქნა, უშუალო რევოლიუციონური სიტუაციიდან კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პერიოდში გადასვლასთან. მაშასადამე, შეიძლება, მესამე კონგრესს ბრალი დაედოს ყველაფერში, მხოლოდ არა გადაჭარბებულ რადიკალიზმში. რა არის ნათქვამი მესამე კონგრესის რეზოლიუციებში? ტაქტიკური რეზოლიუციის მესამე კარში, რომელსაც სათაურად აქვს „ნაწილობრივი ბრძოლა და ნაწილობრივი მოთხოვნები“, ვკითხულობთ:

„ხალხურ მასების ასეთივე მოტყუებას წარმოადგენს ცენტრისტული პარტიების მიერ წამოყენებული მოთხოვნები მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების სოციალიზაციის ან ნაციონალიზაციის შესახებ ბურჟუაზიის დაუმარცხებლად. ისინი ცდილობენ უკუ აგდებიონ მუშებს ნამდვილი [illegible] ბრძოლა უახლოესი მიზნებისათვის მათ მიერ იმ იმედით წარმოებული, რომ მოხდება სამრეწველო წარმოებების თანდათანობითი დაპყრობა, რის შემდეგაც დაიწყება „გეგმიანი“ ეკონომიური აღმშენებლობა. ამგვარად, სოციალ-დემოკრატები უბრუნდებიან სოციალ-დემოკრატიულ პროგრამა-მინიმუმს, რომელიც გადაიქცა აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ მატყუარობად“.

აი, როგორ მრისხანედ არის დაწერილი ნაციონალიზაციის მოთხოვნის შესახებ. ასეთი „მაგარი სიტყვების“ შემდეგ, რომლითაც ჩვენ გამოვხატეთ ჩვენი გადაწყვეტილება, მე ვფიქრობ, რომ ყველასათვის აშკარაა, რომ დავა იმის შესახებ, მტყუანი ვიყავ თუ მართალი, როცა ნაციონალიზაციის ლოზუნგის წინააღმდეგ გამოვდიოდი, სრულიად ზედმეტია. მართალია ის, რომ ყოველთვის ჩვენ გამონაკლისს ვაკეთებდით ინგლისისათვის. რატომ ვაკეთებდით გამონაკლისს ამ საკითხში ინგლისისათვის? ინგლისში ამ საკითხზე დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ინგლისისათვის დაშვებულ იქნა ეს გამონაკლისი სწორედ იმიტომ, რომ ეს იყო ლოზუნგი, რომელსაც იქ ჰქონდა ძლიერი ტრადიციები და რომლის გარშემო ფაქტიურად უკვე სწარმოებდა ბრძოლა. ცნობილია, რომ ინგლისისათვის ჩვენ ვაკეთებთ მთელ რიგ სხვა გამონაკლისებს, მაგალითად, ჩვენ ისევ განვაგრძობთ ყოფნას მუშათა პარტიაში, მიუხედავად იმისა, რომ მუშათა პარტიის ზედა ფენები სავსებით გაიხრწნენ. ვლადიმერ ილიჩმა ეს ტაქტიკა დაასაბუთა მთელ რიგ თავის შრომებში, მაგრამ სწორედ ინგლისის ეს განსაკუთრებული მდგომარეობა ჩვენ ნებას არ გვაძლევს განვაზოგადოთ ეს გამონაკლისები და ვაქციოთ ისინი საერთო წესად.

როგორ წყდება საკითხი წარმოების კონტროლის ლოზუნგის შესახებ. მესამე კონგრესის იმავე ტაქტიკურ რეზოლიუციაში სავსებით სწორ ფორმულაში ჩამოყალიბებულია საკითხი წარმოების კონტროლის ლოზუნგის შესახებ. იქ ნათქვამია: „იმის და მიხედვით, თუ როგორ იქცევა მუშათა ცალკე ჯგუფების ნაწილობრივი მოთხოვნები, ნაწილობრივი ბრძოლა მუშათა კლასის საერთო ბრძოლათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ,—ამის და მიხედვით კომუნისტურმა პარტიამაც უნდა გააღრმავოს თავისი ლოზუნგები და გააერთიანოს ეს ლოზუნგები მოწინააღმდეგის დამხობის ერთ მთლიან ლოზუნგში. თავიანთი ნაწილობრივი მოთხოვნების წამოყენების დროს კომუნისტურმა პარტიებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ ამ მოთხოვნება, რომელნიც შეესაბამებიან ფართო მშრომელ მასების საჭიროებათ, არა მარტო უნდა მიიყვანონ ეს მასები ბრძოლამდე, არამედ თავისი ხასიათით უნდა გახდენ მასების ორგანიზაციულად დარაზმულ მოვლენად. მუშათა მასების ეკონომიურ საჭიროებიდან გამომდინარე ყველა კონკრეტული ლოზუნგები უნდა დაუკავშირდნენ ბრძოლას წარმოებაზე კონტროლის დაწესებისათვის არა კაპიტალისტური რეჟიმის დროს არსებულ სახალხო მეურნეობის ბიუროკრატიულ ორგანიზაციის გეგმის მიხედვით, არამედ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და რევოლიუციონური პროფკავშირების საშუალებით“. სხვანაირად რომ ვსთქვათ, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ რამდენად მუშათა ბრძოლა ერთიანდება, რამდენადაც იგი ხდება ბრძოლათ ხელისუფლებისათვის, იმდენად ჩვენ უნდა გავაღრმაოთ ჩვენი ლოზუნგები და ეკონომიური მოთხოვნები დაუკავშიროთ მოთხოვნას მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ საკითხი მუშათა კონტროლის ლოზუნგის შესახებ უკავშირდება რევოლიუციონური სიტუაციის მოახლოებას. ამ ლოზუნგის წინააღმდეგ მე საერთოდ არაფერი მაქვს. უშუალო რევოლიუციონური სიტუაციის მომწიფების დროს იგი სავსებით სწორია. მაგრამ იგი სრულიად სწორი არ არის ამჟამად, ეხლანდელ პირობებში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობს უშუალო რევოლიუციონური სიტუაცია. წარმოებაზე კონტროლის დაწესების ლოზუნგი ღებულობს უაღრესად არასწორ მნიშვნელობას, თუ იგი დაკავშირებულია ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციის ლოზუნგთან, რადგან მაშინ ჩვენ ვღებულობთ პირდაპირ სოციალ-დემოკრატიულ ორიენტაციას.

მემარჯვენე და მემარცხენე გადახრის შესახებ

ეხლა გადავდივარ მემარჯვენე და მემარცხენე გადახრის საკითხზე. უპირველესად ყოვლისა მე შევჩერდები იმაზე, რაზედაც აქ ამხ. შაცკინი ლაპარაკობდა. ამხ. შაცკინმა სრულიად სწორად შეავსო ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები მემარჯვენე გადახრების შესახებ და ცალკე პარტიების შეცდომები მემარჯვენე ხასიათის სხვა ფაქტებით და შეცდომებით, მაგრამ მე უნდა აღვნიშნო, რომ ორ ადგილას ამხ. შაცკინმა შესცოდა ჭეშმარიტების წინაშე. მაგალითად, იმ ადგილას, სადაც იგი ლაპარაკობდა ფრანგულ პარტიის შესახებ: ფრანგ ამხანაგების მნიშვნელოვანი ჯგუფი მხარს უჭერენ რადიკალების მთელ ხაზსო“, მაგრამ ეს სწორი არ არის ამხანაგების ის მერყევი ჯგუფი,—პოლიტბიუროს წევრები, რომელთა შესახებ ამხ. შაცკინი ლაპარაკობდა და არ აპირობენ მხარი დაუჭირონ რადიკალების „მთელ ხაზს“. არა, მე საკმაო ინფორმაცია მაქვს. ამ საგანზე მე რამოდენიმეჯერ ვილაპარაკე მთელ რიგ ფრანგ ამხანაგებთან. ჩემის აზრით, თქვენ აქ აჭარბებთ. მეორე გადაჭარბება არის, როცა შაცკინი ამტკიცებს, თითქოს ამ უკანასკნელ ხანებში გერმანიაში მემარჯვენე ჯგუფი ჩამოყალიბდა მაშინ, როცა ამ ცოტა ხნის წინათ კრინტის დაძრასაც ვერ ბედავდა. მე ეს მტკიცებაც სწორად არ მიმაჩნია. ჯერ კიდევ, ცოტა ხნის წინათ, ყოფილ მემარჯვენეების დიდი ნაწილი შეუერთდა ე. წ. ერნსტ მაიერის ჯგუფს. აქ მოსკოვში, ჩვენი დახმარებით და ხელის შეწყობით მოხდა შეთანხმება მაიერის ჯგუფსა და ცენტრალურ კომიტეტს შორის, ამასთან ერთად მაიერმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ყოფილ მემარჯვენე ჯგუფს, ხელი მოაწერა განცხადებას, სადაც იგი უკუაგდებს თავის წინანდელ შეცდომებს, და იძლევა დაპირებას, რომ იმუშავებს ცენტრალურ კომიტეტთან. ამ ჯგუფის ხელმძღვანელები, რომელნიც გერმანიაში მუშაობდენ, ჩვენ დავაყენეთ ცენტრალურ კომიტეტთან გაერთიანების და კონსოლიდაციის გზაზე და ეხლა ისინი საკმაოდ კარგად მუშაობენ, ეს ფაქტია. რას ნიშნავს ეს? მემარჯვენე ჯგუფის ზრდასა და ჩამოყალიბებას, თუ წინააღმდეგ? ჩემის აზრით, წინააღმდეგს. ამის უარყოფა არაფრის გზით არ შეიძლება. რამოდენიმე ხნის წინად მაიერი, რომელიც მეთაურობდა ამ ჯგუფს, რომელშიაც გერხარდი პრაქტიკული ხელმძღვანელის როლს თამაშობდა, ოპოზიციაში უდგა ცეკას ხაზს, ეხლა კი იცავს ამ ხაზს. ესაა რეალური ფაქტი. ამ ფაქტის შესახებ დავა შეუძლებელია. აი ორი არსებითი შენიშვნა საქმის ფაქტიური მდგომარეობის შესახებ.

რაც შეეხება ამხ. შაცკინის და ლომინაძის მოსაზრებებს კომინტერნში არსებულ ურთიერთობისა და გადახრების შესახებ, მე მგონია, შაცკინმა და ლომინაძემ მოგვცეს არასავსებით სწორი შეფასება. რაშია ამ არა სავსებით სწორი შეფასების აზრი? ჩემის აზრით, შაცკინი და ლომინაძე, პირველ ყოვლისა შაცკინი, საკმაოდ ვერ ითვალისწინებს ტროცკისტულ საშიშროებას კომინტერნში. მეორე-ისინი საკმაოდ ვერ აფასებენ მემარცხენე „მარკის“ (ამ სიტყვის პირობითი მნიშვნელობით) ტროცკისტების გაერთიანებას აშკარა მემარჯვენე ელემენტებთან. ეს არის ტროცკიზმის შეზრდა მენშევიზმში. ამაშია ლომინაძის და შაცკინის გამოსვლის შეცდომა. მე კონკრეტიულად განვმარტავ, თუ რაში მდგომარეობს ეს შეცდომები. ისინი ემყარებიან შემდეგს. ამხ. ლომინაძე ლაპარაკობს:

— „თუ ჩვენი ანალიზიდან ამოვგლეჯთ საკითხს ტროცკისტული ჯგუფების შესახებ, მემარჯვენე თუ მემარცხენე, რაც გინდათ ის უწოდეთ, ხელში შეგრჩებათ მემარჯვენე შეცდომები“. ასეთია მაგალითად ამხ. ლომინაძის ფორმულა. შაცკინის ფორმულა: „დავანებოთ თავი ამ ტროცკისტებს და გადავხედოთ, რა ხდება კომუნისტურ ინტერნაციონალში, ამ უზარმაზარ საკრებულოში, რომელიც ატრიალებს მთელ რიგ პარტიების ბედ-იღბალს და სხვა“. სწორია საკითხის ასე დასმა? მე ვფიქრობ, რომ არ არის სწორი. რას ნიშნავს, მაგალითად, როცა შაცკინი ამბობს: „გადახედეთ კომუნისტურ ინტერნაციონალს?“ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს: მოდით და განვიხილოთ ის დაჯგუფებანი, რომელნიც ამჟამად არსებობენ კომუნისტურ ინტერნაციონალის ჩარჩოებსა და ფარგლებში ისე, რომ არც ერთი ჯგუფი არ იქნეს იქიდან გამორიცხული. სხვაგვარად როგორ შეიძლება ეს გავიგოთ? როცა თქვენ „ჩვენ კომინტერნზე“ ლაპარაკობთ, განა შეიძლება სხვაგვარად გავიგოთ, თუ საღ ჭკუაზე და მტკიცე მეხსიერებაზე ვიქნებით, რომ, როცა კომუნისტურ ინტერნაციონალს ვიღებთ მთელი მისი შემადგენელი ნაწილებით, არ ვღებულობთ რუტ ფიშერს (გამორიცხულს) და მასლოვს (გამორიცხულს), რომელნიც ჩვენს ინტერნაციონალში აღარ იმყოფებიან. მხოლოდ ასე შეიძლება ამის გაგება. ეხლა მე თქვენ გეკითხებით: — შეგვიძლია თუ არა ჩვენ „ჩვენი კომუნისტური ინტერნაციონალიდან“ „გამოვგლიჯოთ“ ტროცკისტული ანუ ნახევრად ტროცკისტული ელემენტები და ვსთქვათ, რომ ჩვენ აქ სრული ასი პროცენტით სუფთა ვართ. არაფრის გზით არ შეგვიძლია. ამჟამად საქმის ვითარება სწორედ ისეთია, რომ უცხოეთის პარტიებში ტროცკისტები ისეთივე მანევრებს აკეთებენ, როგორც ჩვენ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში. რას შვება მაგალითად მასლოვი? განა იგი მოუწოდებს „თავის“ მომხრეებს გამოვიდენ კომუნისტური პარტიიდან? სრულებითაც არა. თვითონ ის ზის სათავეში“, ხელთ უჭირავს თავისი პატარა პარტია და ამავე დროს ყავს თავისი თანამგრძნობლები ჩვენს კომუნისტურ პარტიაში. სწორედ ამაში მარხია საშიშროება. მაშასადამე, კომუნისტურ ინტერნაციონალში ეს ელემენტები ჯერ კიდევ სხედან. მართალია თუ არა, რომ ამჟამად ისინი ხდებიან ყველა უკმაყოფილოთა მიმზიდველობის ცენტრათ ისე, როგორც ჩვენს ქვეყანაში ასეთად ხდება ტროცკისტული ოპოზიცია? სხვა კომუნისტურ პარტიებში, კომუნისტურ ინტერნაციონალში ტროცკისტული ჯგუფები სწორედ ამგვარადვე ხდებიან კომინტერნის პოლიტიკით, რეჟიმით და ტაქტიკით უკმაყოფილო ძალების მიმზიდველობის ცენტრად. მართალია თუ არა ეს? სავსებით მართალია. მე ეხლავე მოგახსენებთ, თუ ვინ არიან ეს უკმაყოფილონი. მათკენ მიილტვიან ყველა „უკმაყოფილონი“, რომელნიც ეხლა ქმნიან საკუთარ მიმდინარეობებსა და საკუთარ ფრაქციებს, რომელნიც აწარმოებენ ფრაქციულ ბრძოლას კომინტერნის წინააღმდეგ და რომელთაც აქვთ აღმაშფოთებელ შეცდომათა მთელი სისტემა. უდიდესი შეცდომაა ეხლა ისეთი მსჯელობა, რომ თითქოს არსებობს ულტრა მემარცხენე ფრთა, რომელიც ჩვენზე მემარცხენეა და რომელიც განსახიერებულია ტროცკიზმში. მე ვამბობ, რომ თქვენ სათანადოთ ვერ აფასებთ ტროცკისტულ საფრთხეს და ოპოზიციის საფრთხეს თვით კომინტერნში. ნება მომეცით გითხრათ, თუ რატომ ვერ აფასებთ. მე, მაგალითად, მოვიყვანე როლანდ გოლსტი, რომელსაც ამას წინედ უნდოდა შესულიყო კათოლიკურ საზოგადოებაში ან რომელიღაც მისტიურ საღვთისმეტყველო საზოგადოებაში და რომელიც ჩვენი ზეგავლენით გამოვიდა იქიდან; ეს როლანდ გოლსტი, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე ებმარებოდა ტროცკის, ეხლა წინადადებას გვაძლევს შეუერთდეთ მე-4 ინტერნაციონალს. მან გამოგვიგზავნა ჩვენ ქრისტიანული ეპისტოლე, რომელიც მე უკვე მოვიყვანე. იგი ხომ ტროცკის მხურვალე მომხრეა. ეს [illegible] „ქრისტიანულად“ განწყობილი კაცთმოყვარეა, თუმცა სწერს, რომ მას არაფერი ესმის ჩვენი „მაკრატლისა“ და სხვ. [illegible] პოლიაკიც ტროცკის მხურვალე მომხრეა. სუვარინებიც და სხვ. ტროცკის ემხრობიან. ეს ხომ რეალური ფაქტია. ამის უარყოფა არ შეიძლება. და თუ თქვენ ამბობთ არა იმ ჯგუფებზე, რომელნიც არიან კომუნისტური ინტერნაციონალის გარეთ, არამედ იმ ჯგუფებზე, რომელნიც იმყოფებიან კომუნისტური ინტერნაციონალის შიგნით, თქვენ პირველ რიგში უნდა აღნიშნოთ, რომ კომინტერნის გარეთ მდგარ ჯგუფებს ჰყავთ თავისი მომხრენი ზოგიერთი ჯგუფების სახით, რომელნიც ჯერ კიდევ სხედან კომინტერნის შიგნით, ეხლა ლაპარაკია იმაზე, რომ არსებობს ამ ჯგუფებისაგან თავისი „ინტერნაციონალის“ შექმნის ტენდენცია. ეს უნდა შევიგნოთ. როგორ შეიძლება, რომ სიტყვა წარმოსთქვა კომინტერნის საკითხებზე და გვერდი აუხვიო ამ პრობლემას, ამ უდიდეს საერთაშორისო პრობლემას. განვიხილოთ ყოველივე ეს „დიდი პოლიტიკის“ თვალსაზრისით. ერთი მითხარით, რა შედარებაა ამა თუ იმ კომპარტიის ამა თუ იმ მემარჯვენე შეცდომასა, თუნდაც მას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგალითად, ყველა ამ ტროცკისტული ჯგუფების ტერმიდორიანულ კამპანიასთან (მემარჯვენე, სოციალ-დემოკრატიულ, არსებითად კონტრ-რევოლიუციონურთან) საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს გამცემლური კამპანია ხომ ჰფარავს ყოველივე დანარჩენს, იმიტომ, რომ ეს არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, იმიტომ, რომ დიდი „პოლიტიკის“ თვალსაზრისით ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი არ არსებობს. ამიტომ სწორედ ეს საკითხი არის კრიტერიუმი საფრთხის შეფასებისათვის. მე შევეცდები ამ საკითხის შეფასებას მეორე მხრივაც. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ საგარეო პოლიტიკის არა დიდ კონტურებზე, არამედ ვსვამთ ჩვენთვის უდიდეს

ხი მნიშვნელობის პრობლემებს — მასების დაპყრობის პრობლემას, მაშინ მე პირდაპირ ვამტკიცებ, რომ არც ერთ ჯგუფს არ მოუყენებია ჩვენთვის ამ საქმეში იმდენი ზიანი, რამდენიც მოგვაყენა ტროცკისტულმა ოპოზიციამ (იგი ჩვენთვის წარმოადგენს ბარიერს მასების დაპყრობის გზაზე). (ხმები: მართალია!). სოციალ - დემოკრატ მუშებმა, რომელნიც ჩვენსკენ მოილტვიან ფართო ფრონტით, რომელნიც გამსჭვალულნი არიან დიდი სიმპატიებით საბჭოთა კავშირის მიმართ, ეხლა უნდა სძლიონ არა მარტო ოფიციალური სოციალ - დემოკრატიული ცილის წამება, არამედ ის ცილის - წამებაც, რომელიც თითქოს კომუნისტური ბანაკიდან მოდის. წერეთელი ეხლა გამოდის სტოკჰოლმში და გააფთრებულ კამპანიას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ, პირველ რიგში იგი ემყარება ტროცკის. „ფორვერტსი" ოპოზიციის პლატფორმას ეყარება. ამგვარად, სოციალ - დემოკრატია და ბურჟუაზია ყველგან „ჩვენს" ოპოზიციონერებს ემყარებიან. ისე, როგორც საბჭოთა კავშირის შიგნით ოპოზიცია სახიფათოა თავისი აპელიაციით „მესამე ძალისადმი", ისევე კაპიტალისტურ ქვეყნებში იგი არის სოციალ-დემოკრატიის, და მის ზურგს უკან მდგომი ბურჟუაზიის დასაყრდენი.

ის არის „პროლეტარიატის წრეებში ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელი", ვინაიდან მას ებღაუჭებიან და იყენებენ საბჭოთა კავშირის, საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის მტრები. მაშასადამე, ახლა რომ ცდილობენ ლოღიკურად, ფორმალურის გზით ამ საკითხს გვერდი აუარონ, ეს „კეთილმოქმედება" მეტად დაბალი ღირსებისაა, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ შეამჩნიო მსხვილი, დიდი რამ, კამეჩი ბუზად ველარ დაინახო. ამხ. შაცკინს ინდივიდუალურად ემჩნეოდა პაწაწკინტელა მერყეობა ოპოზიციის საკითხში. ადვილად შესაძლებელია, რომ მისი ახლანდელი „გადახტომა" ამ გარემოებასთან არის დაკავშირებული. სრულიად ბუნებრივია, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის შიგნით ტროცკისტული საფრთხის საკმაოდ არ დაფასება იწვევს მეტად დიდ შედეგებს. ამხ. ლომინაძემ ის დებულება წამოაყენა, რომ შეცდომები, რომლებიც პარტიასა და მის ხელმძღვანელობას ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა მემარჯვენე ხასიათის შეცდომები იყოო. ეს მართალია. მაგრამ აი რა უნდა შევნიშნო ამას გამო: მართალია თუ არ არის მართალი, რომ ყველა ამ შეცდომების დროს, რომელთა არსებობას მე სავსებით ვაღიარებ, სათანადო კომპარტიების ცენტრ. კომიტეტში კომინტერნის დახმარებით ასწორებდენ მათ, სურდათ მათი გასწორება და ასრულებდენ აღმასკომის დირექტივებს, რომელიც შეცდომებზე მიუთითებდა? არის შეცდომებიც და „შეცდომებიც". ზოგი შეცდომები ფრაქციულ სისტემად იქცევა. ასეთ შეცდომებისათვის იბრძვიან, ცდილობენ მათ გაყვანას, მათ „გარემავებას", მათგან „თეორიას" ჰქმნიან. ეს ერთი ტიპის შეცდომებია. მეორე ტიპის შეცდომები ასეთია: ამ შეცდომებს ჩაიდენ, მაგრამ მერე ასწორებენ. ამხანაგები შაცკინი და ლომინაძე, რომელთაც კარგად იციან კომუნისტური ინტერნაციონალის საქმიანობა, ამაზე უნდა დამთანხმდენ. ამხ. შაცკინმა თავის სიტყვაში პირდაპირ სთქვა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი ამ შეცდომებს ებრძოდა, წინასწარ იცილებდა თავიდან და ასწორებდა. ეს ფაქტია. მაგრამ განა ამ „გასწორებათა" დროს ჩვენ საერთო წესის მიხედვით წინააღმდეგობა გვხვდებოდა? არა. უმეტეს შემთხვევებში კომინტერნის დირექტივებს დაუყოვნებლივ „ცნობად და სახელმძღვანელოდ იღებდენ". ვინც ამას არ ამჩნევს, ის უსამართლობას იჩენს ჩვენი სექციების უდიდესი ნაწილის ხელმძღვანელი კადრების მიმართ. უარჰყოფს თუ არა კომინტერნი მემარჯვენე ხასიათის საფრთხეს? სრულებითაც არა. მემარჯვენე ხასიათის საფრთხის საკითხი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ცოტა სხვანაირად. მთელ რიგ პარტიებში, რომლებსაც მოწინააღმდეგის მიერ დაშენილი ტყვია-წამლის ქარცეცხლი არ გამოუვლიათ, მომავალი ამბების დროს შეიძლება თვალსაჩინო შინაური კრიზისები დადგეს. მე შეუძლებლად არ მიმაჩნია, რომ ასეთი კრიზისები შეიძლება მოევლინოს საფრანგეთის პარტიას, ჩეხო-სლოვაკიის პარტიას და იმ მსხვილ პარტიებს, რომელთაც ჯერ არასოდეს არ დასდგომიათ ბრძოლის სიცხე. ჩვენ სრულებითაც არა ვმალავთ ამას და გვგონია, რომ მემარჯვენე საფრთხე არსებობს, რომ ის საკმაოდ თვალსაჩინოა. მაგრამ დავა ახლა წარმოებს არა ამ ფაქტის შესახებ. ამხ. შაცკინმა კომინტერნში ერთ-ერთ თათბირზე წამოაყენა თეზისი, რომ მემარჯვენე საფრთხე მეტისმეტად სწრაფად იზრდება კომუნისტურ ინტერნაციონალშიო. აი, სწორედ ამ დებულებას მე არ ვეთანხმები. პარტიულ ყრილობაზე მან ეს დებულება ცოტა ჯიბეში დამალა თუ თავის პორტფელში, კარგად არ ვიცი. (შაცკინი: „მე ვთქვი, რომ მემარჯვენე საფრთხე წარმოიშვა"). რომ მემარჯვენე საფრთხე არსებობს, თანახმა ვარ, მაგრამ მე თანახმა არა ვარ იმ დებულებისა, რომ ეს საფრთხე უკანასკნელ ხანებში კომინტერნის სექციების ხელმძღვანელ წრეებში წარმოიშვა. ხოლო თუ წარმოიშვა, ის წარმოიშვა ტროცკისტული დაჯგუფების სახით ყოფილ ულტრა მემარცხენეების მენშევიკებად გადაქცევასთან ერთად. სიმძიმის ცენტრი ამჟამად ამაშია მოქცეული. ხოლო რამდენადაც მემარჯვენე ხასიათის შეცდომები არსებობს (ან იარსებებს) ჩვენი სექციების ხელმძღვანელ კადრებში, ჩვენ ამ მემარჯვენე ხასიათის შეცდომებს მთელი ჩვენი ძალ-ღონით უნდა შევებრძოლოთ, ჩვენ უნდა გავასწოროთ ისინი, უნდა წინასწარ ავიცილოთ თავიდან, უნდა გულდასმით, სისტემატიურად ვადევნოთ თვალყური ამ მიმართულებით ჩადენილ ყოველგვარ შეცდომებს, რაც უნდა წვრილმანი იყოს, ვინაიდან შედარებით უმნიშვნელო შეცდომებისაგანაც კი (თუ ირშივე არ ჩავკალით) შეიძლება წარმოიშვას დიდი პოლიტიკური მასშტაბის შეცდომები.

ჩინეთის რევოლიუციის შესახებ

რამდენიმე პატარა შენიშვნა ჩინეთის რევოლიუციის შესახებ. ამხ. ლომინაძემ საერთოდ მეტად საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა. მე ვფიქრობ, რომ ყველა ამხანაგი სიამოვნებით უსმენდა მას. მაგრამ ამხ. ლომინაძის სიტყვაში რამდენჯერმე აშკარა გადაჭარბება მოსჩანდა.

პირველი შენიშვნა. ამხ. ლომინაძემ მეტად ბუნდოვანად განსაზღვრა ჩინეთის ფეოდალიზმი. სადაო აქ უმთავრესად ის კი არ არის, თუ რანაირია ჩინეთის ფეოდალიზმი—„განსაკუთრებული" თუ „ევროპიული". სადაო ეს არის, არსებობს თუ არა საერთოდ ჩინეთში ფეოდალიზმი. ეს დავა მჭიდროთ არის დაკავშირებული კლასების შეფასებასთან. ფეოდალიზმის უარყოფას უკავშირებდენ (მაგალითად, რადეკი) მემამულეთა კლასის არსებობის უარყოფასთან; აქედან თავის მხრით გამომდინარეობდა შემდგომი დასკვნები. ამხ. ლომინაძემ კი სიმძიმის ცენტრი ფეოდალიზმის ფორმებზე გადაიტანა და ეს ისე სთქვა, რომ თითქოს ყველა დამსწრეებმა ის ჩინეთის ფეოდალიზმის არსებობის უარმყოფელთა რიცხვში მოაქციეს.

მეორე შენიშვნა. ამხ. ლომინაძე გაიტაცა ჩინეთის ბურჟუაზიის განსაზღვრის „სიმწვავემ". აშკარა შეცდომაა იმის თქმა, რომ ბურჟუაზია როგორც კლასი, არ არსებობს, არამედ არსებობენ ცალკე ბურჟუები. ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფების წარმოშობის პროცესისა და მათი კონკურენციის აღნიშვნიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს საერთოდ ბურჟუაზიის, როგორც სოციალურ-კლასობრივი ძალის მოსპობა. აქ ჩვენ ვხედავთ აშკარა „გადამლაშებას" და თავისი საფუძვლით რამდენადმე სწორი აზრის თითქმის აბსურდამდე მიყვანას. არსებითად მე სრულიად ვეთანხმები იმ პროგნოზს, რომელსაც ამხ. ლომინაძე ჩინეთის რევოლიუციისათვის ხატავს. ჩემს მოხსენებაში მე უკვე აღვნიშნე, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს პესიმისტები ვიყვეთ ჩინეთის რევოლიუციონური ტალღის მიმართ.

რამდენიმე სიტყვა ამხ. მიფის სიტყვის შესახებ. მისი მიდგომა ჩინეთის ფეოდალიზმის საკითხისადმი შეიძლება სრულიად სწორად ჩავთვალოთ. ჩემის აზრით, ამხ. მიფმა „წარმოების აზიური წესი" სრულიად სამართლიანად მიიჩნია, როგორც ფეოდალიზმის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) „გამოვლინების ფორმა". ამ ფეოდალიზმის თავისებურება გამოკრთის და იხატება ჩინეთის მემამულეთა კლასის თავისებურებაში და მისი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულ თვისებებში. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება აგრარული რევოლიუციის რიგიანად გაგება.

მაგრამ ამხ. მიფის იმავე საინტერესო სიტყვის გამო ორი შენიშვნა უნდა ვსთქვა. ჯერ ერთი—მე არ ვეთანხმები ამხ. მიფის თეზისს ჩინეთის „სტოლიპინიადის" შესაძლებლობის შესახებ. მისი პრაქტიკული ვარაუდი ნულს უახლოვდება. ჩინეთში არ არსებობს მიწის ისეთი ფონდი, რომლითაც შეიძლებოდეს მანევრების მოხდენა და ჩინეთის ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობათა „რუსულად" გადაჭრა. სოფლელ „მდიდრისაკენ" სტოლიპინის მიერ აღებული გეზი გულისხმობდა არა მარტო 9 ნოემბრის კანონს, არამედ მიწის ხელახალ რეალურ განაწილებასაც (მიწის მობილიზაცია კერძო შესყიდვისა და საგლეხო ბანკის საშუალებით). ჩინეთში ეს გზა დახშულია. იქ საამისოდ ეკონომიური საფუძველი არ არსებობს. მეორე შენიშვნა:—მე ვფიქრობ, ამხ. მიფი შემცდარია, რომ პირველ რიგში დააყენა ჩინელ კულაკთან ბრძოლა. ამჟამად დღის წესრიგში ეს არა სდგას. დღის წესრიგში სდგას მემამულეთა განადგურების საკითხი. რასაკვირველია, კულაკს უნდა მივეცხოთ იქ (პირობები ჩინეთში მეტის-მეტად სხვადასხვანაირია), სადაც ის მემამულეებთან ერთად გლეხობის წინააღმდეგ იბრძვის. მაგრამ ეს საკითხის სხვანაირი დაყენებაა, ვიდრე ამხ. მიფი აყენებს. რაც შეეხება ჩინეთის რევოლიუციის საკითხში ტაქტიკური დასკვნების გამოტანას, მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხის განხილვის დროს (ჩემი მოხსენების გარშემო კი ბევრი ამხანაგი გამოვიდა და ამ საკითხზე შეჩერდა) აქ თავი არ უჩენია არავითარ ცოტად თუ ბევრად არსებით განსხვავებას.

ჩვენ წინ მივდივართ

ახლოვდება ჩემი ლაპარაკის ბოლო. რა გაკვეთილის გამოტანა შეგვიძლია აქ გამართული კამათიდან? ყველა ამხანაგი ხედავს, რომ კომინტერნმა, ხელმძღვანელობის ძნელი პირობების მიუხედავათ, მაინც შეიმუშავა სწორი პრაქტიკული გეზი, რომელსაც ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობა, როგორც სჩანს, ერთსულოვნად იწონებს. ჩვენ მომავალში სისტემატიურად უნდა გავასწოროთ და წინასწარ ავიცილოთ შეცდომები. ჩვენ ასე მოვიქცევით. ისევე როგორც აქამდისაც ვიქცეოდით. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენი მუშაობის უდიდესი სიძნელის მიუხედავათ, საერთოდ და მთლიანად ჩვენ მუშაობას დადებით ბალანსს უკეთებთ. კომუნისტურმა პარტიებმა დიდი ერთსულოვნობა გამოიჩინეს ჩვენს ოპოზიციასთან და ტროცკიზმთან ბრძოლაში კომინტერნის შიგნით. ჩვენს პარტიას უდიდესი დახმარება გაუწიეს სხვა კომპარტიებმა ტროცკისტულ-მენშევიკურ გადახრასთან ბრძოლის დროს. ჩვენმა პარტიამ ეს დახმარება იმიტომ მიიღო, რომ იგი საერთაშორისო მუშური რევოლიუციის უსახელოვანესი პარტიაა.

ამხანაგებო! ჩვენ, ალბად, მოგველის მეტად დიდ ბრძოლების ხანა. ჩვენ არ ვიცით. ჩვენ წინდაწინვე არ შეგვიძლია ვსთქვათ, თუ როდის დაიწყება ბრძოლა. მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ შრომისა და კაპიტალის უდიდეს ბრძოლაში, რომელიც ჩვენ წილად გვარგუნა ისტორიული პროცესის მსვლელობამ, ჩვენ უკვე გვეყოლება გაკაჟებული მამაცი და საკმაოდ გამობრძმედილი კადრები, რომელთაც გაჰყვებიან მუშათა კლასის ფართო მასები და რომელნიც თავის სადარაჯოზე იდგებიან, როდესაც საომარი საყვირი დაიძახებს.

წინააღმდეგ სოციალ - დემოკრატიულ პარტიისა, წინააღმდეგ სხვა პარტიებისა და ჩვენი მტრებისა, ჩვენ არ გვეხერხება ლაპარაკი საკუთარი მუშაობისა და კომუნისტური პარტიების და მათი ცალკე მებრძოლთა გმირობის შესახებ, ჩვენი გამარჯვებისა და გაჭირვებათა შესახებ, კომინტერნი ათასობით ჰკარგავს მებრძოლთ. ბურჟუაზიის თეთრი ტერორი თავს გვატყდება სწორედ ჩვენ

ჩვენ ყოველდღიურად ვრაზმავთ ახალ მებრძოლებს, მუშათა კლასისათვის ნამდვილ თავდადებულთ. ამხ. ლომინაძემ აქ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა ხდება ჩინეთში. მაგრამ მიუხედავად თეთრი ტერორის საშინელებისა, ჩვენ ჩინეთში, პოლონეთში, ბალკანეთში და იტალიაში სულ ახალ და ახალ უშიშარ მებრძოლებს ვრაზმავთ, რომელთაც არაფრის არ ეშინიათ, ყველაფერს იტანენ და კვდებიან იმისათვის, რომ წაიყვანონ ბრძოლაში მუშათა რაზმები. ჩვენ, ამხანაგებო, ეხლა ვიყყებთ ზრდას. კომინტერნის ზრდის ბაზისი კვლავ ფართოვდება. ჩვენ უნდა მხარი დაუჭიროთ მოძრაობას, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მასებში, ჩვენ უფრო გაბედულად და ენერგიულად გამოვიდეთ როგორც ორგანიზაციები, რომლებიც მუშათა კლასის ერთად ერთი რევოლიუციონური ორგანიზაციებია, ერთად - ერთი მუშათა პარტიები. ჩვენ ეხლა უფრო თამამად და უშიშრად უნდა დავიწყოთ ბრძოლა როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალ - დემოკრატიული მტრების წინააღმდეგ. ჩვენ გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ სხვადასხვა მერყეობისა და პესიმისტური განწყობილებების ნაშთები, ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს მომავლის. ვინაიდან იზრდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, იზრდება ჩინეთის დიდი ძლიერი რევოლიუცია, მარცხნივ იხრება ევროპის მუშათა კლასის ვეებერთელა რაზმი და ჩვენ გავსწევთ წინ, უზრუნველვყოფთ რა ჩვენი რიგების შიგნით ფოლადისებურ მთლიანობას ლენინიზმის დროშის ქვეშ, მებრძოლი კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

საჩუქარი მეხუთმეტე პარტყრილობას

ქ. სორმოვოს ქარხნის „კრასნოე სორმოვო"-ს მუშებმა მეხუთმეტე პარტყრილობას საჩუქრად უძღვნეს სპეციალურად ყრილობის გახსნის დღისათვის გამოშვებული ახალი ორთქლმავალი.

ამხ. ლიტვინოვის საინფორმაციო მოხსენება

მე ბედნიერი ვარ,—დაიწყო ამხ. ლიტვინოვმა თავისი სიტყვა, — რომ პირველ საინფორმაციო მოხსენებას განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში საბჭოთა დელეგაციის მუშაობის შესახებ ვაკეთებ პარტიის უმაღლეს ორგანოს—მისი ყრილობის წინაშე. თავის მიმოწერაში ერთა ლიგასთან განიარაღების კონფერენციაზე მიწვევის შესახებ საბჭოთა მთავრობამ საკმაოდ გაუსვა ხაზი იმ უნდობლობას, რომელსაც ჩვენში იწვევს ერთა ლიგის მუშაობა ამ დარგში. საბჭოთა მთავრობამ ამასთანავე განმარტა ის მიზეზები, რომელთა გამოც იგი, მიუხედავად ამ უნდობლობისა, თანახმდება მიიღოს მონაწილეობა განიარაღების კონფერენციაზე და მოსამზადებელ კომისიაში. ეს მიზეზები საკმაოდ ცნობილია და მე მათზე არ შევჩერდები. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ იმან, რაც ჩვენ ვნახეთ და გავიგონეთ ჟენევაში, ოდნავად ვერ შეარყია ჩვენი უნდობლობა.

ჩვენს დეკლარაციაში მოსამზადებელ კომისიის სესიაზე, სათანადო ფაქტებისა და დატების ჩამოთვლით, დავახასიათეთ ერთა ლიგის მიდგომა განიარაღების პრობლემის გადაწყვეტისადმი და მისი მუშაობის ტემპი. საბჭოთა მთავრობის მონაწილეობით დაიწყო ე. წ. განიარაღების მოსამზადებელ კომისიის მხოლოდ მეოთხე სესიიდან. მაშასადამე დანარჩენი სახელმწიფოების წარმომადგენლები ჩვენს მონაწილეობამდე სამჯერ შეიკრიბენ ჟენევაში მოსამზადებელი მუშაობისათვის, აირჩიეს ქვე-კომისიები, განიხილეს პროექტები და სხ.

განიარაღების „ფანტასტიური" და „რეალური" გეგმა

მთელი ამ მუშაობის შედეგად ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, რომელთაც ეწოდება განიარაღების საერთაშორისო კონვენციის პროექტი. დოკუმენტი მეტად საგულისხმოა. უაღრესად მჭერმეტყველური აღწერა არ მოგვცემთ ასეთ ნათელ წარმოდგენას ერთა ლიგის მუშაობის მეთოდებზე, როგორც ამ დოკუმენტის შესწავლა. ეს დოკუმენტი შესდგება რამდენიმე თავისაგან, 60 მუხლისაგან, ქვე-მუხლებისაგან, ქვე-პუნქტებისაგან და შენიშვნებისაგან, მაგრამ უკვე პირველი შესავალი მუხლი წარმოდგენილია სამი პარალელური ვარიანტის სახით—საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის ვარიანტის სახით. შემდეგ მიდის მთელი რიგი მუხლები, რომლებშიაც ჩამოთვლილია იარაღის სახეობანი და სამხედრო ერთეულები, რომელნიც უნდა იქნას შემცირებული. ტყუილად დაუწყებთ ძებნას ამ დოკუმენტში შეიარაღების შემცირების თუნდაც ერთ ციფრს, ერთ რიცხობრივ კოეფიციენტს. დოკუმენტში არავითარი ციფრები არ არის. ჩამოთვლილია მხოლოდ მუხლები, რომლებშიაც დასახელებულია ის სამხედრო მარაგი და სამხედრო იარაღი, რომელიც შეიძლება იქნას შემცირებული, მაგრამ როგორ უნდა შემცირდეს, რა რაოდენობით უნდა შემცირდეს და როგორი კრიტერიუმი უნდა არსებობდეს შემცირებისათვის, —ამის შესახებ კომისიას არაფერი უთქვამს, ეს მას არც განუხილავს, ვინაიდან მარტო ამ მუხლების შედგენამ დიდი უთანხმოება და დავა გამოიწვია ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის და დოკუმენტში არ არის თითქმის არც ერთი არსებითი მუხლი, რომლის ირგვლივ არ არსებობდეს რამოდენიმე წინადადება და პროექტი, წარმოდგენილია ან საფრანგეთის, ან ინგლისის, ან იაპონიის, ან გერმანიის და სხ. მხრივ. ვინაიდან თვით მოსამზადებელმა კომისიამ ვერ შესძლო უთანხმოებათა აცილება, ამიტომ იმედი ქონდათ, რომ კომისიას დაეხმარებოდა კერძო დიპლომატიური მოლაპარაკება დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის და რომ მხოლოდ ამ მოლაპარაკების დამაკმაყოფილებლად დამთავრების შემდეგ კომისია შეიკრიბებოდა და შეუდგებოდა იმ რიცხვობრივ ოდენობათა განხილვას, რომლებითაც უნდა შეიცვალოს პროექტში გამოყენებული იქსები და იგრეკები, ე. ი. ეხლა არსებული ალგებრული ფორმულა უნდა შეიცვალოს კონკრეტული პროექტით. ამ რიცხვობრივ ოდენობებს უნდა გამოეხატა ყოველ სახის იარაღის, უფროსთა პირადი შემადგენლობის, სახლვაო და საჰაერო გემების მაქსიმუმი და ყოველივე ეს, დაიხსომეთ,—თვითეული ქვეყნისათვის ცალკე უნდა ყოფილიყო. საერთო კრიტერიუმი შეიარაღების, შემცირებისა ან განიარაღებისათვის არ არსებობს და განზრახულია განხილულ იქნას შეიარაღებათა ის დონე, რომელიც ცალკე უნდა იქნას დაწესებული ყოველი სახელმწიფოსათვის. მაგრამ შეიარაღებათა ეს დონე, კონვენციის პროექტის ავტორთა აზრით, დაწესებული უნდა იყოს ყოველი ქვეყნის უშიშროების ხარისხის მიხედვით, მისი საერთაშორისო ვალდებულებების, მისი გეოგრაფიული მდგომარეობისა და, როგორც იქ არის ნათქვამი, „მის დანარჩენ ვალდებულებათა" მიხედვით. მაშასადამე, ეს პირობები: უშიშროების ხარისხით, გეოგრაფიული მდგომარეობა და სხ. თავის მხრით უნდა გახდეს მსჯელობის საგნად, ვინაიდან მათ შესახებ მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება და ერთსულოვნება სახელმწიფოებს შორის. ინგლისი—ამერიკასთან, ინგლისი—საფრანგეთთან, ამერიკა—იაპონიასთან, საფრანგეთი—იტალიასთან, იტალია—სამხრეთ-სლავეთთან. პოლონეთი—ლიტვასთან, რუმინეთი—უნგრეთთან უნდა შეთანხმდენ, თუ რამდენად შეუძლია თვითეულ ამ სახელმწიფოს უშიშრად ჩასთვალოს თავი, რამდენი ჯარი უნდა ყავდეს თვითეულ მათგანს, ამასთან, ამ საკითხების გადაჭრისათვის მათ არავითარი საერთო კრიტერიუმი არ გააჩნიათ. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ ჩამოთვლილ საკითხებში მიღწეულ იქნა ერთსულოვნება, მაშინ შემუშავებულ კონვენციას ექნება რაიმე კატეგორიული აბსოლიუტური ხასიათი და ის მოგვცემს რაიმე გარანტიებს იმ ომის საშინელებათა წინააღმდეგ, რომელთა მოწმენიც ჩვენ ვიყავით ათი წლის წინედ. არავითარი ამის მსგავსი. პროექტის ბოლოში არის მუხლი, რომელსაც სიტყვა-სიტყვით წავიკითხავ.

იქ ნათქვამია:

„ამ კონვენციის დადგენილება არ უნდა უშლიდეს ხელს ხმელეთის, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებათა გადიდებას რომელიმე შემთანხმებელი ქვეყნის მიერ დაწესებული ციფრებზე მეტად, პირველი, იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყო (ომის შემთხვევისათვის ეს კონვენცია არაფერს არ მოგვცემს,—მაშინ ყოველ სახელმწიფოს შეუძლია თავისი შეიარაღების გადიდება მაქსიმუმამდე). (დარბაზში მოძრაობაა). მეორე, იმ შემთხვევაში, თუ ამ მხარეს მოელის აჯანყების საფრთხე (ამაზედაც არ დაივიწყეს), და, მესამე, თუ ეს გადიდება მოხდა ერთა ლიგის საბჭოს თანხმობით".

ჩვენ აქ ვეხებით საკითხს ეგრედ წოდებულ პოტენციალობის შესახებ,ე. ი. იმ საკითხს, რომ ყოველ ქვეყანას ომის შემთხვევებისათვის მიეცეს უფლება თავისი შეხედულების მიხედვით გაადიდოს შეიარაღება. ამგვარად, ინდუსტრიალურად განვითარებული ქვეყნები, რომელთაც შეუძლიათ სწრაფად მოახდინონ სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია, უცებ იღებენ სრულიად არაჩვეულებრივ უპირატესობას ინდუსტრიალურის მხრივ ნაკლებად განვითარებულ და საერთოდ პატარა სახელმწიფოებთან შედარებით.

მაგრამ ქვემოდ არის კიდევ მეორე, არანაკლებ საგულისხმო მუხლი, რომელშიც ნათქვამია:

„თუ ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი რომელიმე ქვეყანა განაცხადებს, რომ მდგომარეობის რაიმე შეცვლა გავლენას ახდენს მისი ეროვნული უშიშროების მოთხოვნილებებზე, მას შეუძლია მიიღოს ნებართვა ამ კონვენციით დაწესებული შეიარაღების გადიდებაზე იმ შემთხვევაში, თუ ამას ერთხმად გადასწყვეტენ ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი ქვემოთჩამოთვლილი დიდი სახელმწიფოები".

შემდეგ ტექსტში დატოვებულია ცარიელი ადგილი, სადაც უნდა ჩაიწეროს იმ მოსამართლეთა სახელები, რომლებმაც უნდა გადასწყვიტონ საკითხი, შეიძლება თუ არა შეიარაღების გადიდების უფლების მიცემა, წინააღმდეგ კონვენციისა. ამას ამხანაგებო, ეწოდება „საქმისადმი ფხიზელი, რეალისტური მიდგომა", რომელსაც უპირდაპირებენ საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილ „უტოპიურ" „იდეალისტურ" წინადადებებს.

განიარაღების კომისიის მიერ დასახული მუშაობის პროგრამა და მეთოდები სავსებით უზრუნველყოფენ სესიებისა და სხდომების განუსაზღვრელ რაოდენობას მრავალი წლების განმავლობაში და ამიტომ განიარაღების მოწინააღმდეგეთ განსაკუთრებით არ უნდა აშინებდეს ერთა ლიგის მუშაობა და მისი მოსამზადებელი კომისიის პერსპექტივები. ნამდვილად კი განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მუშაობის ეს კუს ნაბიჯიც კი აშინებს ვიღაცას. და აი, ერთა ლიგის უკანასკნელმა სესიამ მიიღო დამატებითი ზომები იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული არა მარტო „ნაადრევი" განიარაღება, არამედ განიარაღების პრობლემის „ნაადრევი" დასმაც კი (სიცილი). ამ მიზნით გამოიგონეს და შექმნეს ეგრედ წოდებული უშიშროების კომიტეტი (სიცილი). ერთა ლიგის ეს ახალი პირმშო უნდა შეუდგეს ერთა ლიგის წევრთა უშიშროების დამატებითი გარანტიების განხილვას, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, იმ გარანტიების განხილვას, რომელნიც უზრუნველყოფენ მსოფლიო ომის ნადავლის უშიშრად მონელებას და ტერიტორიების ძალადობით წართმევას, ძარცვას, რაც ჩადენილ იქნა ვერსალის, სენ-ჟერმენის და სხვა ხელშეკრულობათა გარეშე. ამ კომიტეტმა იმავე მიზნით უნდა გადასინჯოს ერთა ლიგის წესდების სათანადო მუხლები. მხოლოდ მაშინ, როცა დამაკმაყოფილებლად დამთავრდება ამ კომიტეტის მუშაობა, შეიძლება შეუდგენ კონვენციის იმ პროექტის განხილვას, რის შესახებაც ეს არის მოგახსენეთ.

ჩვენი წინადადება და მათი პასუხი

აი, ერთა ლიგის მუშაობის ბალანსი განიარაღების დარგში; ეს ბალანსი დახვდა ჩვენს დელეგაციას ჟენევაში. მოსამზადებელი კომისიის მეოთხე სესიამ, რომელშიაც ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა, მეტად მოკლე დღის წესრიგი დასვა. ეს დღის წესრიგი შესდგება ორი მუხლისაგან: შემდეგი სესიის დატის დანიშვნა და უშიშროების კომიტეტის შექმნა (სიცილი.) თუ გვერდს აუვლით ამ მეორე ამოცანას — კომიტეტის შექმნას, — რომლის კავშირს განიარაღების მოსამზადებელ კომისიასთან უარყოფდა არა მარტო ჩვენი დელეგაცია, არამედ სხვა დელეგაციებიც.—მაშინ რჩება ის, რომ ყველა ქვეყნების წარმომადგენლნი ჟენევაში ჩავიდენ იმ მიზნით, რათა გამოერკვიათ შემდეგი სხდომის დატა.

ამიტომ გასაკვირველი არაფერია, რომ, როდესაც მოსამზადებელ კომისიაში საბჭოთა დელეგაციამ ლაპარაკი დაიწყო უშუალო, ნამდვილი განიარაღების შესახებ, მისი გამოსვლა ასე გაიგეს, როგორც თავდასხმა ერთა ლიგის კომისიის საფუძვლებზე, როგორც ყოველგვარი ზრდილობის დარღვევა. მაგრამ, ამხანაგებო, პოლიტიკურ ზრდილობაზე ჩვენ საკუთარი წარმოდგენა გვაქვს. ჩვენ არავის დავპირდით, რომ განიარაღების საკითხი ისე დაგვესვა, როგორც ჩვენ გვსურდა. ჩვენ საკუთარი პროექტი შევიტანეთ განიარაღების შესახებ. ჩვენ არამც თუ საკუთარი პროექტი შევიტანეთ, არამედ გავაკრიტიკეთ კიდეც ერთა ლიგისა და მოსამზადებელი კომისიის წინანდელი მუშაობა, უმთავრესად კი მუშაობის მეთოდები. კონვენციის წყალ-წყალა, დანეულ, სრულიად არარეალურ პროექტს, რომელიც მხოლოდ დაუსრულებელი კამათის, დავის და დისკუსიის ქარგათ გამოდგება, პროექტს, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, მილიტარიზმის მძიმე ლოდის არავითარ თვალსაჩინო შემსუბუქებას არ მოასწავებს, რომელიც ახალი ომების წინააღმდეგ არავითარ გარანტიას არ წარმოადგენს,—ჩვენ დაუპირდაპირეთ საკუთარი, კონკრეტული და, თუ, რასაკვირველია, სურვილი იქნება, ადვილად განსახორციელებელი გეგმა სრული საყოველთაო განიარაღებისა,—გეგმა, რომელიც არც ერთ სახელმწიფოს ზიანს არ მოუტანს.

ჩვენ, რასაკვირველია, ამასთანავე აღვნიშნეთ, რომ ანგარიშს უწევთ და მზად ვართ კვლავაც გაუწიოთ ანგარიში, იმას, რომ კომისიის დანარჩენი წევრებისათვის ძნელი იქნება ახლავე მიიღონ დაუყოვნებლივი და სრული განიარაღების პროექტი. მზად ვართ მივიღოთ განიარაღების 4 წლის ვადა. ჩვენ დაუმატეთ, რომ თანახმა ვართ განვიხილოთ სხვა წინადადებანიც, რომლებიც მიმართული იქნებიან ჩვენ-მიერ დასახული გეზით, ნამდვილი განიარაღების გეზით, მაგრამ კომისიის ხელმძღვანელები სხვადასხვა მიზეზებით ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ჩვენი წინადადებისათვის დუმილით აექციათ გვერდი, არავითარი გადაწყვეტილება არ მიეღოთ ჩვენ წინადადებათა გამო და მორიგ საქმეებზე გადასულიყვნენ. ეს მათთვის საჭირო იყო არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენმა წინადადებამ დაარღვია კომისიის შემოღებული წესი. რაც იმაში მდგომარეობდა, რომ დასჯერებოდნენ მხოლოდ შემდეგი სხდომის თარიღის დანიშვნას, არამედ, უმთავრესად, იმიტომაც, რომ არაფერი ჰქონდათ სათქმელი ჩვენი წინადადების წინააღმდეგ; ეს ბრწყინვალედ დაამტკიცა იმ პატარა დისკუსიამ, რომელიც კომისიას მაინც მოვახვიეთ თავს.

მართლაც, რა პასუხი მოვისმინეთ ჩვენი პროგრამის წინააღმდეგ? ეს პროგრამა, თურმე ნუ იტყვით, მეტად მარტივი ყოფილა. ის, მართლაც, იმდენად მარტივია, რომ ასეთივე მარტივ პასუხს მოითხოვს, არ საჭიროებს მეტად ხანგრძლივ განხილვას, კამათს და საკითხების გადაწყვეტის გაჭიანურებას იმ მეთოდებს, რომლებსაც ერთა ლიგა მიეჩვია. ჩვენი პროგრამის სიმარტივე ზოგიერთებისათვის ერთგვარ უხერხულობას წარმოადგენს შემდეგ ისინი ამბობდნენ: რომ თქვენი პროგრამა კარგი ყოფილიყო, წინედაც მიხვდებოდნენ ამას, მაგრამ რახან წინათ ვერ მიხვდნენ, ჩვენ რაღად უნდა ვიტეხოთ თავი მასზეო (სიცილი). ჩვენ იმასაც გვეუბნებოდნენ, რომ კომისიას უკვე აქვს თავისი პროექტი კონვენციისა, რაზედაც მან დიდი შრომა დახარჯა და ამიტომ მუშაობამ ამაოდ არ უნდა ჩაიაროს (სიცილი), ისევ ეს პროექტი უნდა განვიხილოთ და არა ახალიო. ამასთანავე კომისიის წევრებმა აშკარად აღიარეს, რომ პროექტის განხილვაზე გაწეულმა მუშაობამ კომისია შეიყვანა უღრან ტყეში. საიდანაც არავითარი გამოსავალი არ მოსჩანს, მაგრამ თავის სანუგეშოდ მათ გაახსენდათ, რომ რომელიღაც ბრძენი ფილოსოფოსი ამბობდა: თუ ტყეში გზა აგერიოს, განაგრძე სიარული ერთის მიმართულებით, ნურც მარჯვნივ გადაუხვევ, ნურც მარცხნივ და მაშინ, ადრე თუ გვიან ტყეს თავს დააღწევო (სიცილი). მოსამზადებელმა კომისიამ.—თუმცა მას გზა აერია,— მაინც უნდა ბოლომდე იაროს ერთხელ ამორჩეული ბნელი გზით და ყურადღება არ მიაქციოს არავითარ ახლად ნაჩვენებ მარტივ და ნათელ გამოსავალს.

მიუთითებდენ აგრეთვე იმაზე, რომ ზოგიერთ ქვეყნებს, წინააღმდეგ კონვენციისა სრულიად განიარაღების შესახებ, შეუძლიათ განაგრძონ შეიარაღება. საბუთი, რომლის მოყვანაც შეიძლება ყველა საერთაშორისო კონვენციების წინააღმდეგ! მე ვფიქრობ, რომ პირიქით. გაცილებით უფრო ადვილია იმ სახელმწიფოს კონტროლი და დანაშაულის გამორკვევა, რომელმაც იკისრა ვალდებულება არ იყოლიოს არავითარი არმია, არავითარი სამხედრო ფლოტი, არავითარი საჰაერო ფლოტი და რომელმაც წინააღმდეგ ამ კონვენციის განიზრახა ახალი არმიისა და ფლოტის ჩანასახის შექმნა,—ვიდრე იმ სახელმწიფოსი, რომელმაც იკისრა მხოლოდ თავისი შეიარაღების შემცირება და ფარულად კი განაგრძობს შეიარაღების გადიდებას. ყველა ეს საბუთები სრულიად არასერიოზულია.

საბჭოთა დელეგაციის წინადადების მოხსნის ცდა

სოციალისტი პოლ ბონკური, რომელმაც იკისრა არასახარბიელო ამოცანა გამოსულიყო ყველა ჩვენს წინააღმდეგ დარაზმულ კაპიტალისტურ სახელმწიფოების სახელით. შეეცადა დისკუსიის გადატანა უფრო მაღალ პრინციპიალურ დონეზე. ის ცდილობდა დაემტკიცებია, რომ ჩვენი პროექტის —სრული განიარაღების განხორციელება, განსაკუთრებულ ზიანს მიაყენებდა პატარა ერებს, რომლებიც თითქოს, განიარაღების შემთხვევაში, ეკონომიურად უფრო ძლიერ სახელმწიფოებთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. თითქოს ეხლა არ არსებობს ეს უთანასწორობა და თითქოს შეიარაღებისა და სამხედრო მრეწველობის არა თანაბარი განაწილება ასუსტებდეს ამ უთანასწორობას. თითქო პატარა ერები უფრო ნაკლებ სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ მათი ძლიერი მეზობლების განიარაღების შემდეგ, ვიდრე ეხლა არიან, როცა ამ მეზობლებს ეკონომიურ, ფინანსიურ, ტერიტორიალურ და სხ სიძლიერესთან ერთად, უდიდესი უპირატესობა აქვთ შეიარაღების მხრივაც.

ამხ. ლიტვინოვი

ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები, ლიბერალური მიმართულების გაზეთებიც კი, ჩვენს პროგრამას უარყოფდენ ფილოსოფიური ლათაიებით და მითითებით ადამიანის მეომარ ბუნებაზე, იმაზე, რომ ადამიანს უყვარს ჩხუბი (სიცილი) და მისთვის ამა თუ იმ სახის ბრძოლა აუცილებელია. ამიტომ, სწერდენ ეს გაზეთები, თუ სრული განიარაღება გატარდა, ერები ერთმანეთს მუშტებით დაერევიანო (სიცილი). ეს, გაზეთების აზრით, იქნება უკან დახევა ცივილიზაციიდან ბარბაროსობისაკენ. ცივილიზაციის თანამგზავრნი არიან: თოფის წამალი, ტყვია, ტანკები, „დუმ-დუმ"-ის ტყვია, წყალქვეშა ნავები, ქალაქების დანგრევა, მხრჩოლავი გაზები და სხვა —უამისოდ კი ვერავითარი ცივილიზაცია ვერ იხეირებს! ჩვენმა წინადადებებმა საკმაოდ დიდი ლიტერატურა შეჰქმნეს საზღვარგარეთ. მათ შესახებ, რასაკვირველია, ყველა გაზეთი, ყველა ჟურნალი სწერდა, მე გულდასმით ვადევნებდი თვალყურს ბეჭდვითი სიტყვის ამ ორგანოებს და უნდა დავადასტურო, რომ არსად ჩვენ წინადადებათა შესახებ სხვა არავითარი მოსაზრება არ შემხვედრია, გარდა იმ მოსაზრებათა, რომელნიც მე ჩამოვთვალე.

კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენელთა მდგომარეობა კომისიაში ჭეშმარიტად ტრაღიკული იყო. ისინი ვერ იტყვიან, რომ არ სურთ სრული განიარაღება. განიარაღების კონფერენციის და მოსამზადებელ კომისიის მოწვევის მთელი ეს იდეა ხომ იმის გამო წარმოიშვა, რომ კაპიტალისტური მთავრობები, ყველაზე უფრო რეაქციონური მთავრობებიც კი იძულებული არიან რამდენადმე ანგარიში გაუწიონ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მოითხოვს გარანტიას მომავალი ომების წინააღმდეგ, მოითხოვს მილიტარიზმის ტვირთის შემსუბუქებას.

მაშასადამე, მათ არ შეუძლიათ გულახდილად სთქვან, რომ არ სურთ სრული განიარაღება, მაგრამ მათ არ შეუძლიათ აგრეთვე გამოააშკარაონ ამის მიზეზები, მიზეზები, რომლებსაც მე და თქვენ კარგად ვიცნობთ. ამავე დროს კი მათ ვერ შესძლეს რაიმე საქმიანი პასუხის გაცემა ჩვენს წინადადებებზე იმის დასამტკიცებლად, რომ ეს წინადადებები განუხორციელებელია, თუ განიარაღების სურვილი და მონდომება იქნება. აი, ამიტომ ისინი ჯერ შეეცადნენ სრულებით არ ყოფილიყო რაიმე დისკუსია, შემდეგ კი ეს დისკუსია მიაფუჩეჩეს.

კომისიის ერთმა წევრმა, საბერძნეთის წარმომადგენელმა პოლიტისმა წინადადება შეიტანა, რომ კომისია მორიგ საქმეებზე გადასულიყო და არავითარი გადაწყვეტილება არ გამოეტანა, ამასთანავე „სულგრძელობა" გამოიჩინა და ნება დართო ჩვენს დელეგაციას, რომ თავისი წინადადებანი ხელახლა შეეტანა მოსამზადებელი კომისიის მომავალ სესიაზე.

მე იძულებული ვიყავი მომეგონებია პოლიტისათვის, რომ თვით ბურჟუაზიულ თავაზიანობასაც კი ეწინააღმდეგება კრების წევრის მიერ შეტანილ რეზოლიუციებისა და წინადადებებისადმი ასეთ უხეშ მოპყრობას, რომ მე უფლება მაქვს მოვითხოვო,—და რასაკვირველია. მათი საქმეა განიხილავენ თუ არა ამას, —ან მიიღონ ჩვენი წინადადება, ან უარყონ ის, ხოლო თუ მათ ეხლა არ შეუძლიათ ამა თუ იმ გადაწყვეტილების გამოტანა, არა აქვთ საამისო რწმუნებები თავიანთ მთავრობებისაგან, მაშინ წინადადების განხილვა შეიძლება გადადებულ იქნეს შემდეგი სხდომისთვის, მაგრამ ამის შესახებ კომისიამ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება. ამის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჩვენი წინადადებები ითვლება უკვე შეტანილად და დართულია კომისიის საქმეებში (სიცილი) და რომ კომისია მას განიხილავს შემდეგ სხდომაზე. ეჭვს გარეშეა, რომ კომისიის შემდეგ სესიაზე შეეცდებიან გაიმეორონ ასეთივე ტაქტიკა, რათა როგორმე მიაფუჩეჩონ ჩვენი წინადადებები, გვერდი აუხვიონ მათ, თავიდან აიცილონ სერიოზული დისკუსია, და ჩვენს დელეგაციას მოუხდება კიდევ უფრო ენერგიული ბრძოლა ჩვენი პროგრამის უფრო ვრცლად განხილვისათვის, ამ პროგრამის გაყვანისათვის, ან მისი უარყოფის მიზეზების შესახებ სათანადო ახსნა-განმარტებების მიღებისათვის და პირველ ყოვლისა მას მოუხდება ბრძოლა მოსამზადებელ კომისიის მუშაობის გაჭიანურების მეთოდების წინააღმდეგ.

ჩვენი დამოკიდებულება „უშიშროების კომიტეტისადმი"

ჩვენ კონფლიქტი მოგვივიდა აგრეთვე მოსამზადებელ კომისიის დანარჩენ წევრებთან. მომავალი სესიის საკითხში. საბჭოთა დელეგაცია აყენებდა მაქსიმალურად უახლოეს დროს. ის აღნიშნავდა, რომ რამდენათაც ეს მისგან არის დამოკიდებული, ის მზადაა საერთოდ ეხლავე განაგრძოს მუშაობა, მზადაა იმუშაოს უქმე დღეებშიაც, მაგრამ ანგარიშს უწევს რა გადაწყვეტილებას ერთა ლიგის საბჭოს სხდომების დროებით შეწყვეტის შესახებ და აგრეთვე იმას, რომ დანარჩენ დელეგაციებს არ სურთ იმუშაონ უქმე დღეებში, წინადადებას იძლევა კომისიის მეხუთე სესია დანიშნულ იქნეს 10 იანვრისათვის. მაგრამ კომისიას, რასაკვირველია, აქვს თავისი ტემპი მუშაობისა. ებღაუჭებოდა რა წინანდებურად თავის კონვენციის პროექტს, რომლის შემდგომი განხილვისათვის საჭიროა შეთანხმების მიღწევა უკვე წამოჭრილ სადაო საკითხების გარშემო, კომისია მოითხოვდა შემდგომის სესიის მოწვევის გადადებას, რაც შეიძლება დიდი ხნით, რასაც ასაბუთებდენ აგრეთვე იმით, რომ მოსამზადებელი კომისიის მუშაობა ასე თუ ისე დაკავშირებულია უშიშროების კომიტეტის მუშაობასთან. მაშინ ჩვენ შევიტანეთ რეზოლიუცია, რომელშიაც მოვითხოვდით, რომ კომისიას ერთხელ და სამუდამოთ გამოეტანა გადაწყვეტილება განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მუშაობის დამოუკიდებლობის შესახებ უშიშროების კომიტეტისაგან. გერმანიის დელეგაციამ მხარი დაუჭირა ჩვენს რეზოლიუციას და შემოიტანა მხოლოდ რამოდენიმე უმნიშვნელო შესწორება. ისიც მოითხოვდა აგრეთვე მოსამზადებელი კომისიის მოწვევას უახლოეს ვადაში, მაგრამ მალე დასთმო თავისი პოზიციები და დასთანხმდა კომპრომისულ წინადადებაზე მოსამზადებელი კომისიის მოწვევის შესახებ 15 მარტს.

მე უნდა აღვნიშნო, რომ როგორც ამ შემთხვევაში, ისე ზოგიერთ სხვა შემთხვევებში გერმანიის დელეგაცია ერთხანს ჩვენ მოგვყვებოდა, მაგრამ სულ სხვა მოტივებით გერმანიის დელეგაცია, ისევე, როგორც ჩვენ, დაინტერესებულია განიარაღების საკითხის სასწრაფოდ გადაჭრაში. ვერსალის ხელშეკრულებით განიარაღებული გერმანია თავის მოთხოვნილებას სხვა ქვეყნების განიარაღების შესახებ ასაბუთებს ერთა ლიგის წესდების ერთი მუხლით. თუ ეს მუხლი არ იქნება შესრულებული, გერმანიას უფლება აქვს მოითხოვოს შეიარაღება თავისთვისაც.

გერმანიის დელეგაცია, მოსამზადებელ კომისიის მუშაობის დაჩქარების მიზნით, ჩვენთან ერთად ცდილობდა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის გამიჯვნას უშიშროების კომიტეტისაგან, მაგრამ მას, რასაკვირველია, არ შეეძლო თავისი მოთხოვნილებების ბოლომდე დაცვა ისეთი სიმტკიცით, როგორც ჩვენ, ვინაიდან გერმანია, როგორც ერთა ლიგის წევრი, შებოჭილია ლიგის დადგენილებებით, ამის შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ ყველა საკითხებში, რომლებიც განიხილა კომისიამ, ჩვენსა და დანარჩენ დელეგაციებს შორის აშკარად და მკაფიოდ გამოიხატა განსხვავება: ჩვენ და ისინი, —აი, როგორი იყო მდგომარეობა. ეს სავსებით გასაგებია, ჩვენ ამის შესახებ არც შეიძლება გვქონოდა კრეტენზიები. თქვენ მიხვდებით, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩვენ ყოველთვის არ შეგვეძლო გამოვსულიყავით, როცა გვინდოდა და გვეთქვა ის, რაც გვსურდა.

ორიოდე სიტყვა უშიშროების კომიტეტის შესახებ. ჩვენ უარი ვსთქვით ამ კომიტეტში შესვლაზე. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ამ კომიტეტის შექმნაში ვხედავთ განიარაღების საკითხის გაჭიანურების ცდას და რომ ასეთი ტაქტიკისათვის ჩვენ თავის თავზე ვერ მივიღებთ პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, რამდენადაც ჩვენ არა ვართ ერთა ლიგის წევრები და არ ვცნობთ მის წესდებას, ჩვენ, თავისთავად ცხადია, არ შეგვიძლია ვაწარმოოთ ამ წესდების ან საერთოდ იმ დადგენილებების გადათვალიერება, განმარტება და ჩამოყალიბება, რომელიც წინად მიუღია ერთა ლიგის საბჭოს ან თვით ერთა ლიგას. მიუხედავათ ამისა, მოსამზადებელ კომისიასა და უშიშროების კომიტეტს შორის, ჩვენი სურვილის გარეშე, ტექნიკურ კავშირის დაწესებას გამო, ჩვენ დავთანხმდით შევსულიყავით კომიტეტში მეთვალყურის სახით, ე. ი. საინფორმაციო მიზნით. მე უნდა მოგახსენოთ, რომ ერთა ლიგის ეგრედ წოდებულ მეთვალყურეთა უფლებები არ არის რეგლამენტით განსაზღვრული და თვითეულ ცალკე შემთხვევაში შეთანხმებით წესდება. მე დავესწარი უშიშროების კომიტეტის სხდომებს და რომ მდომებოდა ამა თუ იმ საკითხებზე სიტყვის წარმოთქმა, ალბად, წინააღმდეგობას არავინ გამიწევდა და მაგრამ შესაძლებლობით მე არ ვისარგებლე, მით უმეტეს, რომ საკითხები, რომლებიც იქ ირჩეოდა, ჩვენ სრულებით არ გვეხებოდა. კომიტეტში იმუშავებდენ მხოლოდ მუშაობის პროგრამას და პირველ ხანებშივე მკაფიოდ ჩამოყალიბდა ორი ტენდენცია. ერთის მხრივ ცდილობდენ აღედგინათ ეგრედ წოდებული ჟენევის ოქმი სავალდებულო არბიტრაჟის და საურთიერთო გარანტიების შესახებ, სწორედ ის ოქმი, რომელიც თავის დროზე პრინციპიალურად, და არა ფორმალურად, მიიღო მაკდონალდის მთავრობამ და შემდეგ უარჰყო ინგლისის ეხლანდელმა კონსერვატიულმა მთავრობამ. ეს ცდა, რასაკვირველია, არ მოეწონა ინგლისის დელეგატს, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ ოქმი ერთხელ და სამუდამოთ დამარხულად უნდა ჩაითვალოს, რომ თუ კომიტეტს სურს ამ ოქმის განხილვა, ეს, რასაკვირველია, მისი საქმეა, მაგრამ ერთი აშკარაა, რომ დამსწრეთა შორის ვერავინ ვერ მიაღწევს დისკუსიის დასრულებამდე (სიცილი).

ეს პირველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა უშიშროების კომიტეტში ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ ბრძოლების შესახებ, რომლებსაც ადგილი ექნება კომიტეტის შიგნით მომავალში და იმავე დროს საუკეთესოდ ამტკიცებს ჩვენ მიერ გამოთქმულ შეხედულებას, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიასა და უშიშროების კომიტეტს შორის ურთიერთდამოკიდებულების შექმნის ცდა მოსამზადებელ კომისიის მუშაობას უნაყოფოდ აქცევს ან უკეთეს შემთხვევაში დაუსრულებლად გააჭიანურებს.

დასკვნა

მოსამზადებელ კომისიის მუშაობაში ჩვენი მონაწილეობის საერთო ჯამი მდგომარეობს იმაში, რომ მთელი მსოფლიოს წინაშე პირველად დაისვა სერიოზულად და გარკვევით ნამდვილი განიარაღების პრობლემა. დეე ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ილაპარაკონ, რომ ჩვენს წინადადებებში არაფერია ახალი. მაგრამ ვერავინ გაექცევა იმ ფაქტს, რომ პირველად კაცობრიობის ისტორიაში დასმულია წინადადება სრული განიარაღების შესახებ, და მაშასადამე, ომების სავსებით შეწყვეტის შესახებ,—დასმულია არა რომელიმე პაციფისტურ საზოგადოების რეზოლიუციის ან კეთილი სურვილის სახით, არამედ კონკრეტიულად დამუშავებულ პროგრამის სახით, ასეთი წინადადება შემოაქვს სახელმწიფოს, რომელსაც უჭირავს მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილი. ამ ფაქტისათვის გვერდის ავლა შეუძლებელია. თუ ჩვენ ჟენევაში განმარტოებული ვიყავით, სამაგიეროთ ჩვენ აუარებელი თანამოაზრე და მომხრე გვყავს მსოფლიოს ყველა კუთხეებში, რასაც მოწმობს ის მრავალრიცხოვანი დეპეშები, წერილები რეზოლიუციები. რომლებიც ჩვენ მივიღეთ ჟენევაში და ვღებულობთ აქაც. მიიღეს მთელი რიგი რეზოლიუციები არა მარტო პაციფისტურმა საზოგადოებებმა, არამედ მეორე ინტერნაციონალის ზოგიერთ პარტიებმაც, რომელნიც იძულებული გახდენ ეცნოთ ჩვენი პროგრამა და შეერთებოდენ მას, სიტყვით მაინც. რომ ბურჟუაზია საკმაოდ შეაშინა ჩვენმა წინადადებებმა, ეს სჩანს იმ ზომებიდან და საშუალებებიდან. რომლებითაც ის ეხლა ცდილობს სახელი გაუტეხოს ამ წინადადებებს. ის მიმართავს უაღრესად „გმირულ" საშუალებებს, ხელ ახლა იწყებს ეგრედ წოდებულ „ზინოვიევის წერილების" შეთხზვას. ამ დღეებში ამერიკის ერთმა აფერისტულმა დეპეშათა სააგენტომ გაავრცელა ყალბი წერილი, ვითომ დაწერილი ამხ. სტალინის მიერ, რომელშიც თითქოს ავტორი იკვეხნის, რომ ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები საჰაერო შეიარაღების სფეროში და რომ ჩვენ გაუსწარით თვით ინგლისსაც. წერილი, რასაკვირველია, არის ყალბი, არასოდეს და არსად არც სტალინის და არც სხვი რომელიმე ჩვენგანს ის არ დაუწერია. მიუხედავად იმისა, რომ წერილის წყარო უაღრესად ბნელია, სერიოზულ ბურჟუაზიულ გაზეთებმა გადაბეჭდეს ეს წერილი და კომენტარიებს უკეთებენ მას. აი რა საშუალებებს მიმართავს ბურჟუაზია, რომ გააქარწყლოს ის უდიდესი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მთელს მსოფლიოში საბჭოთა მთავრობის წინადადებებმა, მაგრამ ამას ის ვერ შესძლებს. რომელიღაც „სოციალისტმა" მეორე ინტერნაციონალიდან ამ დღეებში განაცხადა „დეე საბჭ. კავშირმა მისცეს მაგალითი სხვებს, დეე განიარაღდეს ის და შემდეგ ჩვენც ვნახავთ —შეიძლება ჩვენც მივბაძოთ მის მაგალითსო. (სიცილი) ხმები: გვნახეს რაღა სულელები!") წინადადება, რასაკვირველია, არის არა გულუბრყვილო, არამედ პირდაპირ ბრიყვული და მასზედ პასუხის გაცემა არც კი ღირს. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ზოგიერთებისათვის სასურველი იქნებოდა არა საყოველთაო განიარაღება, არამედ იარაღის აყრა მსოფლიოში ერთად-ერთ საბჭოთა სახელმწიფოსათვის, რომ შემდეგ ადვილად დაემორჩილონ ის. მაგრამ ეს ფანდი არ გაუვათ (ტაში). ჩვენ განვაცხადეთ და ვაცხადებთ, რომ მზადა ვართ მთლიანად განვახორციელოთ ჩვენი პროგრამა, თუ ამაზე დაგვეთანხმებიან სხვა ქვეყნები. თუ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ეჭვი ეპარებათ ჩვენს გულწრფელობაში, მათ აქვთ საშუალება შეამოწმონ ჩვენი გულწრფელობა. ეს საშუალებაა—მათი შემოერთება ჩვენს პროგრამასთან. თუ მათ არ შეუძლიათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა, თუ მათ არ სურთ ეს, ისინი თავისი სურვილის წინააღმდეგ მთელს ქვეყანას დაუმტკიცებენ, რომ წინადადება სრული განიარაღებისა და ომების შეწყვეტის შესახებ. შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირისაგან, შეიძლება მიღებულ და განხორციელებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოთა სისტემა გავრცელდება მსოფლიოს ყველა დანარჩენ სახელმწიფოებზე და მათ პოლიტიკას საფუძვლად დაედება ის პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირი (მქუხარე ტაში).

ყრილობის დარბაზიდან

ხუთშაბათი, 15 დეკემბერი

15 დეკემბრის დილის სხდომაზე ფართო კამათი გაიმართა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გარშემო, რის შემდეგაც საბოლოო სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. კრჟიჟანოვსკიმ და რიკოვმა.

ამხ. კრჟიჟანოვსკიმ აღნიშნა, რომ პარტია მძლავრი მასივით მიუახლოვდა ხუთწლიანი გეგმის პრობლემას. უმთავრესი საყვედური, რომელიც აღნიშნულ იქნა კამათში,—ეს არის საქმის გაჭიანურება სამეურნეო მუშაობაში და ნაკლულოვანებანი ნავთის, ქვანახშირის და ლითონის დარგში გეგმიანობის მხრივ.

საქმის გაჭიანურება ბიუროკრატიზმის ღვიძლი ძმაა. ამის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ: არ უნდა მოვერიდოთ უმკაცრეს ზომებსაც კი. აღნიშნულ იქნა გეგმიანი მუშაობის ნაკლი. ეს მართალია, ბევრი კიდევ არის გასაკეთებელი. ყრილობამ ერთსულოვნად გაუსვა ხაზი დაგეგმვისათვის გადამჭრელ მომენტს, რომელიც გეგმიანობის ცხოველმყოფელობას განსაზღვრავს. ეს არის ჩვენი ქვეყნის რაიონებად დაყოფა ეკონომიური ერთეულების მხრივ. ჩვენი ქვეყანა უზარმაზარია და თუ ჩვენ არ მოვახდენთ ეკონომიურ რაიონებად დაყოფას და გამოვალთ საშუალო ციფრებიდან, მაშინ ყოველთვის შევცდებით: ამხ. კრჟიჟანოვსკის მოჰყავს ლენინის მოსაზრებანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ რაიონებად დაყოფის შესახებ. ლენინი სცნობდა, რომ ეს საქმე იმდენად ძნელია და რთული, რომ აუცილებელია დიდი საზოგადოებრივი მზადება და აგრეთვე პარტიული აქტივის მომზადება. ეს პირობები ჩვენ უკვე გვაქვს. შემდეგ ამხ. კრჟიჟანოვსკი აღნიშნავს რაიონებად დაყოფის პრობლემის მნიშვნელობას სასოფლო მეურნეობის დარგში. აუცილებელია ცენტრისა და ადგილების შეთანხმებული მუშაობა. დაგეგმვის საკითხებში აუცილებელია თავიდან ავიცილოთ ცალმხრივი სტატისტიკური სპეციფიური გადახრანი. სავალალო იქნება, თუ ციფრები მოკლებული აღმოჩნდება ეკონომიურ შინაარსს. მაგრამ მეცნიერული სტატისტიკა აუცილებელია. ლენინი ამბობდა: „სტატისტიკოსები, ჩვენი საიმედო თანაშემწენი უნდა იყვნენ, და არა სქოლასტიკოსები"-ო.

კამათის უმთავრესი და საერთო შედეგი მოწმობს იმას, რომ ლენინის მიერ გადასროლილი თესლი კარგ ნიადაგზე დაეცა. ძველი გვარდია ზოგჯერ იღლება. მისი შემცვლელია ტერიტორიალური ჯარი, რომელიც მიდის წინ ლენინურ დროშის ქვეშ, რომ ერთსულოვნად იმუშაოს.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რიკოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ უმთავრესი დასკვნა კამათიდან ასეთია: ყრილობა სწორად სთვლის ხუთწლიანი გეგმის შეფასებას მთლიანად; გეგმა კიდევ უნდა დამუშავდეს ყრილობა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ „ნაკაზის" მიცემით.

— მე არ შევეხები,—ამბობს ამხ. რიკოვი,—მრეწველობის ცალკე დარგების საკითხებს, ვინაიდან მაშინ უნდა ვილაპარაკო არა 6 ან 7 საათი, არამედ გაცილებით უფრო მეტი. კერძო საკითხები განხილულ უნდა იქნას ვიწრო კოლეგიაში, და ამავე დროს პრესაში უნდა გაიმართოს დისკუსია.

კამათის ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ სრულებით არ შეეხენ მიმდინარე წლის კონიუნქტურის საკითხებს, ეს წელი კი სანიმუშო წელია. კერძო დაბრკოლებანი (პური) შეიძლება საერთო დაბრკოლებად გადაიქცეს. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა პურიდან იღებს მთელი თავისი შემოსავლის მხოლოდ 20 პროცენტს, პურის კრიზისი ნიშნავს სასოფლო მეურნეობის კრიზისს. მრეწველობის ნედლეულის ბაზის კრიზისს. ეს საფრთხე უნდა მოვსპოთ ამავე წელში და ის უნდა გავითვალისწინოთ ხუთწლიან გეგმაში. თუ ავიღებთ მწარმოებ რაიონებს (ციმბირის გამოკლებით), ჩვენ დავინახავთ, რომ ხორბლეული კულტურის ნათესის მხრივ ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი: შარშან დათესილი იყო 30 მილიონი დეს., წელს—24 მილიონი დესეტინა. იგივე უნდა ითქვას მსუბუქ ინდუსტრიაზე, რომლის კრიზისი მდგომარეობს არა იმაში, რომ არ გვყოფნიდა ფაბრიკები და მოწყობილობანი, არამედ უმთავრესად იმაში, რომ არ გვყოფნიდა ნედლეული (ბამბა, მატყლი, ტყავი).

მსუბუქი ინდუსტრიის განვითარება დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის განვითარებისაგან, ეს უკანასკნელი კი იმისაგან, მისცემს, თუ არა ნედლეულის რაიონებს პურს განსაზღვრულ ფასებში.

ამბობენ, რომ მძიმე მრეწველობა მსუბუქი მრეწველობის ხარჯზე ვერ განვითარდებაო. ამიტომ იკრძალება მრეწველობის საშუალებათა გადანაწილება. ეს დირექტივა მიუღებელია. როგორც არ შეიძლება ჩვენი მეურნეობის განვითარების არსებულ სტადიაზე აკრძალულ იქნას ქალაქსა და სოფელს შორის საშუალებათა გადანაწილება, ისე არ შეიძლება აგრეთვე რომ აკრძალულ იქნას გადანაწილება მრეწველობაში.

მსუბუქი ინდუსტრია მომგებიანია; მძიმე ინდუსტრია აქამდე ზარალს იძლეოდა. მსუბუქი ინდუსტრია უნდა განვითარდეს მუშათა ნივთიერი მდგომარეობის ამაღლებასა და ქალაქისა და სოფლის შორის საქონლის აღებმიცემობასთან დაკავშირებით.

ამხ. რიკოვი არ ეთანხმება ამხ. სოკოლნიკოვს, რომელიც დღეს წინადადებას იძლევა ჯერ კიდევ წინასწარ შეიქნას სასურსათო ბაზა. ამის შესახებ ლენინი ლაპარაკობდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს. მე-15 ყრილობის დროისათვის ეს ელემენტარული მოთხოვნილება უკვე დაკმაყოფილებულია. ჩვენ ახლა გადავდივართ ტეხნიკის გაუმჯობესებაზე.

— რატომ არ ვლაპარაკობდი მიღწევების შესახებ? ამაზე ბევრი ითქვა, ეს ახლა საბჭოთა კავშირის თვითეულმა მოქალაქემ იცის.

სამეურნეო მუშაკების გამრავლების შესახებ ამხ. რიკოვმა სთქვა: სამეურნეო მუშაობაზე ჩვენ ძლიერ ამხანაგებს ვგზავნით. სამეურნეო მუშაკების გამრავლება— ეს პარტიის თვითკრიტიკაა. ჩვენ ხომ ჩვენს მეურნეობას სარგებლობის მისაღებად არ ვაძლევთ ცალკე წევრებს ან ჯგუფებს. თვითკრიტიკა აუცილებელია.

ამხ. რიკოვი აღნიშნავს, რომ იწყობენ ქარხნის შენებას, და ბოლოს აღმოჩნდება, რომ ორჯერ მეტად ჯდება, ვიდრე ნავარაუდევი იყო. ეს დაუდევრობაა საქმისადმი. ხომ არ შეიძლება, რომ გეგმით ნაგულისხმევი 25 მილიარდის მაგიერ 50 მილიარდი მივცეთ.

მე-15 ყრილობის შემდეგ ასეთ დაუდევრობას ჩვენ შევხედავთ, როგორც ბოროტმოქმედებას და ამისათვის სამართალში მივცემთ.

შემდეგ ამხ. რიკოვი შეჩერდა პასუხისმგებლობის საკითხზე. მთელ რიგ საკითხების შესახებ არ იციან, თუ ვინ და რისთვის უნდა აგოს პასუხი. უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, პასუხს არავინ აგებს. თუ კოლეგია აგებს პასუხს, რომელი წევრი აგებს პასუხს და რისთვის? ევროპაში თვითეული ტეხნიკოსი პასუხს აგებს თავისი საქმისათვის. ჩვენში ბევრი კომუნისტი ხელს აწერს იმას, რაც თვითონვე არ ესმის.

საჭიროა, რომ თვითეულმა ტეხნიკოსმა, თვითეულმა ინჟინერმა და პროფესორმა პასუხი აგოს თავისი საქმისათვის.

კომუნისტებმა მუშაობა უნდა მოაწყონ. ძალიან ბევრს რასმე ვაწერთ ხელს სხვისას, ჩვენი კი ცოტა შეგვაქვს. მთელი ბღუჯა ქაღალდების ხელის მოწერა ჯერ კიდევ საქმის გაკეთებას არ ნიშნავს. ჩვენი განვითარების სისწრაფე დამოკიდებულია მუშაობის ღირსებაზე, მუშაობის ორგანიზაციის უნარზე. ჩვენს წარმატებაზე დამოკიდებული იქნება მუშაობის მსვლელობა.

ძალიან საშიშია თვითკრიტიკის უქონლობა.

ამბობენ, რომ ვოლხოვი კარგი სადგურია, მე კი წავიკითხე, ამბობს ამხ. რიკოვი, — ამერიკულ ჟურნალში ჩვენი სადგურის შესახებ შემდეგი: „იქ ელექტრონის სადგური არ არის, ხოლო სიმფონია ჩვენი ამერიკელების ჯიბეს არ მოუხდებაო".

— ჩვენი ამოცანაა — დავრაზმოთ მუშათა კლასი მშენებლობის გაუმჯობესების საქმეში, გავასწოროთ შეცდომები და კვლავ აღარ გავიმეოროთ ჩადენილი შეცდომები.

ყრილობამ დაამტკიცა ცეკას თეზისები სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ამოირჩია კომისია.

პარასკევს დილით მოსმენილ იქნება ამხ. მოლოტოვის მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ.

რუბენი.

(ტელეფონით მოსკოვიდან)

საქ. კ. პ. (ბ.) ცენტრალურ საკონტროლო კომისიისაგან

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა, განიხილა რა თავის სხდომაზე ა. წ. 10 დეკემბერს ქვემოთ ჩამოთვლილ პარტიის წევრების და კანდიდატების საქმე ფრაქციული მუშაობის შესახებ, დაადგინა შემდეგი: გამორიცხულ იქნან პარტიიდან, როგორც აშკარა ფრაქციონერ - გამთიშველები და დეზორგანიზატორები, რომელნიც იზიარებენ ტროცკიზმის მეხედულებებს, რაც შეუთავსებელია ლენინური პარტიის წევრობასთან: 1 პარმენ ცინცაძე — გლეხი, 2. ონისიძე არევაძე — მოსამსახურე, 3. კონსტანტინე შოტ — მოსამსახურე, 4. გრიგოლ ხუნდაძე — მოსამსახურე, 5 ივანე კობელაშვილი — მუშა, 6. ოგანეს ზარაპოვი — მუშა, 7. რუვიმ როზენფარბ — მოსამსახურე, 8 იონა ჯავახია — მოსამსახურე, 9. ირაკლი ძაგანია — მოსამსახურე, 10 ალექსანდრე ცინცაძე — მოსამსახურე, 11. ნიკოლოზ ქაჯაია — მოსამსახურე, 12. ლიუსია პეტროსიანი — მოსამსახურე, 13. გრიგოლ დენიავა — მოსამსახურე, 14. სიმონ ქურჩაული — მოსამსახურე, 15. სერგო პორუხოვი — მოსამსახურე, 16. თამარა ვარდოშვილი — მოსამსახურე, 17. ალექსანდრე პრუხეცკი — მოსამსახურე, 18. ვალერიან გონაძე—მოსამსახურე.

ამასთან ერთად ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი იტყობინება, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მისაღებ ოთახში მყოფ ფრაქციონერებმა (რომელნიც გამოძახებული იყვნენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის 10 დეკემბრის სხდომაზე), გარეშე, უპარტიო ხალხის თვალწინ მოაწყვეს მისაღებ ოთახში და კორიდორში ხულიგანური დემონსტრაცია, რაც გამოიხატა ფშტვენაში, ყვირილში და ტაშის ცემაში როზენფარბის მისამართით, რომელიც პრეზიდიუმის სხდომაზე მისი დაკითხვის დროს თავისი ისტერიული ყვირილით აფერხებდა კრების ნორმალურ მსვლელობას.

ფრაქციონერთა ეს აღნიშნული მოქმედება ზედმეტჯერ ამტკიცებს იმას, რომ ადგილობრივი ოპოზიცია პარტიასთან ბრძოლის დროს არ ერიდება არავითარ ზომებს და თავის მუშაობას აძლევს ანტი - საბჭოთა გამოსვლის ხასიათს.

ანტი-საბჭ. კამპანია ჩინეთში.-ხმები კანტონის დაცემის შესახებ

კომინტერნის აღმასკომი მოუწოდებს მსოფლიო პროლეტარიატს დაეხმარონ ჩინეთის რევოლიუციას

ნორვეგიის პროფკავშირები ემხრობიან მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობას

მდგომარეობა ჩინეთში

შანხაი, 14 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ კანტონის რევოლიუციონურმა მთავრობამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც მოითხოვს მემამულეთა მიწების და სახლების კონფისკაციას და მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას.

სააგენტო იტყობინება, რომ უცხოელები ინგლისური გემით გაიხიზნენ კანტონიდან. გონკონგში მასიურათ მოდიან ლტოლვილები კანტონიდან, რომლებიც ეკუთვნიან შეძლებულ ჩინოვნიკურ წრეებს.

აჯანყებული გლეხთა რაზმები გამოვიდენ კანტონის დასახმარებლად, მაგრამ შეჩერებული იყვნენ დაქირავებული მილიციის რაზმების მიერ.

შანხაი, 14 დეკემბერი. ნანკინის ოფიციალური სააგენტო გომინის უკანასკნელი ცნობები აღნიშნავენ რევოლიუციონური გადატრიალების ლიკვიდაციას კანტონში. ამ ცნობების მიხედვით ლი-ფუ-ლინის ჯარებმა, მას შემდეგ რაც მიიღეს დამხმარე რეზერვები, დაიწყეს საერთო შეტევა კანტონის წინააღმდეგ. ლი-ფუ-ლინის ჯარებს დახმარება გაუწია მექანიკოსების ყვითელმა კავშირმა. მდინარე სიკიანზე გადასვლის შემდეგ ლი-ფუ-ლინმა დაიჭირა კანტონი და დაიკავა მთავრობის დაწესებულებების შენობები. ლი-ფუ-ლინის ჯარების ძალთა უპირატესობის გამო, რევოლიუციონური ჯარები გარშემორტყმული იყვნენ, მაგრამ, მათ მოახერხეს რკალის გარღვევა და გასვლა ქალაქიდან. სააგენტოს ცნობით, რევოლიუციონურმა ჯარმა დაჰკარგა 4.000 მოკლული და დაჭრილი. (ადს).

ვან-ცზინ-ვეი გამხეცდა.

შანხაი, 14 დეკემბერი. ვან-ცზინ-ვეიმ გამოაქვეყნა ჩან-ფა-გუიდან მიღებული დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, თითქოს კომუნისტებმა კანტონში „უმაგალითო რბევა და ნგრევა მოახდინეს". დეპეშა თავდება მოწოდებით—„დიდი სიმამაცით და ენერგიით გაჟლიტეთ კომუნისტები" და გასწყვიტეთ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთანო.

საპასუხო დეპეშაში ვან-ცზინ-ვეი აცხადებს, რომ ჩან-ფუ-გუის მიერ კომუნისტების გასაჟლეტად მიღებული ზომები არაა საკმაო.

„საჭიროა დაუყოვნებლივ გადარჩენილ კომუნისტების შეუბრალებლად გაწყვეტა, არ დაინდოთ ახალგაზრდობაც კი, რომელიც მხოლოდ მხურვალე სიტყვების წარმოთქმაშია დამნაშავე. საჭიროა ყოველგვარი მასიური მოძრაობის შეწყვეტა და ყველა ამითი განადგურება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გლეხებისა და მუშების მოძრაობაში".

მიუხედავად ვან-ცზინ-ვეის ასეთი განცხადებისა, ნანკინელები მის წინააღმდეგ გააფთრებულ კამპანიას აწარმოებენ, მთელს პასუხისმგებლობას კანტონში მომხდარ აჯანყებისათვის მას აკისრებენ და მოითხოვენ ვან-ცზინ-ვეისა და გომინდანის ცაკას ყველა გუანდუნელ წევრების დაპატიმრებას.

ჩან-კაი-შის განცხადება

შანხაი, 14 დეკემბერი. შანხაის ჩინური გაზეთები ათავსებენ ჩან-კაი-შის ინტერვიუს ჩინური პრესის წარმომადგენლებთან. „ჩვენ, ამბობს ჩან-კაი-ში, მტკიცედ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი საგარეო ურთიერთობათა მიმართულება. ამჟამად საბჭოთა რუსეთის საკონსულოები ყველგან წარმოადგენენ კომუნისტური პარტიის ორგანოებს, შორეულ აღმოსავლეთის ბანკის კანტორები კი ამ პარტიის ფინანსიურ ორგანიზაციას. ნაციონალური მოძრაობის წარმატებით დასრულებამდე აუცილებელია საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, და მისი განახლება ჩინეთში ჩვენი საქმის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ.

ჩემ მიერ წარმოდგენილი ზომები რომ გაეტარებიათ ცხოვრებაში, ამბობს ჩან-კაი-ში, გუანდუნში არ მოხდებოდა შეიარაღებული გამოსვლა ჩემი ღრმა რწმენით. ჩვენ ზურგი უნდა ვაქციოთ საბჭოთა კავშირს და გავერთიანდეთ სხვა სახელმწიფოებთან კომუნისტურ პარტიასთან ბრძოლაში. გუანდუნის გადატრიალება არ არის ადგილობრივი ხასიათის მოვლენა, რადგან ასეთი მოვლენები შეიძლება განვითარდეს პეკინში, შანხაიში, ხანკოუში და ტიანძინში. გუანდუნის გადატრიალება არის მხოლოთ დასაწყისი. ამიტომ ქვეყანაში მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ზომები".

დასასრულ, ჩან-კაი-შიმ განაცხადა, რომ წინადადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ უკვე მიღებულია გომინდანის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის მოსამზადებელ კონფერენციის მიერ, და საჭირო იქნება მისი მიღება პლენუმზე, რომელიც მოწვეული იქნება 1 იანვრისათვის. (ადს).

„გაძლიერებული დაცვა"

შანხაი, 14 დეკემბერი. 15 დეკემბერს დილიდან მუნიციპალური საბჭოს პოლიცია და მოხალისე თეთრგვარდიელთა რაზმი ჩხრეკენ შანხაის საბჭოთა საკონსულოს და საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის შენობებში შემსვლელ და იქიდან გამოსულ მოქალაქეებს.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 16 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომმა ყველა მუშებს, ყველა ჩაგრულთ, კაპიტალისტური არმიების ყველა ჯარისკაცებს მიმართა შემდეგი მოწოდებით:

„კანტონში, რევოლიუციონურ ბრძოლების მთავარ ქალაქში, მუშებმა და გლეხებმა ხელთ აიღეს ძალაუფლება და საბჭოთა დროშა—რევოლიუციის წითელი დროშა აფრიალდა სამხრეთ ჩინეთის დედა-ქალაქზე. კანტონის მუშების უმაგალითო გმირობა არის მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი აქტი. მუშების წინააღმდეგ გაერთიანდენ კონტრ-რევოლიუციის ყველა ძალები: უცხოეთის იმპერიალისტები, სისხლიამსმელი გენერლები—ჯალათები და კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია. ეს ძალები აწარმოებენ გააფთრებულ ბრძოლას კანტონისათვის. კანტონი ალყაშემორტყმულია და მოჭრილია მთელ მსოფლიოსაგან. ბურჟუაზიული სააგენტოები იტყობინებიან, რომ წითელი კანტონი უკვე დაეცა და დაიწყო მუშების და კომუნისტების მასიური დასჯა, მუშათა რევოლიუციონურმა რაზმებმა—ჩინეთის წითელმა არმიამ გაარღვია მტრის რკალი. რომ ეს ცნობა კიდეც გამართლდეს, კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება კანტონზე არ შეიძლება იყოს მკვიდრი და ხანგრძლივი. გუანდუნის პროვინციის ხუთ ოლქში მტკიცეთ არის საბჭოების ძალაუფლება.

აუცილებელია ახალი ბრძოლები. მოძრაობა იზრდება, მიუხედავად ნაწილობრივი დამარცხებებისა. ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციონერები და ჯალათი გენერლები დამარცხებული იქნებიან. იმპერიალისტური მტაცებლები განდევნილი იქნებიან ჩინეთის ტერიტორიიდან. მაგრამ ახლა მათი მახვილი ემუქრება ჩინეთის გმირულ რევოლიუციას, მუშების და გლეხების რევოლიუციას. იჩქარეთ მის დასახმარებლად. დაეხმარეთ ჩინეთის საბჭოებს. არ მისცეთ არც ერთი ჯარისკაცის, არც ერთი მეზღვაურის, არც ერთი ზარბაზნის, არც ერთი თოფის გაგზავნის უფლება ჩინეთის რევოლიუციის ჩასაქრობად. უარი სთქვით გემების დატვირთვაზე სამხედრო მოწყობილობით. მოახდინეთ ყველა ძალების მობილიზაცია. მოითხოვეთ იმპერიალისტური ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანა ჩინეთიდან.

ჩან-კაი-ში „მუშაობას" შეუდგა

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. „ასოშიეტედ-პრესის" შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩან-კაი-შიმ ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს უ-ჩყაო-ჩუს და გენერალ ბაი-ცზუნ-ჩის მიანდო „ზომების მიღება, საბჭოთა საკონსულოების დასახურავად ჩინეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ნაციონალურ მთავრობას ემორჩილება".

იარაღს დაეძებენ

პეკინი, 14 დეკემბერი. შანდუნის ხელისუფლებამ გადატვირთა და გაჩხრიკა ცინდაოში მოსული საბჭოთა გემი „სიმფეროპოლი" და განაცხადა, რომ იარაღს დაეძებს. ერთდროულად გაჩხრიკეს „ხოვტორგფლოტის" მიერ დაქირავებული ჩინური გემი, მაგრამ უშედეგოდ. ხელისუფლება გემის გადატვირთვისათვის მოითხოვს 1.500 დოლარს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მოითხოვა, რომ შანდუნის ფლოტის სარდალმა განმარტოს გემების დაკავების მიზეზები. (ადს).

„ფაქტიურ მასალას" დაეძებენ.

შანხაი, 14 დეკემბერი. შანხაის მთელი პრესა გაცხოველებით იხილავს ჩან-კაი-შის უკანასკნელ განცხადებას ნანკინის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. ამასთანავე ერთად გაზეთები და დეპეშათა სააგენტო ავრცელებენ სხვადასხვა ჭორებს იმის შესახებ, რომ თითქოს „საბჭოთა საკონსულოს კანტონში მჭიდრო კავშირი ჰქონდა უკანასკნელ აჯანყებასთან და აჯანყებას მეთაურობდენ რუსებიო", რომ თითქოს საბჭოთა საკონსულო კანტონში იარაღს ურიგებდა აჯანყებულ მუშებს და ა. შ. ეს ცნობები ვრცელდება იმ მიზნით, რომ ხელი ჩასჭიდონ რამე „ფაქტიურ მასალას", რათა გაამართლონ გააფთრებული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კრედიტები ინგლისის ჯარების შესანახად ჩინეთში.

ლონდონი, 14 დეკემბერი. თემთა პალატამ 242 ხმით 103 ხმის წინააღმდეგ გადასდო მთავრობის მიერ გამოთხოვილი დამატებითი თანხები ინგლისური ჯარის შესანახად ჩინეთში.

მღელვარება კორეაში

ტოკიო, 14 დეკემბერი. მიღებული ცნობების მიხედვით, უკანასკნელ დღეებში სამხრეთ კორეიაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ მღელვარებას, რომელიც მიმართულია ჩინელების, კერძოთ, ჩინელი ვაჭრების წინააღმდეგ.

ეს მღელვარება არის პასუხი იმ რეპრესიებზე, რომელსაც მიმართავენ კორეელების წინააღმდეგ მანჯურიაში. მღელვარების დროს დანგრეულია მთელი რიგი სახლებისა, დაჭრილია რამოდენიმე ჩინელი. ჩინელები გარბიან მანჯურიაში.

ჟენევის კონფერენციის შემდეგ

პონსონბი საბჭოთა წინადადებების შესახებ

ლონდონი, 14 დეკემბერი. ლონდონში მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში პონსონბიმ განაცხადა, რომ „ლაპარაკი განიარაღების შესახებ ჟენევაში არის დროს უნაყოფოდ დაკარგვა. ჩვენთვის არსებითად სულ-ერთია, თუ რა მომკლავს—შვიდ დიუმიანი, თუ რვა დიუმიანი ზარბაზნის ყუმბარა. ინგლისის მუშამ გაიგო საბჭოთა წინადადებების აზრი და სთქვა მათ შესახებ: „მე ველოდი ამას მთელი 9 წლის განმავლობაში. და მართლაც, ბოლშევიკები მოვიდენ ჟენევაში და სთქვეს ის, რაც საჭირო იყო".

საბჭოების გადარჩევა

იწყება საბჭოების გადარჩევის კამპანია. ხელისუფლების ყველა ორგანოები, დაწყებული თემის და სასოფლო საბჭოებიდან და გათავებული რესპუბლიკის უზენაეს ორგანოებით, უნდა იქნენ გადარჩეულნი. საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარებას ჩვენი პარტია და ხელისუფლება აძლევს უაღრეს მნიშვნელობას, ვინაიდან მას ყოველთვის აქვს დიდი პოლიტიკური ხასიათი. საბჭოების გადარჩევის კამპანიას აქვს მიზნათ დასახული არა მარტო ხელისუფლების ორგანოების განახლება, არამედ მთელი მშრომელი მასების ამოძრავება ქალაქად და სოფლად, მათი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია საბჭოების მუშაობის ირგვლივ, საბჭოთა არჩევნები აძლიერებენ მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის პოლიტიკურ აქტიობას, მათი კავშირის განმტკიცების ნიადაგზე, და, სხვათა შორის, ნათელს ყოფენ ჩვენი სოფლის ფენებათ დაყოფის პროცესს.

წარსული წლის არჩევნებმა სავსებით გაბათილეს ტროცკისტული ოპოზიციის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქო „სოფლად საბჭოებში კულაკობის გავლენა იზრდებოდეს და ქალაქის საბჭოებში კი მუშების შემადგენლობა კლებულობდეს". თუ თვალს გადავავლებთ წარსული წლების არჩევნების შედეგებს, აშკარად დავინახავთ, რომ ქალაქის საბჭოებში საგრძნობლად და შესამჩნევად იმატა დაზგის მუშების შემადგენლობამ, ხოლო სოფლად საბჭოებში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა გლეხობის ღარიბმა ნაწილმა, მოჯამაგირეებთან და საშუალო გლეხობასთან ერთად. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ სოფლის საბჭოები თითქმის სავსებით უზრუნველყოფილია კულაკების გავლენისაგან. პარტიის კურსი, მიმართული საბჭოების გამოცოცხლებისაკენ, რომელიც იყო აღებული წარსული არჩევნების დროს, სავსებით გამართლა ცხოვრებამ. საკავშირო კომპარტიის ცაკას თეზისები, რომლებიც წარდგენილია მე-15 ყრილობაზედ დასამტკიცებლად, ხაზგასმით ლაპარაკობს, რომ **„საბჭოთა მუშაობის დარგში აუცილებლად უნდა აღინიშნოს პარტიის პოლიტიკის გამარჯვება და მიღწევები სოფლად საბჭოების გამოცოცხლების მხრივ",** და შემდეგ: **„ამასთან ერთად იზრდება ღარიბთა და მოჯამაგირეების ორგანიზაციული დარაზმვა საბჭოების გადარჩევის დროს"...** საბჭოების მომავალი არჩევნები უნდა ჩატარდეს კვლავ საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგით. ამასთან, საარჩევნო კამპანია უნდა იქნეს წარმართული სოფლის მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხობის უფრო მტკიცედ დარაზმვისაკენ საშუალო გლეხობასთან ერთად და მათი ფრონტის გამაგრებისაკენ სოფლის ბობოლა (კულაკების) გლეხების წინააღმდეგ.

მთელი საარჩევნო კამპანია შეიცავს ორ პერიოდს: **წინასწარი სამზადისი და თვით არჩევნები.**

საარჩევნო კამპანიის წინასწარი სამზადისი ცენტრში უკვე დაწყებულია, ხოლო მაზრებში დაიწყება იანვრის პირველ რიცხვებიდან.

საქ. ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილია ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ამ დღეებში შეუდგება მუშაობას და განიხილავს წარსული წლის საარჩევნო ინსტრუქციის ზოგიერთ მუხლებს, მათი განვითარების მიზნით. აქ უნდა აღინიშნოს, რომ თანახმად საკავშირო ცაკ-ის დადგენილებით არსებული საარჩევნო ინსტრუქცია რჩება ძალაში, მას დაემატა მხოლოდ ის, რაც შარშანდელ საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს იყო დამატებით მიღებული ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ. არჩევნების წინასწარი სამზადისის დროს მთავარი ყურადღება უნდა **მიექცეს ხმაწართმეულთა, ეგრედ წოდებულ შავი სიების სწორად შედგენას და საარჩევნო ინსტრუქციის სწორად გამოყენებას.** ამ მხრივ თუ წარსული წლის არჩევნებში ზოგიერთ ადგილას იყო დაშვებული შეცდომები, უნდა ყოველგვარი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ადგილი არ ექნეს მსგავს შეცდომებს.

საარჩევნო კამპანიაში ამორჩეულთა მეტი აქტივობის გამოჩენისათვის, თავისთავად ცხადია, დიდი მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე არჩევნების უშუალო ხელმძღვანელ ორგანიზაციებს, საარჩევნო კომისიების შერჩევას ისეთ პირებისაგან, რომლებსაც აქვთ ამ დარგში მეტი გამოცდილება, უნარიანობა და ავტორიტეტი მოსახლეობის თვალში.

გარდა ამისა, უწყებების თავის დროზე დამზადება და საარჩევნო უბნებად დაყოფაც წარმოადგენს ფრიად სერიოზულ საქმეს. მართალია, ამ მხრივ გვაქვს მიღწევები. საარჩევნო უბნების რიცხვმა იმატა. რამაც გამოიწვია მათი დაახლოვება ამომრჩევლებთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საკითხს ყველგან არ ექცეოდა საჭირო ყურადღება. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ცივ ზამთარში გლეხს რამოდენიმე ვერსის მანძილზე უხდებოდა სიარული, როცა, შენობების უქონლობის გამო, რამოდენიმე ახლო მდებარე სოფელს ერთ საარჩევნო უბანში აერთიანებდენ, რითაც ამომრჩეველთა ზოგიერთ ნაწილს საშუალება ერთმეოდა მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. ამის გამო საჭიროა უფრო მეტი დაახლოვება საარჩევნო უბნისა ამომრჩეველთან და მაშასადამე მათი ქსელის გამრავლება.

ორგანიზაციულ-ტეხნიკურ სამზადისის დამთავრების შემდეგ, ამომრჩეველთა წინასწარ კრებებზე უშუალოდ უნდა იქნეს დაწყებული საბჭოების **საანგარიშო კამპანია,** რომელსაც უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. საანგარიშო კრებები მოისმენენ საბჭოების წლიურ მუშაობას და გაუკეთებენ მას შესაფერ დასკვნას, განიხილავენ და დამტკიცებენ „ნაკაზებს". ამ კრებებზე ამომრჩევლებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საბჭოს მუშაობის შეფასებაში; არავითარ შემთხვევაში საღი, საქმიანი კრიტიკა არ უნდა იყოს შეზღუდული.

უწინ ჩვეულებრივ საბჭოს საანგარიშო მოხსენებას სოფლად აკეთებდა თავმჯდომარე, ან და აღმასკომის რომელიმე წევრი, საბჭოს დანარჩენი წევრები იშვიათ შემთხვევაში ღებულობდენ ამ საქმეში მონაწილეობას. მომავალ საანგარიშო კამპანიის ჩატარების დროს არც ერთი დეპუტატი არ უნდა იყოს გარიყული, თვითეულმა მათგანმა შეძლებისდაგვარად უნდა მიიღოს უშუალო მონაწილეობა აღნიშნულ მუშაობაში და ჩააბაროს ანგარიში თავის ამომრჩევლებს.

რა მონაწილეობა უნდა მიიღონ საარჩევნო კამპანიის წარმოების დროს თემის სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა?

თავის თავად ცხადია, საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში ძირითად ხელმძღვანელ როლს თამაშობს პარტია და მისი ორგანიზაციები ადგილობრივ. პარტორგანოების და კომკავშირის ხელმძღვანელობით უნდა იქნეს ჩატარებული დიდი მოსამზადებელი მუშაობა. **ღარიბთა და მოჯამაგირეთა კრებების ჩატარებას საშუალო გლეხკაცობის აქტივთან ერთად,** საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან წარსული წლის არჩევნებში ამ კრებებმა მოჯამაგირეების და ღარიბთა პოლიტიკური აქტივობის განვითარებაზე მოახდინეს დიდი დადებითი გავლენა. თავისთავად იგულისხმება, რომ სოფლის დანარჩენმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა, გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებებმა, კოოპერაციამ, გლეხკომებმა და სხვა ყველამ უნდა თავისი აქტიური ძალები ჩააბან საარჩევნო კამპანიაში და უზრუნველყონ მისი წარმატებითი მსვლელობა.

სოფლის მშრომელმა ინტელიგენციამ და ყველა იმ კულტურულმა ძალებმა, რომელთაც მიუძღვით ერთგვარი ღვაწლი წარსულ წლების არჩევნებში, და ჩაბმული არიან საბჭოების ყოველდღიურ მუშაობაში, უეჭველად უნდა გაამართლონ პარტიისა და მშრომელ გლეხობის იმედები მომავალი საარჩევნო კამპანიაში უშუალო მონაწილეობის მიღებით.

ჩვენ აქ არ ვეხებით ყველა იმ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან. აღვნიშნე საარჩევნო კამპანიის მხოლოდ ზოგიერთი მთავარი მომენტი. იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მუშაკები უფრო დაწვრილებით და საფუძვლიანად გაეცნონ საარჩევნო კამპანიის შინაარსს, ცაკის საორგანიზაციო განყოფილება ახლო მომავალში იწვევს ავტონომიურ რესპუბლიკების და სამაზრო აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებათა თათბირს. ამ თათბირზე ყოველ მხრივ იქნება განხილული საარჩევნო კამპანიის საკითხები, შემუშავდება არჩევნების კალენდარული გეგმა და ადგილობრივ წარმომადგენლებს და ურიგდებათ როგორც ინსტრუქციები, აგრეთვე საარჩევნო სანიმუშო ფორმები.

ცხადია, რომ მაზრებმა თავის მხრივ უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები ადგილობრივ მუშაკების მოსამზადებლად საარჩევნო კამპანიისათვის. დრო, რომელიც განსაზღვრულია საარჩევნო კამპანიისათვის (იანვარ-აპრილი), საკმარისია იმისათვის, რომ დაფიქრებულად და კარგად იყოს ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა.

თუ საარჩევნო კამპანიის წინასწარი მუშაობის პროცესში თავიდან ავიცილებთ წინანდელ, ხშირად სრულიად შემთხვევითი ხასიათის შეცდომებს და გავითვალისწინებთ პარტიის დღევანდელ ამოცანებს სოფლად, ცხადია, რომ საბჭოების არჩევნებში და მათ მომავალ მუშაობაში იქნება შეტანილი უფრო მეტი სიცხოველე; უფრო შორს გაირიყება მშრომელთა მტრული ბანაკი და ჩვენი ახალი სოფლის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებას მეტის ენერგიით წარმართავს განახლებული საბჭო.

დ. აფციაური.

მენშევიკების მინისტრობა

მოუნატრათ

პრაღა, 14 დეკემბერი. შესდგა ჩეხო-სლოვაკიის ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიების (ჩეხური, გერმანული, პოლონური, უკრაინული და უნგრეთის) თათბირი. თათბირზე ირჩეოდა მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესაძლებლობის საკითხი.

იუწყებიან, რომ სოციალ-დემოკრატები თანახმა არიან მიიღონ მონაწილეობა მთავრობაში.

პირველი ვექილი ქალი

ოსმალეთში

ანგორა. 14 დეკემბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება:

„სურეა-ხანუმი, რომელსაც აქვს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომი, გამოსაცდელი სტაჟის დამთავრების შემდეგ, ჩარიცხული იქნა ანგორის ვექილთა წრის წევრათ.

სურეა-ხანუმი პირველი ვექილი—ქალია ოსმალეთში (ადს).

ამერიკის კომკავშირის

ყრილობა

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. ამერიკის კომკავშირის ყრილობამ, რომელიც ამ დღეებში შესდგა, გამოარკვია, რომ ამერიკელ კომკავშირის რიცხვი საგრძნობლად გაზრდილა.

საფრანგეთის მელითონეთა უნიტარული ფედერაციის ყრილობა

პარიზი, 14 დეკემბერი. საფრანგეთის მელითონეთა უნიტარული ფედერაციის ყრილობაზე გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხი იმ პროტესტზე, რომელიც განაცხადა ყრილობამ საბჭოთა მელითონეების დელეგაციისათვის საფრანგეთში შესასვლელი ვიზის მიუცემლობის გამო. პასუხში ნათქვამია, რომ „ხელისუფლების კომპეტენტურმა წარმომადგენლებმა შეუძლებლად სცნეს გორბაჩოვისათვის საფრანგეთში შესვლის ნებართვის მიცემა"-ო.

სხდომის საქმიან ნაწილში შრომის უნიტარული კონფედერაციის მდივანმა ზერარმა გააკეთა მოხსენება სამუშაო ხელფასის შემცირებასა და სამუშაო დღის გადიდებასთან ბრძოლის შესახებ.

შემდეგი მოხსენება ეხებოდა კაპიტალისტური რაციონალიზაციის საკითხს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაციონალიზაცია გამოწვეულია კრიზისით, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება ლითონის მრეწველობის მნიშვნელოვან დარგებში და რომ რაციონალიზაცია ტარდება ისეთი სახით, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უმზადებს მუშათა ჯანმრთელობას.

სხდომის დასასრულს ყრილობამ აირჩია ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი და საკონტროლო კომისია. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სოლიდარობას უცხადებს ჩინეთის რევოლიუციას. (ადს).

ნორვეგიის პროფკავშირთა ყრილობის დადგენილება

ოსლო, 14 დეკემბერი. ნორვეგიის პროფკავშირთა ყრილობამ 150 ხმით 84 ხმის წინააღმდეგ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ყველა პროფესიონალური ორგანიზაციები, რომლებიც შედიან ამსტერდამის ინტერნაციონალში ან პროფინტერნში, და აგრეთვე ისინიც, რომლებიც ამ ინტერნაციონალების გარეთ არიან, უნდა გაერთიანდენ ერთ მთლიან მსოფლიო ორგანიზაციაში. ყრილობა ავალებს ნორვეგიის პროფკავშირების სამდივნოს დაამყაროს ორგანიზაციული კავშირი არა მარტო შვეციის და ფინეთის პროფესიონალურ გაერთიანებებთან, არამედ საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების პროფესიონალურ ორგანიზაციებთან—ურთიერთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ ხელშეკრულების დასადებათ.

სამდივნოს ევალება უახლოეს დროში მოიწვიოს ფინეთის და საბჭოთა პროფესიონალური ორგანიზაციები კონფერენციაზე ხელშეკრულებების დასადებათ, და საერთაშორისო პროფესიონალურ გაერთიანებათა ფორმების გამოსამუშავებლათ.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ნორვეგიის პროფესიონალურ გაერთიანებათა წევრები არ ეთანხმებიან სამდივნოს უმრავლესობას ამსტერდამის ინტერნაციონალის პოლიტიკის და საერთაშორისო ხასიათის მოვლენების შეფასების საკითხში. (ადს).

ნორვეგია—ფინეთ—საბჭ. კავშირის მთლიანობის კომიტეტი

მოსკოვი, 15 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო—მუშათა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობა, რომ მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმება ნორვეგიის, ფინეთის და რუსეთის მთლიანობის და მეგობრობის კომიტეტის შექმნის შესახებ, დამტკიცებულია სრულიად ნორვეგიის სასოფლო-სამეურნეო—მუშათა კავშირის პრეზიდიუმის მიერ (ადს).

ძნელი დასაჯერებელია

ვაშინგტონი, 14 დეკემბერი. ერთ-ერთმა დეპუტატმა ნიუ-იორკიდან ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს მთავრობას, რომ მან პროტესტი განუცხადოს რუმინეთს იმის გამო, რომ რუმინეთში ავიწროვებენ ნაციონალურ უმცირესობათ, და თუ ვინიცობაა პროტესტი უშედეგოთ დამთავრდა, გაწყვეტილ იქნას რუმინეთთან დიპლომატიური ურთიერთობა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ კონგრესმა რეზოლიუცია განიხილოს.

შეტაკება რეშტში

თეირანი, 14 დეკემბერი. რეშტში სამხედრო გაწვევასთან დაკავშირებით, აღელვებულმა ბრბომ დახურა ბაზარი და თავს დაესხა პოლიციასა და ოფიცრებს. ჯარებთან შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე კაცი.

პეხლიაში დააპატიმრეს რამდენიმე აგიტატორი, რომლებიც აგიტაციას ეწეოდენ ჯარში გაწვევის წინააღმდეგ. (ადს).

ღამის ცნობები

საბჭოთა ინჟინერების დაკავება

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი, ნიუ-იორკის საიმიგრაციო ხელისუფლებამ დააკავა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასული საბჭოთა ინჟინერების ჯგუფი 18 კაცის შემადგენლობით. ინჟინერები დაკავებული არიან ფორმალური მიზეზების გამო. ისინი, ალბათ, განთავისუფლებულნი იქნებიან თავდებობის ქვეშ და ექვსი თვის განმავლობაში დასტოვებენ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. (ადს).

ჩეხოსლოვაკიის გლეხთა დელეგაციის დაპატიმრება.

პრაღა, 14 დეკემბერი. ჩეხოსლოვაკიის გლეხთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა, ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებამ დააპატიმრა საზღვარზე მდებარე სადგურ პეტროვიცაზე და გადაგზავნა ოსტრავის საპოლიციო სამმართველოში, საიდანაც დელეგაცია განთავისუფლებულ იქნა ოსტრავის კომუნისტ დეპუტატების მოთხოვნის შემდეგ. დაპატიმრების მიზეზები არ აცნობეს დელეგატებს. (ადს).

„მკვლელობის პროვოკაცია"

პარიზი, 14 დეკემბერი. საფრანგეთში აკრძალულია იტალიური გაზეთის „კორიერე დელი იტალიანი"-ს (დემოკრატიულად განწყობილ იტალიელ ემიგრანტების ორგანო საფრანგეთში) გავრცელება. ბრძანება აკრძალვას ასაბუთებს იმით, რომ გაზეთში ლოზუნგის სახით მოთავსებული იყო შემდეგი: „მშვენიერია, როცა კაცი თავს წირავს სამშობლოს". ეს განცხადება, ბრძანების სიტყვით, იწვევს მკვლელობის პროვოკაციას. (ადს).

კოვნოს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის განცხადება

კოვნო, 14 დეკემბერი. ლიტვის გაზეთებში გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პრესის განყოფილების განცხადება. ეს განცხადება ამართლებს გაზეთ „რიტას"-ში დაბეჭდილ წერილის (10 დეკემბრის თარიღით) ცნობას ჟენევიდან. წერილში მოყვანილი იყო ხმები მის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირს განზრახვა აქვს შეუთანხმდეს პოლონეთს ბალტიის ქვეყნებში გავლენის სფეროების დანაწილების შესახებ. სრულუფლებიანი წარმომადგენლობის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს და ამის მაგვარი ხმები არა მარტო მოკლებულია სიმართლეს, არამედ აშკარა პროვოკაციულ ხასიათს ატარებს. (ადს).

დახმარება უმუშევრებს

მოსკოვი, 15 დეკემბერი. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭომ თვალსაჩინოდ გააფართოვა იმ პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ დახმარება მიიღონ უმუშევრობის გამო. უმუშევართა რამოდენიმე კატეგორიას შეუძლიათ მიიღონ დახმარება შრომის სტაჟის მიუხედავათ. დახმარების მიღების ვადა გადიდებულია 1 ნახევ. წლით. დახმარება ეძლევა უმუშევარ მეუღლეს, თუნდაც მეორე მეუღლეს ხელფასიც ჰქონდეს თუ კი ეს ხელფასი 180 მანეთს არ აღემატება. (ადს).

თვითმფრინავების აგება

მოსკოვი, 15 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ავიაქიმის ხელშემწყობმა საზოგადოებამ ავიაქიმის საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს ნება დართო, რომ ააგონ მსუბუქი ან მცირე ძალოვანი თვითმფრინავები, მხოლოდ ამ საკითხში უნდა შეუთანხმდენ საბჭოთა კავშირის ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოებას. ის ორგანიზაციები, რომლებიც ააგებენ თვითმფრინავებს და ავიეტკებს ცენტრის ნებადაურთველად, საავიაციო მოტორებს არ მიიღებენ. (ადს)

ბულგარული ეროვნული რაიონი

ხარკოვი, 15 დეკემბერი. საბჭოთა უკრაინის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ბულგარული მოსახლეობის შუამდგომლობა, რომ პირველ მაისს ოლქს გამოეყოს ოლშანის ეროვნული ბულგარული რაიონი, რომლის შემადგენლობაში შედის 6 ბულგარული და ერთი უკრაინული სასოფლო საბჭო. (ადს).

რაკოვსკის რაიონის სახელის შეცვლა

კიევი, 15 დეკემბერი. ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა მუშათა მრავალი შუამდგომლობა, რომ რაკოვსკის რაიონს დაერქვას ოქტომბრის რაიონი. (ადს).

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტის პლენუმი

მეორე სხდომა.

პლენუმის მეორე სხდომა იწყება ამხ. ბუდილევის მოხსენებით პარტგანათლების მდგომარეობის შესახებ თბილისის ორგანიზაციაში.

პარტგანათლების ქსელის ეხლანდელი მდგომარეობა—აღნიშნავს მომხსენებელი—ხასიათდება ე. წ. „საშუალო რგოლის" ზრდით, რაც გამოიხატება იმაში, რომ გასულ წლებთან შედარებით მკვეთრად მაღალი ტიპის სამოსწავლო ერთეულების (ლენწრეები, საღ. საბჭ. პარტსკოლები) რიცხვი და [illegible] მიმდინარე პოლიტიკის და სხვ. წრეები.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თბილისის ორგანიზაციაში მოქმედებს 206 სამოსწავლო ერთეულიდან 106 ეკუთვნის საშუალო რგოლს.

ჩვენი სკოლების შემადგენლობა ენის მიხედვით სავსებით ეთანხმება ორგანიზაციის ეროვნულ შემადგენლობას. ეს, რა თქმა უნდა, დადებითი მოვლენაა, მაგრამ უნდა ითქვას რომ იმ პროპაგანდისტთა სიმცირე, რომელთაც შეუძლიათ ნაციონალურ ენებზე სწავლება, ძლიერ უშლის ხელს სკოლების მუშაობას.

კომკავშირის ორგანიზაციაში ჩვენ გვაქვს 45 1-ლი საფეხურის და 32 მე-2 საფეხურის პოლიტსკოლა.

სკოლებში ჩაბმულობის პროცენტი პარტიული ხაზით აღწევს 47-დე, რაც შეეხება კომკავშირს, იქ ჩაბმულობის პროცენტი შედარებით ძლიერ დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ კომკავშირი, როგორც აღმზრდელობითი ორგანიზაცია, პოლიტ-განათლებას უნდა აქცევდეს უდიდეს ყურადღებას.

სკოლებში დასწრება არ არის დამაკმაყოფილებელი, თუმცა უკანასკნელ ხანებში, მიღებული ზომების მას გაუმჯობესება ემჩნევა. [illegible] დიდათ დაინტერესებულია [illegible] და რადგანაც მისი დაკმაყოფილება მარტო პარტგანათლების ქსელით შეუძლებელია, ჩვენ წინ ისმება თვითგანვითარებითი მუშაობის გაძლიერების ამოცანა. საჭიროა აგრეთვე მივიღოთ ზომები მუშა-პროპაგანდისტების მოსამზადებლად.

ამხ. ბუდილევის მოხსენების გარშემო ილაპარაკეს ამხ. ამხ. მონტინმა, პრეობრაჟენსკიმ, ჟორჟოლიძემ და სხვ., რის შემდეგაც პლენუმმა მოისმინა ბუდილევის საბოლოო სიტყვა და მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგი პლენუმის დღის წესრიგში შეტანილ იქნა კიდევ ერთი საკითხი—კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახალი დადების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ყურულაშვილმა რომელმაც აღნიშნა, რომ პროფკავშირებმა ჩაატარეს დიდი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ხელშეკრულებათა გამოცვლისათვის.

შეეხო რა ხელფასის რეფორმას, რომლის გატარებაც იწყება ახალ ხელშეკრულებათა დადების დღიდან, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სატარიფო განაკვეთის ხვედრითი წონის ამაღლება საერთო ხელფასში მიმდინარე წელს არ გამოიწვევს ბინის ქირისა და სწავლის ფულის გადიდებას. რადგან სათანადო დადგენილებით დაკანონდება ამ გადასახადთა დღეს არსებული რაოდენობა დატოვება.

ამხ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ფარატიანმა, მარიამიძემ, ხაცკევიჩმა, მონტინმა და ახრიევმა.

ორატორები უმთავრესად ეხებოდენ ბინის ქირის საკითხს ხელფასის რეფორმასთან დაკავშირებით.

ამხ. ასრიევის სიტყვის შემდეგ კამათი და დანარჩენი საკითხების განხილვა გადაიდო მესამე სხდომისათვის, რომელიც შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის დარბაზში.

ქ. სურმუშელი.

პლენუმის მესამე სხდომა

დღეს, 16 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის დარბაზში შესდგება ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-2 პლენუმის მე-3 სხდომა. დასწრება თბ. კომიტეტის ყველა წევრებისა და კანდიდატების და აგრეთვე მსხვილ საწარმოო უჯრედთა მდივნების სავალდებულოა.

თ. კ. პრეზიდიუმი.

მაზრკომის პლენუმი

(სენაკის მაზრა)

სენაკის სამაზრო კომიტეტის უკანასკნელ პლენუმის დღის წესრიგში იდგა—მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ და მაზრკომის მდივნის არჩევის საკითხი.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ს. მამულიას მოხსენება. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა, რომლებიც სოფლად მუშაობის საკითხებს შორის საჭიროთ სცნობდენ: მასიურ კულტურულ მუშაობის გაძლიერებას და ბრძოლის გაძლიერებას ძველ რელიგიურ ჩვეულებათა წინააღმდეგ; სოფლად კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებას და ამ მიზნით მისი ხელმძღვანელ ორგანოების შემადგენლობის შერჩევას, ბრძოლის გაძლიერებას ანტი-საბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ და კულაკების წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდის გაძლიერებას, ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესებას, პარტ-ამხანაგების პოლიტიკურ დონის ამაღლების მიზნით პოლიტ-ცოდნის სკოლების ქსელის გაშლას და საერთოდ სოფლად მუშაობის გაუმჯობესების მიზნით თემკომების მდივნების გადასამზადებელ კურსების მოწყობის აუცილებლობას.

საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ გეგმას სოფლად მუშაობის დარგში—უახლოეს პერიოდისათვის.

ამის შემდეგ პლენუმმა ერთხმად აირჩია სამაზრო მდივნად ამხ. მაკარი ბედია, რადგან ამხ. ს. მამულია გადაყვანილია თბილისში ცენტრალურ პარტიულ სამუშაოზე.

პლენუმმა მაზრის ორგანიზაციის სახელით ამხ. ს. მამულიას მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

პლენუმის დასრულებისთანავე შესდგა პლენუმის წევრ თემკომის მდივნების თათბირი, სადაც მათ საორგ. განყ. მიერ მიეცათ დირექტივები: საკრედიტო და სამომხმარებლო კოოპერაციის და გლეხკომების გადარჩევაზე პარტ-ხელმძღვანელობის შესახებ.

პლენუმი ატარებდა ნამდვილი საქმიანობის ხასიათს. დადგენილებები სრული ერთსულოვნებით იყო მიღებული, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი მაზრის ორგანიზაციის ურყევ ლენინურ მთლიანობას.

მ. ბარამია.

პარტმუშაკთა მოწვევა თათბირისათვის

(თბილისის მაზრა)

თბილისის კომიტეტმა გადასწყვიტა ამ წლის 28 დეკემბერს მაზრის პარტიული მუშაკთა ფართე თათბირის მოწვევა. ამ თათბირზე მოწვეული იქნებიან: თემკომების მდივნები, სოფლის ყველა უჯრედების და საკანდიდატო ჯგუფების მდივნები და აგრეთვე თემაღმასკომების თავმჯდომარე—კომუნისტები.

დღის წესრიგში დგანან მნიშვნელოვანი საკითხები:

1) პარტიის მორიგი ამოცანები სოფლად მე-15 პარტყრილობის დადგენილებებთან დაკავშირებით.

2) საბჭოების მომავალი არჩევნები და

3) სოფლის უჯრედების მუშაობა.

სოფლის ქვედა პარტიული აქტივი გაეცნობა პარტიის ყრილობის დადგენილებებს და მომავალ თავის მუშაობას წარმართავს იმ ხაზით, რომელიც მოცემულია ყრილობის დირექტივებში.

თათბირი მოისმენს სადირექტივო მოხსენებას საბჭოების მომავალი გადარჩევების შესახებ. საბჭოების გადარჩევების კამპანია, რომელიც არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი, მოითხოვს დიდ ყურადღებას და სათანადო მომზადებას. სოფლის კომუჯრედის ან საკანდიდატო ჯგუფის მდივანი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს საბჭოების არჩევნებს ადგილებზე, კარგად უნდა აგეცნოს იმ ხაზს, რომელიც დასახული აქვს პარტიას ამ კამპანიაში.

წარსული გამოცდილების მიხედვით და აზრთა გაცვლა-გამოცვლით უნდა გამონახულ იქნეს ის გზები და საშუალებები, რომელნიც უზრუნველყოფენ ღატაკ და საშუალო გლეხობის საბჭოებში ჩაბმას, საშუალო გლეხებთან მჭიდრო კავშირს და კულაკების სრულ იზოლიაციას.

შემდეგი საკითხია—სოფლის კომუჯრედის მუშაობა. უნდა ითქვას, რომ თბილისის მაზრის ორგანიზაციაში კომუჯრედის მუშაობა (რა თქმა უნდა გამონაკლისის გარდა), ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

თბილისის კომიტეტმა წინადადება მისცა თემკომებს წარმოადგინონ მოხსენებები უჯრედის მუშაობის მდგომარეობის შესახებ. ეს მოხსენებები გამოყენებულ იქნებიან მასალათ, რომელიც გააშუქებს ნამდვილ მდგომარეობას. ამ მასალებისვე მიხედვით გამომუშავებულ იქნება პრაქტიკული ღონისძიებანი უჯრედების მუშაობის გასაუმჯობესებლად. დიდი ყურადღება მიექცევა ღარიბ-გლეხთა შორის მუშაობის საკითხს. ამის შესახებ აგრეთვე მოსმენილია სათანადო ანგარიშები.

საჭიროა, ადგილობრივი მომუშავენი, განსაკუთრებით თემკომების მდივნები სათანადოთ მოემზადონ ამ თათბირისათვის—დაამუშაონ მასალები, ჩამოიტანონ ნამდვილი ამბავი მათი მუშაობის, მათი მიღწევების, მათი ნაკლოვანებათა შესახებ.

ი. რუხაძე.

პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი

(სენაკის მაზრა)

სენაკის მაზრაში არსებობს სამი მოძრავი პოლიტ-ცოდნის სკოლა. 3 დეკემბერს სამკომის აგიტ პროპ. განყოფილების მიერ მოწვეულ იქნა პოლიტ-ცოდნის სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი იმ თემკომების მდივნების მონაწილეობით, სადაც არსებობენ პოლიტსკოლები.

თათბირმა თავის მუშაობას მოანდომა 3 სხდომა და განიხილა: მოხსენებები ადგილებიდან, მეთოდიურ-პროგრამული საკითხები და სხვა. თათბირზე გამოირკვა სკოლების მიღწევები წარსულ წელთან შედარებით: პარტ-ამხანაგების მეტი დაინტერესება პოლიტ-ცოდნის შეძენით (დიდად დაინტერესება საბუნებისმეტყველო-აგრონომიულ საკითხებით) და მათი ჩაბმა სკოლების მუშაობაში, თემკომების მეტი ყურადღება და დახმარება პოლიტ-სკოლების ხელმძღვანელებისადმი, მსმენელების მხრივ აქტივობა, უპარტიო თანამგრძნობთა ლტოლვა პოლიტ-სკოლებისაკენ და სხვა. მაგრამ გამოირკვა ზოგიერთი დამაბრკოლებელი დეფექტებიც: ძირითადი სახელმძღვანელო ლიტერატურის და შესაფერ ბროშიურების უქონლობა მსმენელებისათვის; ზოგიერთ პარტ-ამხანაგების მხრივ გულგრილობა და მეცადინეობაზე დაუსწრებლობა და სხვა.

თათბირმა დაადგინა, სთხოვოს ცაკას აგიტ პროპს დაჩქარებით გამოაგზავნოს სახელმძღვანელო ლიტერატურა და სათანადო ბროშიურები პოლიტ-სკოლების მოძრავ ბიბლიოთეკისათვის, გაიღოს თანხები ბუნებისმეტყველების და აგრონომიულ საუბრების ჩამტარებელ მასწავლებელთათვის და სხვა.

თათბირი უეჭველია დიდ ნაყოფს მოუტანს სკოლების ხელმძღვანელებს და თემკომებს პოლიტ-განათლების დარგში.

ასეთივე თათბირი აგიტ-პროპის მიერ მოწვეულ იქნება მეცადინეობის დასრულების შემდეგ ამ დარგში მუშაობის ჯამის გასაკეთებლად.

მ. ბარამია.

როგორ მიმდინარეობს ოქტომბრის გაწვევა

15 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე საქართველოს ორგანიზაციის პარტიულ კომიტეტებში შემოვიდა 2.008 დაზგის მუშის განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. აქედან მიღებულია 1.159 კაცი. განცხადებების გარჩევა გრძელდება. მიღებულთა შორის 85,2 პროც. საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ.

„მე ვცდებოდი—პარტია მართალი იყო"

აზერბეიჯანის კომ. პარტ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის 1927 წ. 4 ოქტომბრის დადგენილებით (დადგენილება გამოქვეყნებულია „ბაკინსკი რაბოჩიში", ა. წ. 5 ოქტომბრის ნომერში) მე 10 ბაქოელ ოპოზიციონერებთან ერთად გამორიცხული ვიქენი აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიის (ბ.) რიგებიდან ფრაქციულ მუშაობისათვის.

ამის შემდეგ, ჩვენ საჩივარი შევიტანეთ საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიაში ჩვენი „უსამართლოდ გამორიცხვის" შესახებ და მე გამომიძახეს თბილისში ა.-კ. საკონტრ. კომისიაში ამხ. სოლცის, ვ. სტუროუას და სხვ. შემადგენლობით. აქ იმის გამო, რომ სერიოზულად არ მქონდა შეფასებული მდგომარეობა და, რომ საფუძვლიანად არ მქონდა დამუშავებული ყველა მასალა ყრილობისათვის, ვამართლებდი ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას პარტიის შიგნით, თუმცა უკვე სწარმოებდა ჩემი აშკარა გარდატეხა, მე ვკარგავდი რწმენას ოპოზიციის ხაზის სისწორეში და სამართლიანობაში.

ამჟამად კი, მას შემდეგ, რაც დავამუშავე ყრილობის მასალები, როცა დაწვრილებით გავეცანი იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქნა პარტიაში და ოპოზიციის უკანასკნელ საქციელს (დემონსტრაცია, ახალი მანევრების ცდა მე-15 ყრილობის წინ და სხვა) მე შემდეგ დასკვნამდე მივედი:

ეგრედ წოდებული „ახალი ოპოზიცია" (რომელსაც მე მივემხრე მის გაჩენისთანავე) ჯერ კიდევ ლენინგრადის მე-22 პარტკონფერენციის შემდეგ (26 წ.) პარტიასთან პირველი უთანხმოების დროს აცხადებდა, რომ „მუშათა კლასისა და მის ავანგარდის—კომუნისტურ პარტიისათვის ლენინიზმის კეთილდღეობა წარმოადგენს უმაღლეს კანონს"-ო. მაგრამ ოპოზიცია დაშორდა ამ დებულებას. ის მივიდა ისეთ მოქმედებამდე („პერმანენტული" მანევრები), რომლებიც სრულებით არ ეთანხმებიან უმაღლეს კანონს—ლენინიზმის კეთილდღეობას.

ჩემი ღრმა რწმენით ეს მოხდა შემდეგი მიზეზებით: ამხ. ლენინი გვიხსნიდა, რომ როგორც პარტიის ცხოვრებაში, ისე ცალკე პიროვნებათა პოლიტიკურ მოღვაწეობაში მოსალოდნელია შეცდომები, მაგრამ რევოლიუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ შევძლოთ ამ შეცდომების სასწრაფოდ და ადრეულად გამოსწორება (მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება მნიშვნელოვან შეცდომებს). სწორედ თავის შეცდომების გასწორების ეს უნარი აკლია წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებს და წვრილ-ბურჟუაზიულ რევოლიუციონერებს და ეს შეადგენს მათ დამახასიათებელ თვისებას. ასეთივე თვისება ახასიათებს ტროცკიზმს—მენშევიზმის ამ ერთ-ერთ სახეს მისი მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში. „ახალმა ოპოზიციამ" ტროცკისთან „ბლოკის" წყალობით სხვა თვისებათა შორის მიიღო მისგან მემკვიდრეობით ეს თვისებაც.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ოპოზიციას არ სურს, მიუხედავათ იმისა, რომ მისი წინააღმდეგია პარტიის უმრავლესობა, დაემორჩილოს ამ უმრავლესობას და გამოასწოროს თავისი შეცდომები.

2) პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში სრულებით დაუშვებელია 2 ან მეტი პარტიების არსებობა. ოპოზიციამ, რომელიც მეტად შორს წავიდა, დაივიწყა ის ლენინური დებულებაც, რომ: „ყველამ, ვინც გამოდის კრიტიკით, უნდა გაითვალისწინოს პარტიის მდგომარეობა მტრების გარემოცვის პირობებში და თავისი უშუალო მონაწილეობით საბჭოთა და პარტიულ მუშაობაში, უნდა ცდილობდეს პარტიის შეცდომების გამოსწორებას" (მე-10 ყრილობის რეზოლიუცია მთლიანობის შესახებ, შედგენილი ლენინის მიერ).

იმათ, ვინც გადამწყვეტ მომენტში ივიწყებს ლენინურ მოძღვრებას პარტიის შესახებ, ვინც გაყვირის „მთლიანობაზე" და სინამდვილეში იცავს მთლიანობის რღვევის იდეას, ვინც მხარს უჭერს ტროცკის,—პარტია ლენინურათ უმკლავდება და მოითხოვს მათგან სრულ კაპიტულიაციას.

ზოგიერთი დღევანდელი „ოპოზიციონერები" მართალი იყვნენ 1924 წ.; როდესაც გადააკეთეს მარქსის ცნობილი დებულება და აცხადებდენ, რომ „ტროცკიზმის საშინელი დასასრული სჯობია, დაუსრულებელ ტროცკისტულ საშინელებას"-ო. სწორედ ამ გზას ადგია დღეს პარტია ოპოზიციონერების მიმართ.

3) გამოვდივარ რა ყველა ზემოთქმულიდან, წრფელის რწმენით ვაცხადებ, რომ: მე არ ვიყავი მართალი, ვცდებოდი—მართალი იყო პარტია. მე ვცნობ ამჟამად, რომ ჩავდიოდი ბოროტმოქმედებას. როდესაც ვცდილობდი პარტიის რკინისებური მთლიანობის ჩაშლას.

მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ საბოლოოდ ვსწყვეტ კავშირს ოპოზიციასთან და ვხსნი ჩემს ხელმოწერას მის პლატფორმიდან.

ვსთხოვ ცენტრალურ საკ. კომისიის პრეზიდიუმს გადასინჯოს საკითხი ჩემი გამორიცხვის შესახებ და აღმადგინოს პარტიის რიგებში.

მე მზადა ვარ, პირველი დაძახებისთანავე, გამოვიდე წერილობით ან სიტყვიერათ ბაქოს კომუნისტურ ორგანიზაციის წინაშე, განსაკუთრებით იმ ჩემ გუშინდელ ამხანაგების წინაშე, რომლებიც დღესაც ვერ განთავისუფლებულან ოპოზიციის გავლენისაგან, და ვამხილო ოპოზიციის დებულებათა და მოქმედებათა ანტილენინური შინაარსი.

ლენინიზმის კეთილდღეობა უმაღლესი კანონია მუდამ.

ასეთია ჩემი გულწრფელი რწმენა, რომელიც შედეგია ჩემი (2 წლის) ოპოზიციონერობის შემოწმებისა. ეს რწმენა განმტკიცდა ჩემში დიდი სულიერი ბრძოლის და გახლეჩის შემდეგ.

გთხოვთ ეს ჩემი განცხადება გამოაქვეყნოთ გაზეთში.

ალი მამედლინსკი.

10 დეკემბერი, 1927 წ.

ქალაქი თბილისი.

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

თათბირი

19 დეკემბერს, საქართველოს ცაკთან შესდგება ადგილობრივ აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებათა თათბირი, რომელიც განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს.

თბილისის მაზრის საარჩევნო კომისია

თბილისის აღმასკომთან დაარსდა თბილისის სამაზრო-საქალაქო საარჩევნო კომისია. რომელშიაც შედიან: ამხ. ლ. ხუხიშვილი (თავმჯდომარე), ივანოვ-კავკასკი, (თავმჯდ. მოადგილე), ვ. ბოლქვაძე, მესხი, თხილავა, აკოპოვი; სვანიძე, ასრიბეკოვი, მზარეულაშვილი, ფანცულაია, ტერვართანოვი, მორჩილაძე, სულაძე; ბელიაევსკაია, ტაკტაევი, პატარაია, ზოროძე, სააკოვი; მგელაძე; კოპაძე, მაჩაიძე და ორი უპარტიო გლეხი თბილისის მაზრიდან.

თბ. საბჭოს ანგარიში

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი შეუდგა მზადებას საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად. არჩევნების კამპანიისათვის აღმასკომი ადგენს თბ. საბჭოს საქმიანობის ანგარიშს.

მანუფაქტურის შემოზიდვა და განაწილება

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში 18 დეკემბერს შესდგა სახ. ვაჭრობის და კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი მანუფაქტურის შემოზიდვის და განაწილების შესახებ

რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენელმა გ. ლორთქიფანიძემ აცნობა თათბირს. რომ გასული წლის განმავლობაში საქართველოში შემოზიდულია 530 ვაგონი ბამბის ქსოვილები და 4.580.000 მანეთის შალეული (გეგმით განზრახულ რაოდენობის 77,5 პროც.). 1927-28 წლის გეგმით საქართველოში შემოზიდული იქნება 700 ვაგონი ბამბის ქსოვილები, 2.200.000 მეტრი შალის და 5.500.000 მეტრი ხელის ქსოვილები. ფართლის ეს რაოდენობა რწმუნებულის მიერ განაწილებული იქნება შემდეგ ნაირათ: აფხაზეთს—9 პრ.; აჭარისტანს—8 პროც.; დასავლეთ საქართველოს—35 პროცენტი; აღმოსავლეთ საქართველოს—45 პროცენტი და სამხრეთ ოსეთს—8 პროცენტი.

პირველ კვარტალში შემოზიდული იქნება 99 ვაგონი მანუფაქტურა (ჯერ ჯერობით შემოზიდულია 40 ვაგონი.

ფართლის განაწილება, როგორც გასულ წელში ისე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თათბირმა სცნო მიზანშეუწონლად განაწილების სწორი წესის შემუშავება თათბირმა დაავალა ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს უმაღლეს ორგანოებთან შეთანხმებით.

მანუფაქტურის განაწილება კოოპერაციასა და სახვაჭრობის შორის დაევალა რწმუნებულის სამმართველოს. კოოპერაციას დაევალა მანუფაქტურა გაუნაწილოს ძირითად ერთეულებს მათი რაიონის რეალურ მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

ინდუსტრიალ. ზაკ. სესხი

ა.-კ. ფინსახკომის მიერ სამაზრო საფინანსო განყოფილებებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ამიერ-კავკასიაში ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები გასაღებული იქნა 5.245.000 მანეთის რაოდენობით.

ამ თანხიდან საქართველოზე მოდის 2.484.000 მანეთი, აზერბეიჯანზე—2.300,000 მანეთი და სომხეთზე—511.000 მანეთი. ამრიგად, ამიერ-კავკასიისათვის დაწესებული საკონტროლო ციფრი შესრულებული იქნა დიდის გადაჭარბებით.

კოლექტიურ ხელისმოწერაზე მოდის გასაღებული ობლიგაციების საერთო თანხის 76 პროც., დანარჩენი გასაღებულია ინდივიდუალური ხელის მოწერით. ნაღდ ფულზე გაყიდულია განაღდებულ ობლიგაციების 15 პროც., დანარჩენი ობლიგაციები გაყიდულია ნისიად.

კოლექტივებიდან აღსანიშნავია ა.-კ. რკინის გზა, რომელმაც ხელი მოაწერა 620.000 მანეთის ობლიგაციებზე.

რკინის გზებზე

მივლინება უცხოეთში

გერმანიის რკინის გზებზე მოძრავ საშუალებათა შეკეთების საქმის შესასწავლად ა. კ. რკ. გზ. გამგეობა სამი თვით გერმანიაში აგზავნის ინჟ. ედიგარს და მაისუროვს

უცხოეთის რკინის გზებზე ელექტროწევის თანამედროვე მდგომარეობის შესასწავლად ევროპაში და ამერიკაში იგზავნება ორი ინჟინერი.

უბედური შემთხვევა

გუშინ ა. კ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოების საქვაბე საამქროში ელდენის დარტყმის გამო გარდაიცვალა ზეინკალი ხოხოლი, ტომით პოლონელი.

ქრონიკა

შეღავათი ინვალიდებს

მთავრობის ახალი დადგენილებით შეღავათიან გადასახადისაგან განთავისუფლებულნი არიან ყველა კატეგორიის ომის და შრომის ინვალიდები, რომელთაც აქვთ შენობა და იბეგრებიან შეფასებითი გადასახადით 5 მანეთ. გადასახადისაგან თავისუფალნი არიან ქალაქში მდებარე ბაღ-ბოსტნები, რომლებიც იმყოფება სოციალურ უზრუნველყოფაზე აყვანილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სარგებლობაში, თუ ისინი ბაღ-ბოსტნებს თვითონ ამუშავებენ.

სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილი გლეხები განთავისუფლებულნი არიან ბაზარზე გასაყიდათ გამოყვანილ საქონელზე დაწესებულ გადასახადისაგან.

ერთდროულ გადასახადისაგან თავისუფალნი არიან აგრეთვე სოც. უზრუნველყოფაზე მყოფი ფეხზე მოვაჭრე პირები.

სოციალურ უზრუნველყოფაზე აყვანილებს ეხებათ ისეთივე კომუნალური შეღავათები, რომლითაც სარგებლობენ მცირე ჯამაგირის მქონე მუშა-მოსამსახურენი.

თათბირი ხე-ტყის ექსპორტის შესახებ

20 დეკემბრისათვის ს. მ. უ: ს: საწარმოო სავაჭრო განყოფილებაში მოწვეულია გაფართოებული თათბირი ხე-ტყის ექსპორტის საკითხის მოსაგვარებლად.

თათბირზე მოწვეული არიან აჭარისტანის და აფხაზეთის წარმომადგენლები.

ახალი სამუშაოები ტყიბულში

სამთო მრეწველობის ტრესტმა გამოაქვეყნა ცნობები ტყიბულში ახალი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. 1-ლ დეკემბრამდე ახალი გვირაბების გაყვანა შემდეგ მდგომარეობაში იყო:

აღმოსავლეთის უბანზე დაწყებული გვირაბი გაყვანილია 234 მეტრის სიგრძეზე. გვირაბი ამოკავებულია ჩარჩოებით და გაკეთებული აქვს დიდი სახელე 28 მეტრის სიგრძეზე.

დასავლეთის უბანზე გვირაბის გაყვანა დასრულდა 124 მეტრის სიგრძეზე. გვირაბი სავსებით მზადაა და მოწყობილია უშიშროების ყველა საშუალებებით. გვირაბების შესავალთან აგებულია მუშების დასასვენებელი ბინები.

გვირაბების გაყვანა დასრულდება 1928 წლის ბოლოს.

წყალსადენის ელექტროფიკაცია

წყალსადენის სამმართველოს ცნობით, თბილისის წყალსადენის გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე სავსებით დასრულებულია. გერმანიიდან გამოწერილია წყლის საქაჩი ელექტრო მანქანები, რომლებსაც თბილისში მიიღებენ ამ ხანში.

ამ დღეებში მოხდება წყალსადენის სრული გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე ისე, რომ წყლის მიწოდება არ იქნება შეწყვეტილი.

წყალსადენის გაყვანა მაუდის ფაბრიკასთან

ახალშენებათა კომიტეტთან შეთანხმებით თბილისის წყალსადენის სამმართველო შეუდგა დიდუბის მაუდის ფაბრიკასთან წყალსადენის გაყვანას. წყალსადენის მილი გამოყვანილია მთავარი მაგისტრალიდან ორი კილომეტრის მანძილზე.

პირველ ხანებში ახალი წყალსადენის საშუალებით ფაბრიკას უნდა მიეწოდოს 20.000 ვედრო წყალი დღე-ღამეში.

ახალი წყალსადენის გაყვანა ჯდება 40 ათასი მანეთი.

წყალსადენის გაყვანა დასრულდება ერთი თვის განმავლობაში.

საბაზრო კომიტეტი

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ სახკომსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა საბაზრო კომიტეტის დაარსების შესახებ. კომიტეტი არსდება ვაჭრების და ხელოსნების ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით. რწმუნებულის წინადადებით კომიტეტი უნდა შესდგეს ვაჭრობის და ხელოსნების წარმომადგენლებისაგან. ინსტრუქციებს კომიტეტის სტრუქტურის და უფლება-მოვალეობათა შესახებ შეიმუშავებს ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

წელს საქართველოში დაიწყება ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ მუშა-მოსამსახურეების შრომის ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება უნდა დასრულდეს მომავალი წლის 1 აპრილისათვის.

შრომის კომისარიატის ცნობით სახელმწიფოებრივი ხელფასის მოწესრიგება ვრცელდება საკრედიტო დაწესებულებებზე, სოცდაზღვევის და სახელმწიფო დაზღვევის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებზე, შემნახველ სალაროების სამმართველოსა და მის ადგილობრივ ორგანოებზე და სინდიკატების სამმართველო აპარატზე.

თბილისის აღმასკომში

◆ **კომუნალურ ბანკის რეორგანიზაცია.** თბ. აღმასკომმა დაადგინა თბ. კომუნალური ბანკი გადაკეთებული იქნას საქართველოს რესპუბლიკანურ ბანკად.

◆ **ხარჯების შემცირების** მიზნით თბ. აღმასკომმა დაადგინა გადასინჯოს მაზრის ადმინისტრატიულ ერთეულებათ დაყოფის საკითხი.

განათლების კომისარიატში

◆ **არდადეგები.** განათ. კომისარიატის დადგენილებით საცდელ-საჩვენებელ სკოლებში საზამთრო არდადეგები დაიწყება 7 იანვარს, მეცადინეობა განახლდება 20 იანვარს.

◆ **დათვალიერება.** 1-ლ და მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლების და სკოლა-საკრებულოს დათვალიერება ექსკურსანტებს შეუძლიათ ხუთშაბათობით, ხოლო მე-2 საც.-საჩ. სკოლის დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე.

სხვადასხვა

◆ **სტადიონი ქიათურაში.** პროფკავშირთა საბჭომ გადასწყვიტა ქიათურაში მოაწყოს ფიზკულტურის სტადიონი.

◆ **პროფტეხნიკური კურსები.** მშრომელ უმუშევარ ქალთა კვალიფიკაციის ასაწევად ახლო ხანში თბილისში გაიხსნება პროფტეხნიკური კურსები.

კრებები და მოხსენებები

◆ **პარასკევს, 16 დეკემბერს,** ქართული ენის პედაგოგიური კაბინეტში (მე-14 შრ. სკოლა, ფ. მახარაძის ქუჩა, № 4) საღამოს სრულ შვიდ საათზე შესდგება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კრება. დღის წესრიგი: პლ. ქიქოძის მოხსენება: „ხელოვნება და საზოგადოებიობა“.

ჩაუბარებელი დეპეშები

როსტოვიდან—კვიორკოვს, ახალციხიდან—სიგუას, ბაქოდან—გარიბოვს, ახალქალაქიდან—გუკასოვს, ნიჟ. რეჩენსკიდან—„აჭარკომტორგს“, ურმიიდან აირაპეტიანცს, ქუთაისიდან—ტატნელის, ბაქოდან — ვართანოვს, ქუთაისიდან—მიქაშაიძის, ონიდან—ლანდიას, მოსკოვიდან—აიასტასიევს, ცხემლის-ხიდიდან—გოგიტიშვილს, ეკლახიდან—მუსა-ისმაილოღლის, გურჯაანიდან ახელშერთვს, ამბაბადიდან—აკოფოვს, ნოვოროსიისკიდან—დუბოვიცკის, პეტუხოვიდან—ტაუბერმანს, ხონიდან—კაჭარავას, ლენინგრადიდან—ლაზარიშვილს, კრასნოვოდსკიდან—მგალობლიშვილს.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში შემდეგი ახალი გამოცემანი:

1. „პიონერი“ № 21 და № 22 (საბავშო ჟურნალი) ფ. 25 კაპ..
2. „პროლეტარული მწერლობა“ № 9-10 (სექტემბერი—ოქტომბერი) გვ. 214. ფასი 1 მ. 40 კაპ.
3. ეკ. ჩოხელი—პირველი დახმარება უბედურ შემთხვევებში (როგორც მშვიდობიანობის, აგრეთვე თანამედროვე ომის დროს) გვ 168 ფასი 1 მ.
4. „ნაკადული“ № 11 (საბავშო ჟურნალი გვ. 32; ფასი—ცალკე ნომერი—35 კაპ.
5. „ვინ არის ყველაზე ძლიერი?“ (ზღაპარი გადმოკეთებული პ. ჭანიშვილის მიერ. დასურათებულია შ. ძნელაძის მიერ) ფასი 75 კაპ.
6. გ. გუმედინი—ტროცკიზმიდან მენშევიზმისაკენ. („ტროცკისტულ ახალგაზრდობის კავშირის“ პლატფორმის კრიტიკა) გვ. 184 ფასი—1 მან.
7. ი. გაჩეჩილაძე—მეტეოროლოგიის ელემენტები—ფასი 75 კაპ.
8) Пурцеладзе. — Живая струйка (учебник русского языка. изд. 3) ფასი 1 მ. 50 კ.
9. ფ. მახარაძე—კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის—(რკინისგზელთა მუშფაკში წაკითხული ლექციები) ფასი 1 მან.
10. არ. ხარაძე—უმაღლესი მათემატიკის შესავალი (სახელმ. უმ. სკოლების) ფ. 3 მან 50 კაპეიკი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 255-ში მოთავსებულ ა.-კ. შინავაჭრობის კომისარიატის რწმ. სამმართველოს სარეგისტრაციო განცხადებაში, გაგრძ. 35, რიგითი ნომერი შეცდომით იწყება 396-ით და თავდება 415-ით. უნდა იწყებოდეს 930-ით და თავდებოდეს 955-ით.

შემთხვევები

ჯიბგირობა

გუშინ, რაჭიდან ჩამოსულ გლეხს ი. ხაბაზაძეს თავისუფლების მოედანზე ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა 230 მანეთი და მიიმალა.

ჯიბგირის დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ჯიბგირი ბორის ალექსანდრეს ძე ანდრეევი.

როგორც გამოირკვა, ანდრეევი დიდი ხანია, რაც „საგასტროლოთ“ ჩამოვიდა ბაქოდან მას აქვს ჯიბგირობის რამოდენიმე რეგისტრაცია.

ტრამვაის მოძრაობის შეჩერება

გუშინ, დილის 10 საათზე, ტრამვაის საჰაერო ხაზის დაზიანების გამო ელბაქიძის დაღმართზე მოძრაობა შეწყდა 10 წუთით. სასწრაფოთ გამოიძახეს მოხელეები ტრამვაის სახელოსნოდან და დაზიანებული ხაზი (შემელის აფთიაქთან) შეაკეთეს.

300 მანეთის გამოტყუება

გუშინწინ გორის მაზრის მცხოვრები თ. კაპანაძე, რომელიც თბილისში მანუფაქტურის საყიდლათ ჩამოვიდა, შევიდა მუშკოოპის მაღაზიაში და საქონელს ათვალიერებდა. საერთო წესის მიხედვით, გამგემ უთხრა კაპანაძეს, რომ მას მანუფაქტურა მიეცემოდა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით. კაპანაძემ სთხოვა გამგეს მიეცა მეტი საქონელი და თანაც აღნიშნავდა, რომ მას საკმაო თანხა გააჩნია ამ ლაპარაკს უსმენდა ვიღაც მესამე პირი კაპანაძე რომ მაღაზიიდან გამოვიდა, უცნობი დაეწია მას და აღუთქვა, რომ ერთ-ერთი დაწესებულების საშუალებით გამოატანიებდა მას საქონელს. კაპანაძე დასთანხმდა და შევიდნენ უცნობის მიერ ნაჩვენებ დაწესებულებაში. აფერისტმა კაპანაძეს გამოართვა 300 მანეთი მანუფაქტურის „შესაძენად“ და შეუმჩნევლად მიიმალა.

ქურდების დაპატიმრება

ამ რამოდენიმე ხნის წინად ლენინაკანში უცნობმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო კოოპერატივის მაღაზია წაიღეს 600 მანეთის საქონელი.

სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ აღნიშნული საქონელი ბოროტმოქმედებმა გამოგზავნეს თბილისში და შემდეგ თვითონაც ჩამოვიდნენ „საგასტროლოდ“.

ბოროტმოქმედნი თბილისში დააპატიმრეს ისინი აღმოჩნდნენ: თედორე კუბიშკინი და კონსტანტინე ხოდიაკოვი.

ნაქურდალი საქონელი ნაპოვნია.

გამოირკვა, რომ კუბიშკინი და ხოდიაკოვი თბილისში ყოფნის დროს ძალიან დაუახლოვდენ ცნობილ ქურდ-რეციდივისტს ბორის კოვარჩის და ამ უკანასკნელთან შეთანხმებით გაქურდეს კოოპერატივ „მეომარი“-ს მაღაზია ავლაბარში.

მოქ. კოვარჩიც დაპატიმრებულია.

ქურდები გამოტყდენ დანაშაულში.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„სევილიელი დალაქი“

როსინის „სევილიელი დალაქი“ დაწერილია 1816 წელში ის ითვლება კლასიკურ მუსიკალური კომედიის საუკეთესო ნიმუშათ. ამ ნაწარმოებმა ჩქარა დაიმსახურა ფართე საზოგადოების ყურადღება. მისი ასეთი გამარჯვება გამოწვეულია როსინის მელოდიის სილამაზით და აგრეთვე მათ, რომ ოპერას სარჩულად უდევს ბომარშეს კომედიის შინაარსი, რომელიც მკვეთრი სატირაა ისპანიის ბურჟუაზიულ კლასის და კლერიკალების გემოვნებაზე.

რეჟ. გრიჩიოვმა ოპერის განახლებულ დადგმაში ხელშეუხებლად დასტოვა მუსიკა (გარდა რეჩიტატივებისა, რომელიც შეცვლილია პროზით) და ბომარშეს კომედიის ტექსტის მიხედვით შეიტანა ახალი ეპიზოდები. აქ ბევრია მკვამახვილი და მხიარული ადგილები; კარგია დიალოგები; ოპერაში მრავალი ახალი სცენიური ეპიზოდები; მაგრამ მის დადგმა უფრო ჰგავს ოპერეტკას პროზის ტექსტით; ვიდრე მუსიკალურ სატირას.

შემსრულებლებს ყველას ვერ ჰქონდათ სათანადოთ შეთვისებული პროზა (რაც მეტად ძნელია ოპერის მსახიობებისათვის). ნათელი და სწორია დემიანენკოს (ექიმი ბარტოლო) და მესხიაევის (დონ ბაზილიო). დიქცია.

არის ლამაზი დეკორაციები (პირველი აქტი—ღამე; განათებული მოედანი). კარგია მეორე აქტის დეკორაცია—ბარტოლოს კაბინეტი. საინტერესოა აგრეთვე ღამის სურათი მესამე აქტში; ქარიშხალი; განთიადი და ბნელი კომიკური სილუეტები ბარტოლოსი და დონ ბაზილიოსი; რომლებიც შეთქმულებივით გამოდიან ავანსცენაზე ქოლგებით და ფანრებით. არის ნაკლიც—თეთრი ზოლი ბნელ ცაზე უფრო გამჭვირვალე ქსოვილს მოგაგონებს ვინემ ღრუბლებს.

შეუფერებელია იმ ეპოქისათვის როიალი—მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის გამოგონება. აქ უმჯობესია კლავესინის დადგმა.

დანიელიანი იძლევა როზინის მოძრავ სახეს; სტილურია მისი გრიმი და კოსტიუმი. ძახაიძე კარგად ასრულებს თავის პარტიას. ხმა და საუკეთესო ტექნიკა საშუალებას აძლევს მას დაძლიოს პარტიის კოლორატიული ადგილები.

კავსაძე—ნამდვილი ალმავივაა, განსაკუთრებით მთვრალი ოფიცრის განსახიერებაში. პირველი სერენადა კარგად იქნა შესრულებული; ხოლო მეორე; დამახინჯებულია ფინალში.

კარგია **ვენაძე** ფიგაროს როლში. პირველი აქტის მძიმე კავატინა მუსიკალურად და რიტმიულად იქნა შესრულებული. ლამაზა გარეგნული მხარე. **მესხიაევი** (დონ ბაზილიო) კომიკურია; არ აშარებს პარტიის კარდინალური ადგილები—არია წყევლაზე კარგად იქნა შესრულებული; სიმღერაში მრავალი კონტრასტებია; ნათელია დიქცია.

დემიანენკომ დასრულებული სახე მოგვცა ექიმ ბარტოლოსი. ხოლო შეუფერებელია მოხუც ექიმისათვის ხტომა და სხ. ეს აფუჭებს შთაბეჭდილებას.

ორკესტრი მელიქ-ფაშაევის დირიჟორობით მუსიკალურია; დაცულია როსინის სტილი, მაგრამ უვერტიურა მოითხოვს უფრო გამჭვირვალე შესრულებას; აქ თავიდან ბოლომდე მუსიკაში უნდა ისმოდეს ხან მხიარული სიცილი; ხან ირონია.

შ: შ:

ხელოვნების ქრონიკა

ლიტერატურული დისპუტი

კვირას 18 დეკემბერს მ. კახიანის სახელობის მუშფაკის ლიტერატურული წრე აწყობს საჯარო ლიტერატურულ დისპუტს (სამოსწავლო შესახვ. № 9).

მოხსენებით თემაზე: **„ქართული მწერლობის ყველა მიმართულებების და ჯგუფების შემოქმედებითი კრიზისის შესახებ“** გამოვა ამხ. პლ. ქიქოძე,

კამათში მონაწილეობას მიიღებენ: ს. ამაღლობელი, ვ. ალავიძე, ბ. ბუაჩიძე, შ. დუდუჩავა; ლ: ესაკია; ბ: ჟღენტი; დ. რონდელი ს. ჩიქოვანი და სხვა.

ლექსებს წაიკითხავენ შემდეგი პოეტები: ანდრო ეული, ნოე ზომლეთელი, კარლო კალაძე, კონსტ. ლორთქიფანიძე; ალიო მაშაშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა; და სიმონ ჩიქოვანი.

დისპუტის დასაწყისი საღამოს სრულ შვიდ საათზე. შესვლა თავისუფალია

◆ **ახალი კლუბი.** მშენებელთა კავშირმა გადასწყვიტა გახსნას საკუთარი კლუბი.

◆ **„კარმენსიტა“.** დღის ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ბალეტი „კარმენსიტა“

— **სასცენარო სახელოსნოში.** სამშაბათს, 13 დეკემბერს, საქ. სახკინმრეწვის სასცენარო სახელოსნოში მორიგი მოხსენება გააკეთა ბ. ზორიძემ შემდეგ თემაზე: „კინემატოგრაფიული ექსპოზიციები“. კამათში მონაწილეობა მიიღეს გრ. რობაქიძემ, მ. ჯავახიშვილმა, გ. ბუტიკაშვილმა და სხვ. სხდომის შემდეგ სახელოსნოს წევრებისათვის ნაჩვენები იყო ახალი ფრანგული სურათი „უშიშარი კაპიტანი“.

შემდეგ მოხსენებას გააკეთებს მ. ჯავახიშვილი „ფაბულის როლი კინო-სცენარში“—სამშაბათს 20 დეკემბერს.

◆ **„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“.** 17 დეკემბერს მუშათა თეატრის ქართული დრამა დგამს ცაგარელის პიესას: „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“.

◆ **პროლეტარულ დრამატიული სახელოსნო** მუშათა ახალ კლუბში 17 დეკემბერს დადგამს ვაკელის პიესას: „მეამბოხენი“

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** დღეს გაიმართება ამავე კონსერვატორიის მოწაფეთა საღამო-კონცერტი.

სასამართლო

ს. ახვლედიანის და სხვ. საქმე

დამთავრდა მოწმეების დაკითხვა.

უზენაეს სასამართლოს მორიგი სხდომა ესდგება შაბათს დილის 11 საათზე.

მანამდე იმუშავებენ ექსპერტები და სპეციალისტები, რომლებიც წარმოუდგენენ უზენაეს სასამართლოს თავიანთ დასკვნებს.

ექსპერტებს დავალებული აქვთ გადასინჯონ საკლუბო კომისიის წიგნები, ანგარიშწარმოება და ყველა საბუთები, რომლებიც შეეხება ს. ახვლედიანის და „კონტრაგენტის“ სვანის დავალიანებას.

სპეციალისტებმა უნდა გამოარკვიონ იმ ვერცხლის ნივთების ღირებულება, რომელიც ეკუთვნოდა ს. ახვლედიანს და რომელიც მან ასალა აწეულ ფასებში ვერცხლის ალეგრაში.

საქმე სამსახურიდან უმიზეზოდ დათხოვნის შესახებ

მოქ. ვალ. ქანთარია მსახურობდა თბილისის საბაჟოში, საიდანაც დათხოვნილ იქნა ყოვლად უმიზეზოდ.

9 თვის განმავლობაში, მგონი, ცხრამეტჯერ დაინიშნა შრომის სასამართლოში მისი საქმე განსახილველად. მაგრამ არც ერთხელ ადმინისტრაციის წარმომადგენელი არ დასწრებია, რის გამო საქმე იდებოდა.

ცხრა თვე ცოტა დრო როდია!

და აი, ცხრა თვის განმავლობაში მოქ. ქანთარიამ ტალახი დააყენა სასამართლოს კარებთან სიარულით და როგორც იქნა ეღირსა საქმის განხილვას.

სასამართლომ გამოარკვია მეტად „არასაიამოვნო გარემოებანი“, მარტო ის „რათ ღირს“, რომ ქანთარიას დათხოვნა პირადი ინტერესით მომხდარა

სასამართლომ დაადგინა: ქანთარია აქ არაფერ შუაშია, ხოლო „ვინც შუაშია“, მას გადახდეს ქანთარიას სასარგებლოდ გაცდენილი დროის ხელფასი 555 მანეთის და 8 კაპეიკის რაოდენობით. გარდა ამისა ქანთარია დაუყოვნებლივ აღდგენილი უნდა იქნეს სამსახურში

მაგრამ სამსახურში ქანთარიას აღდგენის „დასაყოვნებლად“ შრომის სასამართლოს დადგენილება გაასაჩივრეს, თუმცა ზემოდ აღნიშნული თანხა ქანთარიას გადაუხადეს.

ამჟამად საქმე შრომის ინსპექციაშია გადატანილი.

ერთი ქალი ექვსი შეიარაღებული მამაკაცის წინააღმდეგ

დღეს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, საღამოს ექვს საათზე დაიწყება მოქ. გიორგი ქვახოლიაშვილის, გ. მერაბიშვილის, კ. სულხანიანის, სამადაშვილის და მ. კაპაიანის საჯარო გასამართლება.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მათ ბრალად ედებათ ბ—შვილის ქალის გაუპატიურების ცდა.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ბერიშვილი.

მოქ. კირილოვის საქმე

მოქალაქე კირილოვი მთვრალი გამოვიდა ქუჩაში და დაიწყო თბილისელ მოქალაქეების გინება.

ლანძღვა-გინება და ღრიალი მოესმა მილიციელს, რომელმაც წინადადება მისცა მოქალაქეს დაწყნარებულიყო.

კირილოვმა ერთი მაგრად „შეუკურთხა“ მილიციელს და გაიქცა.

შეურაცყოფილი მილიციელი დაედევნა კირილოვს.

მოჰქრის ტრამვაი. კირილოვმა ისკუპა და შეახტა ტრამვაის აკრძალული მხრიდან.

ტრამვაი გაჩერდა. კირილოვი როდი „გაჩერდა“. დაიწყო ვატმანის და ტრამვაიში მჯდომი ხალხის გინება.

დიდი ვაი-ვაგლახით „გადმოაბრძანეს“ კირილოვი ტრამვაიდან და წაიყვანეს სადაც ჯერ არს.

სასამართლომ კირილოვს მიუსაჯა ერთი თვით დაპატიმრება გამასწორებელ სახლში.

ზერ.

მოქ. კალანტაროვის „მიჯნურობა“

თბილისის სამაზრო სასამართლო ამხ. მ. კაჭარავას თავმჯდომარეობით შეუდგა მოქ. ალექსანდრე კალანტაროვის საქმის განხილვას.

საქმის შინაარსი უკვე გვქონდა მოთავსებული.

მას ბრალი ედება შემდეგში: ცოლად შერთვა აღუთქვა ნ. ნ—ძის ქალს, ქალის მამიდის ფულით ნაყიდი ნიშანი (ბეჭედი) „მიართვა“ თავის საცოლეს, მოატყუა მისი მშობლები, მოამზადებია ქორწილი, იცხოვრა თავის დანიშნულთან, შემდეგ მოჰპარა მას ბეჭედი და ცოლად შერთვაზე უარი შემოუთვალა.

თბ. სადგურში მომხდარ კატასტროფის მიზეზები

12 დეკემბერს სადგურზე მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევლად შედგენილმა სპეციალურმა კომისიამ გუშინ დაამთავრა მუშაობა.

დამნაშავედ ცნობილი იქნა უფროსი მეისრე **მალიანოვი**.

კომისია აღნიშნავს, რომ კატასტროფის მიზეზი იყო სემაფორის გაღება ნაადრევად, მატარებლის მარშრუტის მომზადებამდე.

უფროსი მეისრე მალიანოვი სამარშრუტო მატარებლის (№ 402) მიღების დროს მეთერთმეტე თავისუფალ ხაზზე—წინასწარ არ დარწმუნდა იმაში, სწორად იყო დაყენებული ისარი და გასცა განკარგულება სემაფორის გაღების შესახებ.

შემოსული მატარებელი ისრის გადაყვანის გამო წავიდა დაკავებულ ხაზზე და მოხდა დაჯახება.

კომისია ამასთანავე აღნიშნავს, რომ სამარშრუტო მატარებლის საორთქლმავლო და კონდუქტორთა გუნდები ამ კატასტროფაში უდანაშაულონი არიან. მათ საფრთხის შემჩნევისთანავე მიიღეს ყველა, მათგან დამოკიდებული ზომები, მაგრამ გვიან იყო. უფროსი მეისრე **მალიანოვი** მოხსნილია სამსახურიდან და დაპატიმრებულია.

კომისიამ თავის დასკვნა გადასცა ა.-კ. რკ.-გზ. გამგეობასთან არსებულ შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიას.

ბიბლიოგრაფია

ლეო. ესაკია „ახალი მხატვრობა,“ გვ. 119, ფასი 2 მან. სახელგამი

საბჭოთა ხელოვნების სინამდვილეში ევროპის ახალ მხატვრობაზე ნაშრომის გამოცემას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს:—გაიგოს ჩვენმა მოზარდმა თაობამ, თუ რა ცვალებადობა განიცადა ხაზმა, ფერმა და ფორმამ მხატვრობაში ფორმალურ ანალიტიკის დროს; თუ როგორ გადაგვარებამდის მიიყვანა ბურჟუაზიული ქვეყნების სოციალურმა ყოფამ ევროპის ხელოვნება და რამდენად აუცილებელია ამ ხელოვნების განხილვა საბჭოთა ქვეყნების მიერ შექმნილი ახალი ეპოქა, ახალ კულტურულ საწყისზე. ეს მთავარი აზრი უნდა გასდევდეს ყოველ მხატვრულ ნაშრომს. უამისოდ შრომა იქნება ზედმეტი და არც სასურველი.

ავტორი საკითხის მეცნიერული დასმის პრეტენზიას აცხადებს და ამას ხსნის პროლეტარიატის იდეოლოგიის ინტერესებით. წიგნში მოყვანილი დებულებები—კი ამ პრეტენზიას ოდნავადაც ვერ ამართლებენ.

აღვნიშნავ მხოლოდ მთავარ მეთოდოლოგიურ შეცდომებს, რომელიც არის ძირი ავტორის ყოველი შეცდომისა.

ავტორი, ამ უკანასკნელ 150 წლის საფრანგეთის მხატვრობას უწოდებს ახალს და საფრანგეთის ამ მხატვრობას, აცხადებს ახალი მხატვრობის ცენტრად. სინამდვილეში „ახალი მხატვრობა“ არ არის მთლიანი გაგება: იგი სამი ნაწილისაგან შესდგება. პირველია 1916 წ. მეორე 1918 წლამდე და მესამე—დღემდის. 1916 წლამდე არსებულ ახალ მხატვრობას აქვს სამი დასაყრდენი, შემოქმედებითი ცენტრი და თვითეულ ცენტრს თავისი წრე სხვადასხვა ზომის რადიუსით. ასეთი ცენტრებია: იმპრესიონიზმი, ფუტურიზმი და კუბიზმი. ახალი მხატვრობის მრავალი სკოლების კლასიფიკაცია ამ ცენტრების მიხედვით უნდა მოხდეს.

ავტორი ასე არ მოქმედობს და სცდილობს დღემდე არსებული მიმართულებები ცალცალკე დაახასიათოს

ასეთი მეთოდით ქმნის ქაოსს და გაუგებრობებს ახალი მხატვრობის გარშემო. თავისთავად კი ახალი მხატვრობა წესრიგით ამუშავებდა ხაზის, ფერის და ფორმის ამოცანებს თავისი ცენტრების მიხედვით. ყველა ცენტრებს—კი ახასიათებდა ის რომ, სურათის ფაბულის საკითხს, უმეტეს შემთხვევაში, უყურადღებოდ სტოვებდენ. ევროპის ახალ მხატვრობაში ფაბულა პირველად არი რუსომ შეიტანა; რუსეთში განჩაროვამ და საქართველოში ფიროსმანიშვილმა. ამის შესახებ ავტორი სდუმს, თუმცა მარქსისტული მეთოდოლოგიისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ამ მომენტსა აქვს.

მეტის-მეტ აბნეულობას იწვევს ავტორის ქრონოლოგიური გადასვლები. იმპრესიონიზმის შემდეგ იგი ლაპარაკობს სიმბოლისტურ სკოლაზე და ასეთად აცხადებს ვან-გოგის და გოგენის მზიურ სურათებს (სრულიად დაუსაბუთებლად და შეცდარად).

შემდეგ სტოვებს ფუტურიზმს, კუბიზმს და გადადის გერმანიის ექსპრესიონიზმის განხილვაზე. სრულიად არაფერს ამბობს „შტურმისა“ და „ზენიტიზმის“ და საუბარს იწყებს დადაიზმზე. დადაიზმის გარკვევაში იმდენ გაუგებრობას ქმნის, რომ შეუძლებელია მათი საბიბლიოგრაფიო წერილში აღნიშვნა. დადაიზმათ ესმის „ექსტრემიზმი“, „სიურ-რეალიზმი“, ოდარიზმი, ზაუმიზმი 41° დადაიზმიდან ბრუნდება უკან და მკითხველი გადაჰყავს იტალიის ფუტურიზმში. იტალიურ ფუტურიზმს ავტორი რატომღაც „სამხედროს“ უწოდებს და ამბობს რომ „სეზანის შემოქმედების სიმბოლისტურ (?) გაგების წინააღმდეგ გამოდის კიდევ ერთი დიდი ნაკადი მხატვრობაში“-ო.

ფუტურიზმის გამოსვლის დაკავშირება სეზანის „სიმბოლისტურ“ შემოქმედებასთან მეტი რომ არა ვსთქვათ სრული უცოდინარობაა ახალი მხატვრობის წარმოშობის მიზეზებისა.

ამის შემდეგ ახალი მხატვრობის საკითხების „მეცნიერულ“ გარკვევას კუბიზმით და კონსტრუქტივიზმით ამთავრებს.

იმის შესახებ, თუ რა სთქვა ახალმა მხატვრობამ პლაკატის, დეკორაციის, არქიტექტურის, გრაფიკის, ფოტოს და სხვა დარგებში, ან როგორი დამოკიდებულება შეიქმნა კინოსა და ახალ მხატვრობას შორის, ავტორი სდუმს.

საბიბლიოგრაფიო წიგნის მეორე სათაურია: „ახალი მხატვრობა და ნიკო ფიროსმანიშვილი“.

ამ სათაურის გასამართლებლად ევროპიდან საქართველოს ახალ მხატვრობაზე გადმოდის. გადმოსვლისთანავე შეცდომაში ვარდება, პორტრეტულ მხატვრობას უძებს ფრესკაში და არაფერს ამბობს სამოქალაქო მხატვრობაზე (უმთავრესად ვეფხის ტყაოსნის შესახებ).

ავტორი ფიროსმანიშვილს აცხადებს ქართულ პოლ სეზანად. ასეთი ტენდენციურობა განსაკუთრებით, გაუგებარია როდესაც გიგო გაბაშვილს უდიდეს იმპრესიონისტად აცხადებს და როცა სიდამონ-ერისთავს „იაპონიზმ“ უსაყვედურებს ბევრს და შედარებით საყურადღებოდ ლაპარაკობს ნ. ფიროსმანიშვილზე (სარგებლობს გამოქვეყნებული მასალით თუმცა არ ასახელებს). უახლოეს ქართულ მხატვრობის განმარტებაში სცდება და ფაქტებს ამახინჯებს.

უსამართლოდ ეპყრობა „უსკოლო“ მხატვრებს და განსაკუთრებით ე. ახვლედიანს.

კონკრეტული საუბარი ხაზის, ფერის და ფორმის შესახებ, რაც აუცილებელი იყო, არ სჩანს წიგნში, რადგან, რამდენადაც ვიცით ავტორი ამ დარგში დამწყებია და არც შეიძლება ექნეს რაიმე პრეტენზია. ავტორი უყურადღებოდ სტოვებს იმ აჯანყებას, რომელიც დაიწყო მხატვრობაში მეოცე საუკუნის დასაწყისში და რომელიც დღესაც გრძელდება ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ამასთანავე წიგნს ახლავს ისეთი დეფექტებიც, რომელთა აღუნიშნელობა შეუძლებელია

1. წიგნში მოთავსებული რეპროდუქციები. გარდა იმისა, რომ ცუდათ არის გამოსული და არავითარ შთაბეჭდილებას არ იძლევა ორიგინალზე,—ბევრჯერ გამოქვეყნებულია—სხვადასხვა ჟურნალებში.
2. ავტორს რუსული ტექსტით მოჰყავს უცხოელთა (არა რუსთა) ციტატები, რაიც სრულიად დაუშვებელია.
3. ავტორი ქმნის დიდათ სადაო ახალ სიტყვებს და აგრეთვე შემოაქვს შემოკლებულ სიტყვების ლექსიკონი.
4. თითქმის ყოველ სტრიქონში ხმარობს ისეთ უცხო სიტყვებს, რომელთა შინაარსი ჯერ-ჯერობით ლექსიკონებშიაც განუმარტავია საბოლოოდ. ამ მიზეზების ზოგჯერ წიგნის მთელი გვერდი ბუნდოვანი და გაუგებარი ხდება მკითხველისათვის.

ამ დეფექტებს ხელს უწყობს დაუმუშავებელი სტილი და ცუდი ქართულით საუბარი.

ბენო გორდეზიანი.

ფიზკულტურა

შეჯიბრები კალათბურთში

კვირას, 18 დეკემბერს, ფიზკულტურის საბჭოს შენობის დარბაზში გაიმართება ხუთი შეჯიბრი კალათბურთში.

შეჯიბრები დაიწყება ნაშუადღევის 3 საათიდან.

ფიზკულტურა სენაკში

ფიზკულტურის განვითარების მხრივ სენაკი ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს სამეგრელოში. ადგილობრივი აღმასკომი და პროფბიურო დიდ დახმარებას უწევენ ფიზკულტურის წრეებს შარშანდელთან შედარებით მუშაობა წელს ბევრათ უფრო გაუმჯობესებულია. წრეებში მოვარჯიშეთა უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეები და მოწაფეებია

ამ ჟამად სენაკში ითვლება ფიზკულტურის 6 წრე. მათ შორის: ტანვარჯიშის—4 და ფეხბურთის—2. არსებობს აგრეთვე ძლეოსნობის წრე, რომელიც მუშაობს ტანვარჯიშის წრეებთან ერთად მეცადინეობა რეგულიარულად მიმდინარეობს. ეწყობა ამხანაგური შეჯიბრები და საზოგადო საჩვენებელი ფიზკულტურის საღამოები და გამოსვლები.

ფიზკულტურის წრეებისა და პროფბიუროს ინიციატივით, მაზრაში მოეწყო სახალხო ცხენოსნური ჯომარდობა. რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სამეგრელოს ყველა საუკეთესო ცხენოსან-ჯომარდებმა. გაიმართა დოღი, ჯირითი და სხვადასხვა, ხასიათის თამაშობანი ცხენოსნურ ჯომარდობამ ნამდვილი სახალხო დღესასწაულის ხასიათი მიიღო ადგილობრივ. გლეხობა ძალიან კმაყოფილი დარჩა ცხენოსნური ჯომარდობის გამართვით. საუკეთესო ცხენოსნებს დაურიგდათ ჯილდოები.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 16 დეკემბერი

დღეს, 16 დეკემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება

განიარაღების კონფერენცია ჟენევაში—ქართულ და თურქულ ენებზე.

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ და თურქულ ენებზე.

ობსერვატორიის ცნობა.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ნარევი

ამერიკაში არ უყვართ პაციფიზმი

ჩიკაგოში მცხოვრებმა ცნობილმა მწერალმა ქალმა როზიკა შვიმერმა შეიტანა განცხადება მისი მიღების შესახებ ამერიკის მოქალაქედ, მაგრამ უარი მიიღო, რადგან ამერიკის ხელისუფლების განცხადებით, მან გამოცდაზე „მეტად პაციფისტური შეხედულებები გამოიჩინა“.

კითხვა, რომელშიც „ჩაიჭრა“ მწერალი ქალი, შემდეგში მდგომარეობდა:

— რომ შეერთებულ შტატებს ომი ჰქონდეს რომელიმე სახელმწიფოსთან და მტრის ჯარისკაცმა ხმალი მოუქნიოს ამერიკელ ჯარისკაცს მოსაკლავად. თქვენ კი იქვე იდგეთ შეიარაღებული. როგორ მოიქცეოდით მაშინ? მოჰკლავდით. თუ არა მტრის ჯარისკაცს, რომ გეხსნათ ამერიკელი ჯარისკაცი?

— არა!—უპასუხა მწერალმა ქალმა.—მე ვერ მოვკლავდი ადამიანს იმ შემთხვევაშიც, რომ ის ცდილობდეს ჩემს მოკვლას. ყველაფერი, რის გაკეთებასაც მე შევსძლებდი ამ შემთხვევაში, ეს ის, რომ განმეიარაღებია მტრის ჯარისკაცი.

— კმარა!—შეაწყვეტინა სიტყვა მოსამართლე კარპენტერმა.—თქვენი შუამდგომლობა ამერიკის მოქალაქედ მიღების შესახებ უარყოფილია.

აისედორა დუნკანის შარფი

აბრეშუმის შარფი, რომელიც შეიქნა აისედორა დუნკანის ტრაგიკულად დაღუპვის მიზეზი, ერთ ამერიკელ მილიონერის ქალმა 50.000 ფრანკათ შეიძინა ნიცაში.

ქალაქი -ბაღი

პარიზიდან 12 კილომეტრის მანძილზე გორაკ პლესსი-რობენსონის ფერდობებზე შენდება ქალაქი—ბაღი, რომლის მცხოვრებლები იქნებიან ფრანგი მეცნიერები, მხატვრები და მწერლები. ქალაქი გაშენებული იქნება დიდ ბაღის მსგავსად. ამ ბაღში კი ერთმანეთისგან საკმაო მანძილზე გაშენებული იქნება ცალკე ორ-სართულიანი ვილები ქალაქ-ბაღში გაყვანილი იქნება ტრამვაი, წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტრონის განათება. ქალაქ-ბაღში მოწყობილი იქნება კინემატოგრაფები. სპორტო მოედნები, სტადიონები და საბანაო აუზები. ქალაქ-ბაღის გაშენებას აწარმოებს საზოგადოება. რომელშიაც შედიან საფრანგეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები მთავარი პაიშიკია საფრანგეთის მთავრობა. რომელიც ზრუნავს რა მოსახლეობის გადიდებაზე, დასთანხმდა ფინანსიური დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებას, ერთი [illegible] ორიგინალური პირობით: რომ მომავალ ქალაქ-ბაღის მცხოვრებლებს მრავალრიცხოვანი ოჯახი ეყოლებათ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 16 დეკემბერს, სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

პარტიულ მუშაკთა სექციიდან: არსენ მანცაკანოვი და ბახშო აზოტიანი. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია:** ნიკოლოზ კობიძეს, **კვალიფიციურ მუშათა სექციიდან** პავლე ბარიძე; სერაფიონ მესხი; სერგო გძელიშვილი; ვასილ რამიშვილი, გიორგი ანტონიევი; კალაშნიკოვა-ნოვჯაფაროვისა; ელენე ჯაიძა; ქნარა გევორკოვა; არმენაკ პოლოსოვი; ვალენტინა სავინკოვა; ოლღა ნასიძე; ელისაბედ ტატულოვა; ალექსანდრე იგნატიევა; ტერენტი დიდებულიძე; ნინო ლიუტენკო; ანნა აივაზოვა, ლიდა ბერნშტეინი; ვერა ობოლაძე; ანნა ძამოევა და ანნა ამიროვა.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: პეტრე ლომაროვი და სარქის პირიმოვი. **მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან:** ილია მანველაძე; იაკობ ციულიკი და დავით ბრეიტმანი. **მედიკურ მუშაკთა სექციიდან:** ნინო ნაჭყვარიანი, სირანუშ ხელაძე; ნინო ოგაიანი; სირან მანუკიანცი; სირანუშ ანდიასოვა და ელენე მესხი.

მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშა ხელზე

შრომის ბირჟა ყველა მეპურეების: **პურის მცხობელთა; მზელავების; მცრელების** საყურადღებოდ აცხადებს, რომ ბირჟას ესაჭიროება აღნიშნული პროფესიის უმუშევრები. მსურველებმა უნდა მიმართონ (ბირჟის) პირველ სექციას.

მომავალ გაზაფხულზე მოსალოდნელია დიდი მოთხოვნილება **კალატოზებზე; დურგლებზე; მლესავებზე; ბეტონზე მომუშავეებზე** და სხვა; ამიტომ ბირჟის კომიტეტმა მოაწყო სპეციალური გადასამზადებელი კურსები აღნიშნულ პროფესიის პირებისათვის კურსებზე პირველ რიგში მიიღება 100 კაცი. ყოველ მათგანს დაენიშნება თვეში 25 მანეთი სტიპენდია. შავ მუშათა სექციაში აღრიცხულმა უმუშევრებმა (სურვილისამებრ) უნდა მიმართონ ამხ. ჯუღელს

იურიდიული დახმარება

ქ. ქუთაისი, რიგო ბაბუნაშვილს

ინვალიდობა არ განიჭებთ უფლებას თქვენი ყოფილი [illegible] მუნიციპალიზაციისაგან [illegible]. ამ შეღავათისათვის შეგიძლიათ მიმართოთ თხოვნით ადგილობრივ აღმასკომს.

ზედელაშვილს და მათაშვილებს

თუ თქვენ, როგორც მოწაფე, იმყოფებით სხვის კმაყოფაზე, ხოლო სცხოვრობთ ცალკე მათგან და არ მსახურობთ, თანახმად ბინის ქირის დებულების მე-14 მუხლისა უნდა იხადოთ ბინის ქირა თვითეულ კვ. მეტრზე 20 კაპ., მთელ ოთახზე კი 10 კვ. მეტრის სივრცით, ორ-ორი მანეთი თვეში. თუ სახლის პატრონი არ მიიღებს თქვენგან ბინის ქირას შეგიძლიათ შეიტანოთ ხაზინაში სანოტარო კანტორის დეპოზიტად სახლის პატრონის სახელზე.

პროფკავშირის წევრს წიგნაკი № 7288

ბინის ქირა, როგორც უმუშევარმა, თქვენ უნდა იხადოთ ქიათურისათვის დაწესებულ ტარიფის მიხედვით. შეურაცხყოფისათვის. თუ ასეთს გაყენებს თქვენ სახლის პატრონი, შეგიძლიათ მიმართოთ სახ. სასამართლოს.

დათა ნადირაშვილს

თუ ბინის მოძებნა არ შეგიძლიათ საკუთარი საშუალებით, როგორც მშრომელ ელემენტს, შეგიძლიათ მიმართოთ თხოვნით ადგილობრივ აღმასკომს, რათა მოგეცეთ საჭირო ბინა კომუნალურ ფონდიდან

პარტიული კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. მიხეილ სარდიონისძე გაბუნიას სამი დღის ვადაში გამოცხადდეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 12);

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ კომ. საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ილია ლავრენტისძე კილაძეს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს ცენტრ. კომიტეტში ამხ. ამირიძესთან, ოთახი № 11.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ამხ. შალვა ოდილავაძეს, აქსენტი პაპავას, ანდრო ანთაძეს და მამია თოლორდავას გამოცხადდნენ 16, 17 დეკემბერს დილის ათ საათ. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 13).

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეკატერინე (კატო) თევდორეს ასული, შვილები სერგო, ზურაბი და მიხეილი ნესტორის-ძენი გაბუნიები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მათთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

ნესტორ ზურაბის-ძე გაბუნიას

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 18 დეკემბერს, დღის 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 786

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: მინადორა, აგრაფინა, ბაბუცა, გიორგი, სევერიანე, გერასიმე; რძლები: ბაბო, სონია, ხადია; სიძეები: სევერიანე, ვალიკო, მექი; შვილიშვილები: ნადია ქმრით კოლიათი, ლიდა, ცაცა და სხვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. ხონში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სამშაბათს, 13 დეკემბერს, დილით გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ფორინე გიორგის ასული კოხრეიძისა

დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში კვირას, 18 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 784

თავზარდაცემული მეუღლე ელისაბედი სილოვანის ასული, შვილები: გიორგი, მარიამი, ვალერიანი, ილენე, ანიკო, ირაკლი; ძმები: სარდიონი, სერაფიონი ოჯახობით; ძმისშვილები ექიმი ვლადიმერი დედით ავდიტო ანდრიას ასულით; რძალი მაშიკო სილოვანის ასული; შვილიშვილები რეზო და ნოდარი; სიძე სევერიანე მაქსიმეს-ძე მეჯირი და კონსტანტინე ბესარიონის-ძე ქართველიშვილი მეუღლით ნინა სამსონის ასული აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ამ. წლ. 14 დეკემბერს უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გერასიმე მათეს-ძე ცაგარეიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 დეკემბერს, ქალ. ქუთაისში. პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე. ქავთარაძის მეორე შესახვევი № 10. 793

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ალექსანდრა (იგივე საშა) ათანასეს ასული ნიკოლაიშვილი თუხარელისა, შვილიშვილი ლუბა თუხარელი, ცოლისძმა და რძლები ივანე, ნინა და ნაშო ნიკოლაიშვილები, ცოლისძმის შვილები ალექსანდრე და ვასო ნიკოლაიშვილები თავის მეუღლეებით—მერი და დარეჯანით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ქ. თბილისში ა. წ. 14 დეკემბერს, უეცრად გარდაიცვალა სად. შორაპნის უფროსი ტელეგრაფისტი საყვარელი

ნიკოლოზ (ნიკო) იოსების-ძე თუხარელი

დაკრძალვა მოხდება ვერის სასაფლაოზე გამოსვენება (ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან) კვირას, 18 დეკემბერს, დღის 1 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია იქვე 17 დეკემბერს, შაბათს, საღამოს 6 საათზე (შ)

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო
(პუშკინის ქუჩა № 4) ამით აცხადებს, რომ მიმდინარე თვის 23 რიცხვს დღით პარასკევს, ინიშნება

შეჯიბრება

ზაჰესის მშენებლობიდან დარჩენილ ძველ ყოველგვარ რკინეულობის და ავლარის, როგორც, მაგალითად: სხვადასხვა რკინეულობის ნაჭრები, დამტვრეული რკინის ნიჩფები, წერაქვები, უროები, თუნუქის და თუჯის ღუმელები,—მათი მილები და მუხლები, სხვადასხვა ზომის ბიდონები, ხის ტახტები, დგამები და სხვა ამ გვარი საერთო წონით რკინეული დაახლოვებით 5000 ფუთამდე. რკინეული გაიყიდება ფუთობით, ხოლო ხის ავეჯი ცალობით.

დასახელებული მასალა გაიყიდება ფრანკო ზემო-ავჭალის საწყობი 276 ვერსის ჩიხი.

მასალის დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე დილის ათ საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე გარდა კვირა უქმე დღეებისა, მხოლოდ ზაჰესში მოგზაურობის საჭირო ნებართვა მსურველს შეუძლია მიიღოს ზაჰესის მომარაგების განყოფილების დასტურით ზაჰესის დირექციისაგან, რომელიც მოთავსებულია კომინტერნის ქ. № 6.

შეჯიბრებაში მონაწილეთ უნდა წარმოადგინონ სათანადო განცხადება დახურულ პაკეტში წარწერით: „23 დეკემბერს დანიშნულ ზაჰესის დარჩენილ ძველი ქონების შეჯიბრებაში“ და ჩაშვებული ყუთში, რომელიც ჰკიდია ზაჰესის სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილების კარებთან.

განცხადებათა მიღება შესწყდება 23 დეკემბერს დღის 12 საათზე. განცხადებაში უნდა იყოს მკაფიოდ აღნიშნული რა გვარი მასალის შეძენა სურს მსურველს, რა ფასში და უკანასკნელის რაოდენობა. ამისდამიხედვით შეჯიბრებაში მონაწილემ შეჯიბრების დაწყებამდე უნდა წარმოუდგინოს კომისიას შესაძენად განზრახულ ქონების ღირებულების ათი პროცენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნება განხილული განცხადება. სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი ასეთის წინდაწინ შეტანისაგან თავისუფლდებიან.

ნ. 344 2—1 **ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო.**

აპოლო — დიდი წარმატება! ყოველდღიური ანშლაგები „პოეტი და მეფე“
არფასტო — ამერიკის საუკ. არტისტი ქალი გლორია სვენსონი ორიგინალურ სურათში „რა საჭიროა ცოლის გამოცვლა“
სოლეი — „ზღვის ქორი“
დარბაზი — ამერიკული კინო რომანი 4 სერიით „გუშის თავგადასავალი“ 1 და 2 სერია ერთად.
0—12 ანონსი პ რ ზის უკანასკნელი სურათი „[illegible] შუქის იქით“

ცირკი „კოლოს“ ტელ. 16—67
პარასკევს 16 დეკემბერს
განახლებული სანახაობანი
მთელი დასი, ყველა ატრაქციონები!! დამ მსახ. ძმ. ტანტები ეკვილიბრისტ არისტარხოვის პირველი გამოსვლა, ცხომელიძის და მისი მშვენივრად გაწვრთნილ ძაღლების გამოსვლა, ყოველდღიურ ანშლაგების გამო ორი კვირის განმავლობაში და იმ მიზნით, რომ ყველა მსურველთ საშუალება მიეცეთ ნახონ სახელგანთქმული გიპნოტიზ. ტორ-რამა და მისი [illegible], **ტორ-რამა** რჩება კიდევ ერთი კვირით.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
დირ. ი. ზ. ყუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზენსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე
ნ. 331 4—4

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი
ამით, აცხადებს, რომ 23 დეკემბერს 1927 წ. დილის 11 საათზე ადგილობრივ ქ. ქუთაისში ზდანოვიჩის ქუჩაზე დანიშნულია მეორე **საჯარო ვაჭრობა**, გაიყიდება იოსებ ალექსანდრესძე მორჩაძის ხის სახლი და აგურის სამზარეულო № 49, სახლში ოთხი ოთახია და სამზარეულო ორი თვალია, დახურული ყავრით, აგებულნი საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით დაახლოვებით 100 ოთხკუთხი საჟენი, საქართველოს მ. უ. საბჭოს ტრესტების სავაჭრო კანტორის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 1000 მანეთათ. მეორე საჯარო ვაჭრობა დაიწყება დაფასებული ან შეძლეული ფასიდან. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10%. სახლი დაგირავებული აქვს კალისტრატე ბუცხრიკიძეს 740 მანეთში. ნ. 342

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი
ამით აცხადებს, რომ ის 23 დეკემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 19 რუსთაველის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სამუილ გალბხაერის მოძრავ ქონებას: ნავთის მამოძრავებელს „სკანდია“-ს 50 ცხ. ძალის შეფასებულს 75 მანეთად, ელექტრონის ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 15 თებერვალს 1926 წ. თარიღით, № 711 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 785

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი
ამით აცხადებს, რომ 23 დეკემბერს 1927 წ. შუადღის 12 საათზე ადგილობრივ ქ. ქუთაისში კოოპერაციის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება პარმენ ოქროპირისძე ქებულაძის ქვიტკირის ექვსი თვალი ოთახი № 13 აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით 387 კვად. საჟენი, საქართველოს მ. უ. საბჭოს ტრესტების სავაჭრო კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 900 მანეთ., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 342

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიძვ. სივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე 13—9

ექიმი მეგრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ღვიძლის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—21

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. პ. ნტოროვიჩი
იღებს 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინისა) 25—17

მედიც. დოქტორი ზ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—23

ექიმი ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის. ნ. 25—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 6 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—18

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონის და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—

დაჰკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 502, იოსებ გრიგოლის-ძე ტიტვინიძეს სახელზე, ჩ. გ. 788

დაჰკარგა საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი გაცემული საბჭ. და სავ. მუშაკთა კავშირის ც. გამგეობის მიერ, სიმონ ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 789

დაჰკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფ. № 4, ელიზბარ კაჟინსკი-ძე სარიას სახელზე, ჩ. გ. 792

დაჰკარგა ხონის ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა № 340 და პირადობის მოწმობა № 124 გიორგი ივანეს-ძე რუხაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 342

დაჰკარგა წითელარმიელის წიგნაკი, გაცემული მე-6 ლეგიონიდან, მიხეილ გიორგის-ძე ხუციშვილის სახელზე, 790

დაჰკარგა ლომბარდის ქვითარი № 72844 ხავა ორჰარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 791

დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა № 824 სიმონ ოვანესის-ძე მარკოსიანცის სახელზე, ჩ. გ. 783

დაჰკარგა ბავშვის მეტრიკა ვალენტინო სვიმონის ასული მაჩხანელის სახელზე, ჩ. გ. 787

დაჰკარგა აღრიცხვის ბარათი, გაცემული სარაიჯალის მაგიდიდან ზაქარია კევლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 782

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68